ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

20 მარტიდან!
„ახალი თაობა“ +
სერია „დიდი ქართველები“
ბაგრატ მესამე
ფასი გაზეთთან ერთად 3 ლარი

ოთხშაბათი, 20 მარტი, 2013 №66 (6067) ფასი: 30 თეთრი

დავით დარჩიაშვილი: „ბლდანის ციხეში პატიმრები ბაჩო ახალაიას ლინჩის წესით გასამართლებას ითხოვენ“

გვ.2

ნინო ბურჯანაძე გია ბარამიძესა და გოკა გაბაშვილს სასამართლოში უჩივლებს

გვ.5

გვ.4

„ბენდუქიძემ თქვა, სოფელში მცხოვრები მამაკაცები შავ მუშებად სხვაგან წავიდნენ, ქალები კი მეძავებადო“

გვ.5

ელიზბარ ჯაველიძე: „ევროპარლამენტარებს სააკაშვილი ჩვენი ფულით აფინანსებდა“

გვ.3

ირაკლი ღარიბაშვილი: „19 აპრილს ნებისმიერ პროვოკაციას გავუმკლავდებით“

გვ.2

ირინა სარიშვილი: „შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე კბილებს ბევრი ილესავს“

გვ.3

მამუკა არეშიძე: „ასეთი კონსტიტუციის პირობებში ცხოვრება ძნელია“

15 მარტიდან!
„ახალი თაობა“+
„ისტორია და ამოუცნობი სამყარო“
100 მეცნიერი, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო
წიგნი და გაზეთი ერთად 10 ლარი



13 მარტიდან!
„ახალი თაობა“
+
შექსპირი
8 ლარი



ISSN 1987-9385

6 რა საფრთხეებს შეიცავს საქართველოსთვის რეგიონული ენები

2 როდის წავა ივანიშვილი ამერიკაში

6 დღეს ტემპერატურა აიწევს

7 როგორ უნდა ხდებოდეს დევნილების განსახლება

საქართველო სამშვიდობო მისიას მალიშიც შეასრულებს

ნათია ხურცილავა

აზერბაიჯანში ვიზიტით საქართველოს თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრები იმყოფებიან. მას შემდეგ, რაც საგარეო საქმეთა მინისტრმა

აზერბაიჯანში საქართველოს პრემიერ-მინისტრის პირველ ოფიციალურ ვიზიტს ყველაზე წარმატებული ვიზიტი უწოდა, აზერბაიჯანს ასევე ოფიციალური ვიზიტით პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მეუღლესთან ერთად ეწვია.

სწორედ ამ ვიზიტის შემდეგ აზერბაიჯანში საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრები გაემგზავრნენ. ორივე მინისტრი შეხვდა აზერბაიჯანის პრეზიდენტს ილხამ ალიევს. თუმცა, პრესისთვის ჯერ არ არის ცნობილი მათი მოლაპარაკების კონკრეტული თემები. მოლაპარაკების დეტალებს ალბათ ვერც გავიგებთ. თუმცა, ჩნდება კითხვები, მინისტრთა კაბინეტის წევრების ვიზიტი უახლოეს პერიოდში პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ გამართულ მოლაპარაკებებს ხომ არ უკავშირდება აზერბაიჯანის პრეზიდენტთან და კიდევ, სააკაშვილის მიერ აეროპორტში სახელდახელოდ გაკეთებულ ცნობილ განცხადებას, რომელზეც ღიად საუბარი ექსპერტთა უმრავლესობისთვის და დიპლომატებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

ალასანიამ ბაქოში ყარსი-ახალქალაქის სარკინიგზო პროექტთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა. მინისტრის განცხადებით, ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის პროექტი ნატოელ პარტნიორებს გამოადგებათ.

ამის შესახებ ალასანიამ აზერბაიჯანში ვიზიტის ფარგლებში განაცხადა, სადაც ის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს შეხვდა.

თავდაცვის მინისტრმა ასევე შეხვედრა გამართა აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრთან ელმარ მამედიაროვთან და თავის აზერბაიჯანელ კოლეგასთან, გენერალ-პოლკოვნიკ საფარ აბიევთან.

– თავდაცვის სამინისტროში რიგი შეთანხმებები შედგა, მათ შორის, ხელი მოვაწერეთ 1 წლით ჩვენი თანამშრომლობის გეგმას. ჩვენ ძალიან მნიშვნელოვნად ვაფასებთ ყველა იმ პროექტს, რომელიც საქართველოს და აზერბაიჯანს შორის ბოლო წლების განმავლობაში დაწყებულია, განსაკუთრებით იმ პროექტებს, რომლებიც უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნების სტრატეგიულ მომავალს ევროპაში, ევროატლანტიკურ სივრცეში, მათ შორის არის ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის პროექტი, რომელიც, იმედი გვაქვს, წლის ბოლომდე დასრულდება. ეს კიდევ ერთ დიდ ინფრასტრუქტურულ პროექტს წარმოადგენს, რომელიც ასევე ჩვენს ნატოელ პარტნიორებს გამოადგებათ და აზერბაიჯანი, საქართველო და თურქეთი კიდევ უფრო მეტად ინტეგრირებული გახდება ამ სივრცეში, – განაცხადა ალასანიამ.

ვიზიტის ფარგლებში ირაკლი ალასანია ასევე აზერბაიჯანის რესპუბლიკის სამხედრო მრეწველობის მინისტრ იავერ ჯამალოვს შეხვდა. შეხვედრაზე გადაწყდა, რომ ექსპერტთა ჯგუფები შეიქმნება და ერთობლივ პროექტებზე მუშაობა დაიწყება.

თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას განცხადებით, მალის მისიაში საქართველოს ჩართვის დეტალები ზუსტდება.

საქართველოს მალის მისიაში ჩართვასთან დაკავშირებით განცხადება თავდაცვის მინისტრმა პირველად „ბრიუსელის ფორუმზე“ გააკეთა. როგორც ირაკლი ალასანიამ აღნიშნა, საქართველოს მთავრობა თანახმაა, ევროპელი პარტნიორების შემოთავაზება მიიღოს.

– მივიღეთ შემოთავაზება ევროკავშირისგან, რომ განვიხილოთ ჩვენი თანამონაწილეობის შესაძლებლობა ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის სტრუქტურებში. ამის შესახებ მთავრობაში ვიმსჯელეთ და მივიღეთ პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომ საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებშია უფრო მეტად დაუახლოვდეს ევროპას, ევროკავშირს და ასევე, თავდაცვისა და უსაფრთხოების სტრუქტურებს. პოლიტიკური გადაწყვეტილების შემდეგ, ევროკავშირთან და მის საგარეო უსაფრთხოების სტრუქტურებთან მოლაპარაკების პროცესი დავიწყეთ, თუ რა ფორმით მიიღებს საქართველო მონაწილეობას. საზოგადოებას სრულყოფილ ინფორმაციას დეტალების დადგენის შემდეგ მივაწვდით, – განაცხადა ალასანიამ.

დავით დარჩიაშვილი: „გლდანის ციხეში პატიმრები ბაჩო ახალაიას ლინჩის წესით გასამართლებას ითხოვენ“

ნათია ხურცილავა

თავდაცვისა და შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ბაჩო ახალაია მატროსოვის ციხიდან გლდანის მე-8 დაწესებულებაში გადაიყვანეს. ბაჩო ახალაიას ახლობლებმა გლდანის ციხესთან გუშინ ღამე გაათენეს. როგორც ისინი აცხადებენ, პატიმრობაში მყოფ ახალაიას საფრთხე ემუქრება.

პატიმრის ახლობლებისა და ადვოკატის განცხადებით, მოსალოდნელია ციხის ბუნტი, თუმცა ისინი არ აკონკრეტებენ, საიდან აქვთ აღნიშნული ინფორმაცია.

პატიმრობაში მყოფი ყოფილი მაღალჩინოსნების განცხადებით, მე-8 დაწესებულებაში მყოფი პატიმრების მხრიდან ადგილი ჰქონდა შეძახილებს ბაჩო ახალაიასა და გაგა მკურნალიძის მისამართით.

სასჯელაღსრულების სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით, დედამიწის ზურგზე არც ერთი პატიმარი ისე არ არის დაცული, როგორც ბაჩო ახალაია. მიუხედავად ამ განცხადებისა, სახალხო დამცველი სასჯელაღსრულების სამინისტროს ბაჩო ახალაიას უსაფრთხოების უზრუნველყოფისკენ მოუწოდებს.

როგორც ცნობილი გახდა სახალხო დამცველის აპარატიდან, ორი დღის წინ სახალხო დამცველის რწმუნებულებმა გლდანის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ბრალდებულები – ვიქტორ ყაჭეიშვილი, ოლეგ ფაცაცია, ლევან ფურცხვანიძე, გურამ ცომაია, გაგა მკურნალიძე, დავით ხუჭუა და ბაჩანა ახალაია მოინახულეს.

სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციით, ბრალდებულმა ბაჩანა ახალაიამ წერილობით რაიმე სახის ინფორმაციის მიწოდებაზე უარი განაცხადა. ბრალდებულებმა – ვიქტორ ყაჭეიშვილმა, ოლეგ ფაცაციამ, ლევან ფურცხვანიძემ, გურამ ცომაიამ, გაგა მკურნალიძემ და დავით ხუჭუამ სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან საუბრისას განაცხადეს, რომ გლდანის №8 დაწესებულებაში 2013 წლის 10 მარტს და 11 მარტიდან 15 მარტის ჩათვლით გადაიყვანეს, დაწესებულებაში მყოფი პატიმრების მიერ მათ მიმართ სისტემატურად ხორციელდებოდა ფსიქოლოგიური ზეწოლა. მათი განცხადებით, ადმინისტრაციულ კორპუსში გადაყვანის დროს, პატიმრები ჩერდებოდნენ პირველი კორპუსის წინ მიმდებარე ტერიტორიაზე და მათ სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ. ასევე ადგილი ჰქონდა მუქარას. ბრალდებულთა განცხადებით, სიტყვიერი შეურაცხყოფა და მუქარა 5 დღის განმავლობაში გრძელდებოდა.

ბრალდებულების განმარტებით, ამასთან ერთად, 13 და 14 მარტს, პატიმრების მხრიდან ადგილი ჰქონდა დაწესებულების მოქმედი თანამშრომლის მიმართ წინააღმდეგობის გაწევის ფაქტს, რადგან თანამშრომელი ცდილობდა აღეკვეთა მათი შეურაცხმყოფელი საქციელი.

ბრალდებულები – გაგა მკურნალიძე და დავით ხუჭუა აცხადებენ, რომ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ისინი ფსიქოლოგიურ ზეწოლას განიცდიან, რაც მათ ფსიქიკურ ჯანმრთელობას სერიოზულ ზიანს აყენებს. ისინი ასევე აცხადებენ, რომ თავს ვერ გრძნობენ უსაფრთხოდ და ითხოვენ სპეციალურ დაწესებულებაში გადაყვანას, სადაც არაადამიანური მოპყრობისგან დაცული იქნებიან.

ბრალდებულებმა განაცხადეს, რომ მათ სიტყვიერად არაერთხელ მიმართეს №9 დაწესებულების ადმინისტრაციას, რომ არ მომხდარიყო მათი გადაყვანა №8 დაწესებულებაში, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ №8 დაწესებულებაში მათი მოთავსება დაუშვებელია და აღნიშნულით ხდება სხვა პატიმრების პროვოცირება უკანონო ქმედებების ჩასადენად.

როგორც სახალხო დამცველი აცხადებს, სახალხო დამცველი მუდმივ მონიტორინგს განახორციელებს, რათა დაცული იყოს ბრალდებულების ვიქტორ ყაჭეიშვილის, ოლეგ ფაცაციას, ლევან ფურცხვანიძეს, გურამ ცომაიას, გაგა მკურნალიძის, დავით ხუჭუას და ბაჩანა ახალაიას უსაფრთხოება და ამასთანავე სასჯელაღსრულების, პრო-

ბაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მოუწოდებს, მის ხელთ არსებული ყველა საშუალება გამოიყენოს, რათა მსჯავრდებულების უსაფრთხოება დაცული იყოს და მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას რაიმე სახის ზიანი არ მიადგეს.

საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლის დავით დარჩიაშვილის განცხადებით, მათ აქვთ ინფორმაცია გლდანის ციხიდან, რომ პატიმრები არიან ზეწოლის ქვეშ იმ პატიმრების მხრიდან, რომლებიც შს ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას ლინჩის წესით გასამართლებას ითხოვენ. ამის შესახებ დავით დარჩიაშვილმა მედიის წარმომადგენლებს საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე განუცხადა.

მისი შეფასებით, მაშინ, როდესაც ირაკლი ღარიბაშვილი ქედმაღლურად აცხადებს, რომ ჭორია თითქოს კრიმინოგენური ვითრება იზრდება, ამის რეალური ნიშნები არსებობს, როგორც გარეთ, ასევე ციხეში.

– ვაფრთხილებ ამ უწყების ხელმძღვანელებს, რომ თუ მათ სამართლიანობის აღდგენა სურთ, ეს სასამართლოს გზით გააკეთონ, და არა იმ მექანიზმებით, რაც იკვეთება, – განაცხადა დარჩიაშვილმა.

ირინა სარიშვილი: „შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე კბილებს ბევრი ილესავს“

შორენა გონგლაძე

– ის, რაც საზოგადოებამ შინაგან საქმეთა მინისტრისგან მოისმინა, არ იყო დამაკმაყოფილებელი საზოგადოებისთვის, ეს იყო შეხვედრა უტიფრობასა და უსუსურობას შორის – ეს განცხადება პოლიტიკური გაერთიანება „იმედის“ ხელმძღვანელმა ირინა სარიშვილმა გუშინ „პრაიმ ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. ირინა სარიშვილის განცხადებით, ის არც ელოდა ღარიბაშვილისგან მკვეთრ პასუხებს.

– პასუხები, რომლებიც გუშინ საზოგადოებამ მოისმინა, შინაგან საქმეთა მინისტრისაგან აბსოლუტურად არ იყო დამაკმაყოფილებელი და ამაში ძალიან ბევრიც დამეთანხმება. ამ შეხვედრას შეიძლება ვუწოდოთ უტიფრობისა და უსუსურობის შეხვედრა ანუ უტიფრობა – ეს არის ნაციონალური მოძრაობა და სრული უსუსურობა იყო ხელისუფლების მხრიდან. როდესაც ხელისუფლება შინაგანად არის გაორებული, ბუნებრივია, შინაგან საქმეთა მინისტრისგან დიდი მოლოდინი არ უნ-

და იყოს, რომ იქნება ძალიან მკვეთრი პასუხები. ჩემთვის, როგორც წინა ხელისუფლების მოწინააღმდეგისთვის, აბსოლუტურად მიუღებელი იყო ის შეხვედრა, რომელიც ვნახე. ნაციონალურ მოძრაობას რა მიზანიც ჰქონდა, როცა ეს შეხვედრა მოაწყო, ჩემთვის გასაგებია, მაგრამ ხელისუფლებას რა მიზანი ჰქონდა, როცა ამ შეხვედრაზე წავიდა, ეს გაუგებარი იყო. შეხვედრას აზრი და მიზანი აქვს მაშინ, როდესაც ამ შეხვედრებისთვის ხარ მზად. ამ შეხვედრისთვის მე ირაკლი ღარიბაშვილზე საყვედურს ვერ ვიტყვი, იმდენად, რამდენადაც მთლიანად ხელისუფლება არ არის მზად ასეთი შეხვედრისათვის, – აცხადებს სარიშვილი. მისივე თქმით, ხელისუფლება მუდმივად თავის მართლების რეჟიმშია.

– ერთი რამ ფაქტია, რომ ხელისუფლება, ამ შემთხვევაში ღარიბაშვილის სახით, აგრძელებს თავის მართლების პოზიციაში ყოფნას, რაც დამღუპველია. გრძელდება ძალიან ცუდი პოლიტიკა და ეს ცუდი პოლიტიკა ძალიან ძვირად დაუჯდება ამ ქვეყანას, როდესაც ხელისუფლება იხდის ბოდიშებს იქ, სადაც ბოდიშები არ არის მოსახდელი და, უფრო დიდი დემოკრატი რომ გამოჩნდეს, დაუზოგავად წირავს ან ცდილობს, განიროს საკუთარი მომხრეები. ეს შეიმჩნეოდა ღარიბაშვილის პასუხებშიც და ეს შეიმჩნევა განსაკუთრებით 8 თებერვლის შემდეგ.

ვინც ხელისუფლებაში მოდის, ის

გაგრძელება მე-4 გვერდზე

როდის ნავა ივანიშვილი ამერიკაში

ნათია ხურცილავა

ამერიკის შეერთებულ შტატებში ახლად დანიშნული ელჩის, არჩილ გეგეშიძის პირველი დავალება ალბათ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის ვიზიტის მომზადება იქნება ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ჯერ უცნობია, როდის შედგება ეს ვიზიტი. თუმცა, ფაქტია, რომ ვიზიტი ძალიან დიდი მნიშვნელობის იქნება ჩვენი ქვეყნისთვის.

ექსპერტების განცხადებით, ამერიკის ელჩის რიჩარდ ნორლანდის მეშვეობით, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს სრული ინფორმაცია აქვს საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, რომლის მიმართ ინტერესიც ამერიკის მხრიდან, როგორც პოლიტოლოგები ამბობენ, მაღალია.

– ცნობილია, რომ ისინი ძალიან გვგულშემატკივრობენ ჩვენ. ძალიან უნდათ, რომ ჩვენთვის უჩვეულო პროცესი, რაშიც ოქტომბრის შემდეგ აღმოვჩნდით, ვგულისხმობ ორი ოპონენტი ძალის თანაარსებობას, მშვიდობიანად დავასრულოთ, მაქსიმალურად დასავლურ, ევროპულ სტანდარტებთან მიახლოვებულად, – ამბობს არჩილ გეგეშიძე.

არჩილ გეგეშიძე პარლამენტში გამართავს შეხვედრებს. ის უმრავლესობისა და ოპოზიციის წარმომადგენლებს შეხვდება.

– სანამ გავემგზავრები ამერიკის შეერთებულ შტატებში, უნდა შემოვიარო აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა უწყება. ასევე ვგეგმავ შევხვდე პარლამენტში როგორც უმრავლესობას, ისე უმცირესობის წარმომადგენლებს შესაბამის კომიტეტებში. მე ამ შემთხვევაში მთლიანად ქვეყანას წარმოვადგენ ამერიკის შეერთებულ შტატებში. მე არ წარმოვადგენ ხელისუფლებას, – ამბობს ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს ელჩი.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

მამუკა არეშიძე: „ასეთი კონსტიტუციის პირობებში ცხოვრება ძნელია“

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ ექსპერტთან კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძესთან

— ბატონო მამუკა, მოდით, ჯავახეთთან დაკავშირებულ პროცესებზე ვისაუბროთ. რამდენად არის სიტუაციის გამწვავების საფრთხე და საითკენ უბიძგებს ნაციონალური მოძრაობა?

— ნაციონალური მოძრაობა ამ სიტუაციაში უშუალო კონტაქტში არ ჩანს ამ მოვლენასთან. თავის დროზე მიხეილ სააკაშვილმა კი შეუწყო ხელი ამ დოკუმენტზე ვალდებულების აღებას, მაგრამ დღეს ეს არის ერთი კერძო ჯგუფის ადამიანების ინიციატივა. სხვათა შორის, პირველი არ არის ეს ინიციატივა ამ ადამიანების მხრიდან. ეს სხვადასხვა დროს ყოველთვის მომხდარა ჯავახეთში, მაგრამ ახლა ამ ადამიანებიდან ერთ-ერთი გაწევრიანებულია რესპუბლიკურ ფრაქციაში და იმან ეს ინიციატივა გამოიჩინა. მე მაინც არ მინდა ვიფიქრო, რომ ამის უკან დგას რამე სერიოზული ძალები და რომ ეს არის მაინც პოლიტიკურ ოლიმპზე თავის დამკვიდრების მცდელობა, თუნდაც რაიონული მასშტაბის. ახალი შექმნილია ეს ფრაქცია და ახლა ახალი ინიციატივით გამოვიდნენ. აქ რამდენიმე ნიუანსს აქვს დიდი მნიშვნელობა. მაშინ ჩვენმა მხარემ აიღო ვალდებულება, რომ ამ ქარტიას შეასრულებს. პირველი, რომ დოკუმენტზე ხელი მოწერილი არ არის, მეორე, რომ დოკუმენტი რატიფიცირებული არ არის. ახლა ესენი ითხოვენ რატიფიკაციას. მაგრამ ჩვენ გვაქვს საშუალება, რამდენიმე სერიოზული საკითხი დავსვათ. ამ ქარტიაში წერია, რომ რეგიონული ენის სტატუსის მიღება არ უნდა მოხდეს სახელმწიფო ენის შეზღუდვის ხარჯზე. დღეს რეგიონში ისეთი მდგომარეობაა, რომ სახელმწიფო ენა შეზღუდულიც არის და უარესიც. პრაქტიკულად, ჩინოვნიკებიც კი ვერ აწარმოებენ სახელმწიფო ენაზე მიმოწერასა და დოკუმენტაციის შექმნას. აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია, საკითხი დავაყენოთ ასე — რადგან თვითონ ქარტიაშიც არის გათვალისწინებული სახელმწიფო ენის არშეზღუდვა, ამიტომ, მოდით, ჯერ სახელმწიფო ენის გამყარებას შევუწყოთ ხელი და მერე ვიფიქროთ სხვა დანარჩენზე. მეორე, საქმე ის არის, რომ დოკუმენტში განსაზღვრული არ არის, რა არის რეგიონული ენა. რეგიონული ენა — ეს ის არის, რომელზეც რეგიონში საუბრობენ, თუ ეს ის ენაა, რომელიც უნიკალურია და შენარჩუნებას მოითხოვს. მე, მაგალითად, რეგიონულ ენად მიმაჩნია ის ენა, რომელზეც ამ კონკრეტულ რეგიონში ლაპარაკობენ. თუ ამ ენას ლაპარაკობენ სხვაგანაც, სადაც სახელმწიფოებრიობაა, მაშინ არ მიმაჩნია ეს რეგიონულ ენად. ასე რომ, საკამათოა ეს ყველაფერი. ამას არ სჭირდება ისტერიკა, ამას არ სჭირდება ნერვიულობა, ხელების შლა, გულზე მჯიღის ბრაგუნი და პატრიოტად თავის გამოჩენა. აქ საჭირო პროფესიონალურად, ცივი გონებით მიდგომა. პროფესიონალები, ღმერთმა დაგვიფარა და გვყავს ჯერჯერობით ამ საქმისა და შეგვიძლია ძალიან სერიოზული არგუმენტების მოყვანა, არა მხოლოდ ჩვენი მოქალაქეებისთვის, რომლებიც ჯავახეთში ცხოვრობენ, არამედ ჩვენი ევროპელი კოლეგებისთვისაც. ეს პრობლემა არ არის. ამის თაობაზე არაერთხელ მქონია საუბარი ჩვენს ევროპელ კოლეგებთან, მისაუბრია არგუმენტირებულად და ისინი დამეთანხმებიან.

— ბატონო მამუკა, ფაქტია, რომ ჯავახეთი წლების მანძილზე პრობლემატურ საკითხად რჩება.

— პრობლემატური იყო სწორედ იმიტომ, რომ არასწორ პოლიტიკას ახორციელებდა სახელმწიფო, გინდაც უსაფრთხოების სისტემების შექმნის, გინდაც სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის გაჯანსაღების თვალსაზრისით. ამიტომ საჭიროა სპეციალური მიდგომა ასეთი ფაქიზი სტრუქტურის რეგიონებისადმი და შესაბამის შედეგს მიიღებ. რას აკეთებდა ნაციონალური მოძრაობა ან თუნდაც მისი წინანდელი ხელისუფლება. ეს იყო დამყარებული ძალით სიტუაციის დაჭერაზე. ძალით სიტუაციას ვერ დაიჭერ დიდი ხნის განმავლობაში, ბოლოს და ბოლოს, შესაბამისი კანონი საწინააღმდეგოზე მეტყველებს. რასაკვირველია, ერთი მხრივ, საჭიროა სახელმწიფოებრივი ძალის დემონსტრირება და, მეორე მხრივ — სოციალურ-ეკონომიკური სისტემის შექმნა, რომელიც გამორიცხავს ასეთი ტიპის ინიციატივებს. სამეგრელოში არსებობს ჯგუფი კვირკველიას მეთაურობით, რომელიც იმავეს ლაპარაკობს და იმავეს აკეთებს. ასე რომ, თუ ხიფათზე მიდგა საქმე, ხიფათი ყველა მხრიდან შეიძლება იყოს ყველანაირ საკითხთან დაკავშირებით, მით უმეტეს, რომ სახელმწიფო სტრუქტურა თავს ვერ ართმევს და ჯერჯერობით სუსტია.

— ბატონო მამუკა, რაც შეეხება მეორე საკითხს, თქვენთვისაც ცნობილია, რომ პარლამენტი ამ კვირაში კონსტიტუციის საკითხს განიხილავს, საზოგადოებაც დიდ მოლოდინშია. თქვენი შეფასებები როგორია, რამდენად მხარდაჭერილი იქნება და საერთოდ ამ ფონზე რა პროცესებს უნდა ველოდოთ?

— მე ვფიქრობ, რომ ეს დოკუმენტი მიღებული იქნება, იმიტომ რომ, დღევანდელ უმრავლესობას აქვს საშუალება, შეაგროვოს ხმების საჭირო რაოდენობა. ახლა მთავარია, რამდენად ეფექტურად იმუშავებენ ამისთვის. ის, რომ ეს დოკუმენტი მისაღებია, დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ზოგიერთი უმცირესობის წევრებიც ფიქრობენ ასე.

— ეფექტურ მუშაობაში რა იგულისხმება?

— მუშაობაში იგულისხმება ის, რომ არის ადამიანების კატეგორია უმცირესობაში, რომელსაც თვითონ უნდა, ვინმემ მათთან იმუშაოს და მათ სთხოვოს, ამ პროცესში მიიღოს მონაწილეობა. მოკლედ, მარტივად რომ ვთქვათ, ვიღაც დაგველაპარაკოსო, აი, ასეთი ადამიანებიც არიან და ამ პრინციპით ცხოვრობენ. არიან ისეთი ადამიანებიც უმცირესობაში, რომლებიც ამ დოკუმენტს არასოდეს მიიღებენ, მაგრამ არიან სხვა კატეგორიის ადამიანებიც. მთავარია, ვინ რას მიიღებს ან არ მიიღებს, მე ეს არ მაინტერესებს, აქ პოლიტიკურ კონიუნქტურაზე არ არის ლაპარაკი, ჩემთვის მთავარი ის არის, რომ ქვეყანაში განვითარების პროცესი ფერხდება, ორხელისუფლებიანობის პირობებში, ამ პირობებში და მუდმივი შიშის პირობებში, რომ დღევანდელ პრეზიდენტს შეუძლია, ისეთი რამ გააკეთოს, რაც პოლიტიკურ სიტუაციას კიდევ უფრო დაძაბავს. თუ პატრიოტია ადამიანი, ის უნდა ხვდებოდეს, რომ ასეთი კონსტიტუციის პირობებში ცხოვრება ძნელია. არ შეიძლება, ერთი ადამიანის ხელში იყოს ამხელა ძალაუფლება. საერთოდ, არ შეიძლება, რომ ქვეყანაში იყოს ორხელისუფლებიანობა. აი, ეს არის ჩემი თავარი მიდგომა და პოლიტიკური ნიუანსები ჩემთვის გადამწყვეტი არ არის.

— უმცირესობა დღეს საკაკაშვილის გავლენის ქვეშ იმყოფება და, ალბათ, საბოლოო სიტყვასაც ის იტყვის.

— ვიცი, რომ გავლენის ქვეშ არიან, მესმის, მაგრამ, მოდით, საქართველოს გავლენის ქვეშ იყვნენ, ჯობია.

— ჯერჯერობით მათი საბოლოო პოზიცია არ დაფიქსირებულა, უმცირესობა ამ საკითხზე კომენტარისაგან თავს იკავებს.

— იცით რატომ იკავებს თავს უმცირესობა კომენტარებისაგან? არ არიან დარწმუნებული, რომ მოახერხებენ ამ თემის ბლოკირებას და, აქედან გამომდინარე, სერიოზული მსჯელობა მიდის უმცირესობაში, ხომ არ დავუჭიროთ მხარი ამ ცვლილებებს იმისთვის, რომ ინიციატივა ჩვენს ხელში დარჩესო. აი, დაახლოებით ასე მსჯელობენ უმცირესობაში. თუმცა, მინდა გითხრათ, რომ გუშინდელ დღემდე მათ არ ჰქონდათ მიცემული მითითება, ზუსტად როგორ უნდა მოქცეულიყვნენ და დღეს არ ვიცი, რა იქნება.

— იყო სერიოზული ვაჭრობაც. ისინი ეკონომიკურ ამნისტიასა და ხელშეუხებლობას მოითხოვდნენ ხმის მიცემის სანაცვლოდ, რომელიც არ შედგა.

— ეგ არის ვაჭრობა. მაგიტომ არის პოლიტიკა ბინძური, რომ სავაჭრო თემები ჩნდება ხოლმე პოლიტიკაში და ეს გასაკვირი და მოულოდნელი არ უნდა იყოს არავისთვის. სამწუხაროდ, ასეა.

— თქვენ ადრე ყოველთვის საუბრობდით აპრილში მოსალოდნელ ექსცესებთან დაკავშირებით. დღევანდელი გადასახედიდან რამდენად ელით სიტუაციის დაძაბვას?

— რასაკვირველია, სიტუაციის დაძაბვას ველი. ძალიან კარგად ვხედავ, რომ ძველი ხელისუფლების გუნდი არ აპირებს, შეეგუოს იმას, რაც ქვეყანაში ხდება ანუ ისინი არ შეეგუებიან ქვეყანაში ძალაუფლების დაკარგვას. ისინი ფიქრობენ, რომ ხელისუფლება დროებით დაკარგეს და ხვალ-ზეგ ისევ დაიბრუნებენ უკან. რადგან ისინი ასე ფიქრობენ და, აქედან გამომდინარე, რესურსიც აქვთ, რესურსში კი, პირველ რიგში, მატერიალურს ვგულისხმობ და შემდეგ გავლენების რესურსს, ისინი აუცილებლად მოინდომებენ სიტუაციის შეცვლას. როგორ განვითარდება მოვლენები, ეს დამოკიდებულია იმაზე, როგორ მოიქცევა მთავრობა და საზოგადოება.

— თქვენ როგორ ფიქრობთ, თუკი შევიდა კონსტიტუციაში ცვლილებები, 19 აპრილამდე მოესწრება მისი დამტკიცება თუ გააჭიანურებს პრეზიდენტი ხელის მოწერას?

— რა თქმა უნდა, ყველანაირად გაჭიანურდება. ელემენტარულად, ერთი დოკუმენტის ხელმოწერას ამდენი ხანი დასჭირდა, ხვწნა-მუდარა და ქვეყნის ჩარევა, რომ ელჩების დანიშვნაზე ხელი მოწერილი ყოფილიყო. ეს ხომ შეგნებულად კეთდებოდა იმისთვის, რომ ახალ ხელისუფლებას არ ჰყოლოდა თავისი წარმომადგენლობა საზღვარგარეთ. ვითარება ჯერ-ჯერობით მაინც სახიფათოა, თუმცა, რასაკვირველია, ზემოქმედების ბერკეტებიც არსებობს და არსებობს გავლენების საშუალებები, რომლის მიხედვითაც ამ ნაბიჯის ლოკალიზება შესაძლებელია.

— დასავლეთს გულისხმობთ, ბატონო მამუკა?

— დასავლეთს ვგულისხმობ პირველ რიგში და არა მარტო დასავლეთს, თვითონ მისი გუნდის წევრებსაც. აქ როგორ არის, იცით, საქმე? სააკაშვილი ტრაგიკული ფიგურაა თავისთავად, იქ პარალელურად ბევრი სხვა პროცესიც მიმდინარეობს და ეს ძალიან ვრცელი ინტერვიუს თემაა. თვითონ გუნდში არ არის ცალსახა მდგომარეობა, ზოგ შემთხვევაში ის იძულებულია, ანგარიში გაუწიოს თავისი გუნდის წევრების განცხადებებს.

—რამდენად ელით პროცესების გამწვავებას?

— პოლიტიკური ცხოვრება თავისთავად გულისხმობს პროცესების გამწვავებას, ეს ასეა, მაგრამ მეორეა, რამდენად ძლიერია სახელმწიფო იმისთვის, რომ პოლიტიკური კრიზისი მიიღოს. ჩვენი სახელმწიფო ჯერ არ არის ამ მდგომარეობაში. 20 წლის განმავლობაში ვერ მოვახერხეთ სახელმწიფოს ისეთი ფორმის შექმნა, რომლისთვისაც პოლიტიკური კრიზისები თვითონ ქვეყნის სისტემის მოშლას არ გამოიწვევდა. ჯერჯერობით ვერ მივაღწიეთ ასეთ დონეს და ეს მხოლოდ ერთი ხელისუფლების ბრალია. ეს საზოგადოების ბრალიც არის და ამიტომ ვართ მუდმივად ციებ-ცხელების მდგომარეობაში. პოლიტიკური ციებ-ცხელება დამახასიათებელია ჩვენი ტიპის სახელმწიფოებისთვის და თან — მუდმივი. ჩვენი ამოცანაა, საკუთარ შეცდომებზე ვისწავლოთ და მდგომარეობა შევცვალოთ.

ირაკლი ღარიბაშვილი: „19 აპრილს ნებისმიერ პროვოკაციას გავუმკლავდებით“

შორენა გონგლაძე

ამ ჯვირაში შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აქტიურობის ხეჯოხდის მოხსნას აპირებს. 2 დღის წინ პარლამენტში ჩააჯითხა უმცირესობას, დამჯითხეთო, გუშინ ჯი ჟენერალისტების ჯითხვებს უპასუხა. ხამდენი წელია, ქართულ მედიას შს მინისტრის ასეთი ღია პრესკონფერენცია არ ღირსებია. იმედია, ღარიბაშვილი მომავალშიც ასე გააგრძელებს.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე ბევრ თემაზე იყო საუბარი. მედიას აინტერესებდა რას აპრებს შსს 19 აპრილს. ღარიბაშვილის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ 19 აპრილს „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დაანონსებულ აქციაზე, პროვოკაციების მოწყობის მცდელობას ადგილი ექნება, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ამ მცდელობას სათანადო პასუხს გასცემს.

— ზოგადად, მე ვფიქრობ, რომ 19 აპრილთან დაკავშირებით წარმოდგენა ძალიან გაზვიადებულია, მე უბრალოდ არ მესმის რისი მოლოდინი აქვთ. მიუხედავად იმისა, თუ ვინ ატარებს ამ აქციას, შინაგან საქმეთა სამინისტრო დაიცავს წესრიგს როგორც ეს მიღებულია, ხოლო თუ რაიმე პროვოკაციას ექნება ადგილი, ეს თავშივე იქნება აღკვეთილი და პროვოკაციის ნებისმიერი მომწყობი დაისჯება. ჩვენ ნებისმიერ პროვოკაციას გავუსწორდებით და შესაბამისად გავუმკლავდებით, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

მინისტრს კრიმინოგენულ ვითარებაზეც მოუწია საუბარმა. ამტკიცებს, რომ ვითარება ნორმალურია. მისი განცხადებით, ქვეყანაში დანაშაულის ჩადენის მხრივ, ბოლო პერიოდში კლების ტენდენციაა და ზოგიერთი პიროვნება სპეციალურად ცდილობს ამ კუთხით მძიმე სურათი დახატოს.

— ძალიან სამწუხაროა, როდესაც ადამიანთა ნაწილი ცდილობს წარმოაჩინოს სურათი, რომ კრიმინოგენული ვითარება უკიდურესად დაძაბულია და ქვეყანაში გაუსაძლისი მდგომარეობაა. მე გუშინწინ მოვისმინე საპარლამენტო უმცირესობის და კონკრეტულად გიორგი ბარამიძის მხრიდან ინფორმაცია, რომ თითქოს მშობლები შვილებს მოუწოდებენ, სახლიდან გარეთ არ გავიდნენ. ეს და მსგავსი მუქი ფერებით დახატული სხვა „რეალობა“ რა თქმა უნდა სასაცილოა. მოსახლეობა ძალიან კარგად ხედავს რაც ხდება. მინდა კიდევ ერთხელ განვაცხადო, რომ ქვეყანაში არსებულ კრიმინოგენულ ვითარებაზე როგორც მინისტრი, სრულად ვარ პასუხისმგებელი, სიტუაციას სრულად ვაკონტროლებთ და ხმები, რომ ვითარება დაიძაბა, — გადაჭარბებული და აბსურდულია, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, 2012 წლის ოქტომბერ-ნოემბერში კრიმინალის რიცხვმა მართალია იმატა, მაგრამ ეს ძირითადად წვრილმანი ქურდობის ხარჯზე მოხდა, თუმცა დეკემბრის თვიდან, მაჩვენებელი ისევ შემცირდა.

— მთავარი საკითხი კი ისაა, რომ ჩვენ არცერთ დანაშაულს არ ვმალავთ და ხელს არ ვაფარებთ. ჩემი დავალებაა, რომ ყველა დანაშაული, რა ტიპისაც არ უნდა იყოს ის, — აღირიცხოს. ხოლო თუ როგორ ხდებოდა წინა ხელისუფლების დროს დანაშაულების შერჩევა და გაშუქება, ყველამ ძალიან კარგად იცის.

ჩვენ თვის ბოლოს წარმოგიდგენთ დაზუსტებულ სტატისტიკას და ყველა დარწმუნდება, რომ ქვეყანაში არაფერი საგანგაშო არ ხდება.

რაც შეეხება დანაშაულების აღრიცხვის მეთოდოლოგიას, წინა პრაქტიკით ის ძალიან ბევრ ნაკლოვანებას შეიცავდა. თვის ბოლოს კი, ჩვენ სტატისტიკის ახალ მეთოდოლოგიას წარმოგიდგენთ. ვინც იძახის რომ ქვეყანაში კრიმონოგენული მდგომარეობა დაიძაბა, ან სხვა პლანეტაზე ცხოვრობს, ან ამას მიზანმიმართულად აკეთებს, — განაცხადა ღარიბაშვილმა და ყველას მოუწოდა, რომ ეს თემა სპეკულირების საგანი არ გახადონ.

„ნაციონალური მოძრაობის“ გენერალურმა მდივანმა, მერაბიშვილმა ხელისუფლებას გუშინწინ, სამცხე-ჯავახეთის საკითხთან დაკავშირებით დახმარება შესთავაზა. ღარიბაშვილის განცხადებით, ხელისუფლება, ვითარებას სამცხე-ჯავახეთში სრულად აკონტროლებს და მათ არავის, მათ შორის არც ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა დახმარება არ სჭირდებათ.

— ძალიან სამწუხაროა, რომ ქვეყანაში ხდება ისეთი თემებით სპეკულირება, როგორიც არის ქვეყნის უსაფრთხოება. ჩვენ გუშინ სამცხე-ჯავახეთთან დაკავშირებით განცხადებები მოვისმინეთ, შემდეგ კი ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებმა დახმარება-კონსულტაციები შემოგვთავაზეს, რაც რა თქმა უნდა სასაცილოა. ჩვენ არ გვჭირდება მათი დახმარება, საჭიროების შემთხვევაში აქეთ დავეხმარებით სათანადოდ, — განაცხადა მინისტრმა.

გუშინ ის თავის წინამორბედ მერაბიშვილის იმ განცხადებასაც გამოეხმაურა, რომლის თანახმადაც, შინაგან საქმეთა სამინისტროში დაბნეულობაა და იქ პროფესიონალი კადრების ჩანაცვლება ხდება.

— ვანო მერაბიშვილის განცხადებები სასაცილოა. ეს კაცი ბოლო დროს საერთოდ არაადექვატური გახდა. ეტყობა ბევრს ნერვიულობს. ის ნერვიული სტრესი, რომელიც მან მიიღო ჯერ მაშინ, როცა არჩევნები წააგეს და შემდეგ როცა სამინისტროში დაკითხვაზე დაიბარეს, ეტყობა ჯერ არ განელებია. სხვათა შორის მითხრეს, რომ ის ძალიან შეშინებული იყოო და მე ის გულწრფელად მეცოდება, თუმცა მის ნათქვამზე სერიოზულ კომენტარს ვერ გავაკეთებ, — განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა.

„ბენდუქიძემ თქვა, სოფელში მცხოვრები მამაკაცები შავ მუშებად სხვაგან წავიდნენ, ქალები კი მეძავებადო“

შორენა კოწოწაშვილი

„ქართული აკადემიის“ წევრი, პროფესორი თემურ ნანეიშვილი პრობლემას არა აგრარული უნივერსიტეტისთვის აკრედიტაციის შეჩერებაში ხედავს, არამედ იმას, თუ როგორ გახდა სახელმწიფო უნივერსიტეტის მესაკუთრე ოლიგარქი კახა ბენდუქიძე.

ნანეიშვილი დარწმუნებულია, რომ ახალი ხელისუფლების პრობლემა არ არის ნეპოტიზმი, მათ პოლიტიკურ ოპონენტებს – ნაციონალებს კი ხმა არ ამოეღებათ პოლიტპატიმრების წინააღმდეგ.

რა საკითხები უნდა იქნეს შესწავლილი პირველ რიგში აგრარულ უნივერსიტეტთან მიმართებაში და რეალურად რა ნიშნები გამოიკვეთა ნაციონალებით დაკომპლექტებული აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს თემურ ნანეიშვილთან.

– ბატონო თემურ, დღეს უმცირესობაში მყოფი ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებას და პირადად, შს მინისტრს ნეპოტიზმში ამხელს და კადრების ნათესაური ნიშნით დანიშვნაში ადანაშაულებს. ეს ტენდენცია წინა ხელისუფლების პირობებში უცხო იყო?

– მე მგონი, განსაკუთრებულად თვალშისაცემი არაფერი მომხდარა იმ კუთხით, რომ ნეპოტიზმის შემთხვევები იყოს. მე ვიცი, რომ მაგალითად, ძველი კადრები, რომლებიც მუშაობდნენ თუნდაც პროკურატურაში, ან სხვა უწყებაში, იგივე საპარლამენტო უმცირესობის დეპუტატების ნათესავები – იგივე ირმა ნადირაშვილის და, ქმარი და ა.შ., ყველა თანამდებობებზე არიან. საქართველო პატარა ქვეყანაა და ვიღაცა ვიღაცის ნათესავი შეიძლება აღმოჩნდეს. არა მგონია, ახალმა ხელისუფლებამ ამით დაიწყო ხელმძღვანელობა. იმიტომ, რომ ვიცი, ვმუშაობდი მაგათთან ერთად – „ქართული ოცნების“ საზოგადოებრივ მოძრაობაში, იქიდან ძალიან ბევრი ადამიანი, ისევ ისე უმუშევარი დარჩა. ამის გამო ძალიან ბევრი უკმაყოფილოც კი არის. ამბობენ, ამდენი ვიშრომეთ და დაუსაქმებლები დავრჩითო. ასე რომ, ნეპოტიზმი განსაკუთრებულად თვალშისაცემი არ არის. ალბათ არის შემთხვევები, რომ ვიღაც სადღაც დაინიშნა, მაგრამ ამის გარეშე ალბათ შეუძლებელია, მაგრამ იმას ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ნაცნობობის და ნათესაური კავშირების ნიშნით ირჩევა დღეს კადრები, ისე, როგორც სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში ინიშნებოდნენ ადამიანები ერთგულების ნიშნით. სააკაშვილის ზეობის პერიოდში მხოლოდ ნათესაური ნიშნით ინიშნებოდნენ კადრები და წინაურდებოდნენ; კვალიფიციურ კადრებს ათავისუფლებდნენ და ერთგულების ნიშნით მოჰყავდათ მათთვის სასურველი პიროვნებები. ეს ხომ ფაქტია. თუ არ იყავი ნაციონალებისადმი ტოლერანტული და არ მოგწონდა მათი ნაბიჯები, სამსახურში ვინ გაგაჩერებდა. ის კი არა, აშანტაჟებდნენ ადამიანებს, რომ აი, შენი შვილი მუშაობს, შენი სიძე და იმათ ,,მოვუვლით“, თუ ჩვენ არ დაგვემორჩილები. ეს ხომ ძალიან ცნობილი ფაქტებია?

– შინაგან საქმეთა მინისტრმა უმცირესობასთან შეხვედრის დროს სააკაშვილის გუნდის წევრების გასაგრძელად თქვა: ვერ დამჩაგრავთ. იკვეთება საპარლამენტო უმცირესობის მხრიდან გამიზნული დისკრედიტირება ირაკლი ღარიბაშვილის და იმის მცდელობა, რომ ქვეყანა კრიზისის წინაშე დადგეს?

– ჯერ ერთი, რაც ახალი ხელისუფლებაა, ხუთი თვეა. საპარლამენტო უმცირესობა კი მოითხოვს, რაც ცხრა წლის მანძილზე მათ გააფუჭეს, ყველაფერი ამ სამ-ოთხ თვეში გასწორდეს. ასე არ ხდება. დღეს ის ადამიანები სვამდნენ კითხვებს და გარკვეულ ბრალდებებს უყენებდნენ მინისტრს, მე პირდაპირ მრცხვენოდა მათ მაგივრად. ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მომხდარი ამბები ისე გააბუქეს, გეგონება ქვეყანა დაიქცა. შინაგან საქმეთა მინისტრი მათ ძალიან სწორად პასუხობდა. მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ გამოუძიებელია 7 ნოემბრის, 26 მაისის, 16 ივნისის საქმეები, დაუსჯელები არიან ის ადამიანები, რომლებმაც თავ-პირი დაუხეთქეს საპროტესტო აქციის მონაწილეებს, ამის პატრონები ლაპარაკობენ იმაზე, რომ გიგი უგულავას შეურაცხყოფა მიაყენეს. ავიწყდებათ, რომ ეროვნულ ბიბლიოთეკასთან პოლიტპატიმრები იდგნენ, გამწარებული ადამიანები, რომლებმაც ციხის საშინელებები გამოიარეს, რომლებიც უკანონოდ დააპატიმრეს. ხომ გახსოვთ, უგულავა როგორ პროვოკაციულად შემოიჭრა თავის გუნდთან ერთად ამ აღელვებულ ადამიანებში. რა თქმა უნდა, უპასუხებდნენ ამას, რად უნდა ამას ლაპარაკი. ემოციის შეკავება ძალიან ძნელია. მით უმეტეს, როცა ამდენი წელიწადი ციხის საშინელ პირობებში გაატარეს. არ ვიცი, შეიძლება რაღაც შეცდომა დაუშვეს კორიდორთან დაკავშირებით, მაგრამ ეს იქნებოდა შეცდომა და არა წინასწარ განზრახული და ისეთი რამ, რაც ნაციონალებს უნდა გაუკვირდეთ. თან სასაცილოა ის ფაქტი, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებს უკრძალავენ მათი მმართველობის პერიოდში მომხდარ დანაშაულებს ნუ იხსენებთო. როგორ გეკადრებათ, დემოკრატიული ქვეყანა სამართლებრივ საფუძვლებს უნდა ემყარებოდეს, ის კი ასეთ დანაშაულებს არავითარ შემთხვევაში არ პატიობს. დამნაშავის დასჯას ის მნიშვნელობა აქვს, რომ სხვამ არ გაიმეოროს. პოლიციის მხრიდან შეცდომებიც



იქნება, რადგან ეს პოლიციელები წინა ხელისუფლების დროს ნამუშევარი ხალხია. როგორც ამბობენ, პროკურატურაშიც ნახევარზე მეტი ისევ ძველი ნაციონალების კადრები არიან. რა თქმა უნდა, შეცდომას დაუშვებენ, რადგან ყველამ ვიცით, როგორ მოქმედებდნენ 9 წლის განმავლობაში. ამიტომ, ცოტა უნდა ვაცალოთ. კარგად თქვა ნოდარ მგალობლიშვილმა: სწრაფად ფორმირდება დიქტატურა, დემოკრატიას დრო უნდაო. ყველაფერს დრო უნდა, მით უმეტეს, ამ საკითხებზე არ უნდა საუბრობდნენ ის ადამიანები, რომლებიც 7 ნოემბრის და 26 მაისის შემოქმედნი არიან. მათ უნდა გაიგონ, რომ ქართველმა ხალხმა ბევრი რამ აპატია, თუმცა ბოლომდე ყველაფერი არ უპატიებიათ. ურჩევნიათ გაჩუმდნენ და თავის სინდისში ჩაიხედონ და კარგად გააანალიზონ, რა წარსული აქვთ.

– ბატონო თემურ, მოდით განათლების სფეროზე ვისაუბროთ, რომელიც როგორც წინა, ისე დღევანდელი ხელისუფლებისთვის საკმაოდ მტკივნეული სფეროა. როგორ ფიქრობთ, შეცდა თუ არა განათლების სამინისტრო აგრარულ უნივერსიტეტთან მიმართებაში და საერთოდ, რამდენად სწორი პოზიცია აირჩია მინისტრმა მარგველაშვილმა უმაღლეს სასწავლებლებთან დაკავშირებით?

– ჩემს აზრს მოგახსენებთ, მე მგონი, განათლების სამინისტროს შეცდომა ის იყო, რომ პირველ რიგში საკითხი უნდა დაეყენებინათ ასე: აგრარული უნივერსიტეტი იყო სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეს უნივერსიტეტი სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ უნდა იყოს და სახელმწიფო უნდა განაგებდეს მის საგანმანათლებლო პოლიტიკას. როგორ მოხდა, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტი კახა ბენდუქიძემ ჩაიგდო ხელში? ეს არის პირველი რიგის გამოსარკვევი საკითხი. როგორ მოხდა, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტი გასხვისდა?! რატომ გასხვისდა აგრარული უნივერსიტეტი, ეს არის მთავარი კითხვა და პირველ რიგში, სწორედ ამ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი. მითხარით, ყოფილი საბჭოთა კავშირის ან აღმოსავლეთ ევროპის რომელიმე ქვეყანაში თუ მოხდა მსგავსი ფაქტი, რომ ოლიგარქმა მიითვისოს სახელმწიფო უნივერსიტეტი? ბენდუქიძე არის ტიპიური ოლიგარქი, რუსეთის ხელისუფლებაში მყოფმა გააკეთა მილიონები. შემდეგ საქართველოში ჩამოვიდა და ეკონომიკის მინისტრად დაინიშნა და აქაც ფულს აკეთებდა. ჯერ თქვეს, ერთ ღარად იყიდა ბენდუქიძემ აგრარული უნივერსიტეტიო, ახლა თქვეს 4 მილიონადო, ხელში კი 200 მილიონის ქონება ჩაიგდო – შენობა-ნაგებობები და მიწები. ეს არის პირველი საკითხი. შემდეგ არის, რამდენად სწორად იმოქმედა განათლების სამინისტრომ. მე გეტყვით, რომ განათლების სამინისტრომ იგივე წინა ხელისუფლების პირობებში უფრო სუსტი დარღვევისთვისაც კი შეუჩერა სასწავლებლებს აკრედიტაცია და ავტორიზაცია. მე გეტყვით, მაგალითად, ასეთი იყო ბევრად უფრო ძლიერი უნივერსიტეტი – ტექნიკური უნივერსიტეტი. ასევე სდასუ-ს შეუჩერეს აკრედიტაცია და სხვა. კანონი ყველასთვის კანონია. მე, მაგალითად, იმ კანონს არ ვეთანხმები. იცით, რომ პროფესორი ვარ და რამდენიმე უნივერსიტეტში ვკითხულობ. იმიტომ არ ვარ ამ კანონით კმაყოფილი, რომ ის კანონი ავალდებულებს პროფესურას, წამდაუწუმ წეროს სილაბუსები, ხოლო იმის მკითხავი არავინ არის, რა კურსი იკითხება, რა წიგნების და ა. შ. თურმე მთავარია საბუთები იყოს წესრიგში. ამ სილაბუსებს კი წელიწადში ხან სამ-ოთხჯერ გვავსებინებენ. ამით კი კმაყოფილი არა ვარ. ახლა პოლიტიკოსები მიბრძანებულან აგრარულ უნივერსიტეტთან და წვიმის მუსიკოსებიც. სად იყვნენ 26 მაისს იგივე წვიმის მუსიკოსები, რუსთაველზე არ უნდა მისულიყვნენ, როცა წვიმაში ხალხს სასტიკად უსწორდებოდნენ?! ახლა ყველა ბენდუქიძეს დაუდგა გვერდით. კანონი უნდა შესრულდეს, მიუხედავად იმისა, ვარგისია თუ უვარგისი. სხვათა შორის, კანონიც სააკაშვილის ხელისუფლების მიერ არის მიღებული და აკრედიტაცია თუ ავტორიზაციაც წინა ხელისუფლების მიერ შემდგარმა კომისიამ შეუჩერა აგრარულ უნივერსიტეტს, რომელიც 2 კვირაში ამთავრებს საქმიანობას. ხანდახან ეჭვი მეპარება, რომ კომისიამ შეგნებულად გადადგა ასეთი მწვავე ნაბიჯი, რომ ხმაური გამოეწვია და გამოეკვეთა, რომ ნაციონალები 19 აპრილის აქციისთვის ემზადებიან. ანუ შეიძლება ნაციონალებმა ამ გზით ტემპერატურის აწევა სცადეს. ეს ჩემი პირადი ეჭვია.

– იგივე ბენდუქიძემ და სხვა ლიდერმა ნაციონალებმა განათლების მინისტრი სუსტად, უვიცად, ზოგმა დებილადაც კი გამოიყვანა. ობიექტურია ეს შეფასებები?

– კახა ბენდუქიძე საერთოდ თავისუფალია გამოთქმებში. ჟურნალისტების ბრალიც არის, იმის შიშით, რომ რესპონდენტი ბენდუქიძე არ გაექცეთ, გაანებივრეს ეს კაცი და ისიც ბილწსიტყვაობას არ იშლის. ეს განებივრებული კაცი იმისთანა რამეებს ღაპარაკობს ღია ეთერში, როგორიც მხოლოდ მისთვის არის დამახასიათებელი. როგორ შეიძლება სოფლის მეურნეობის საკითხებთან ახლოს გააკარო კახა, რომელსაც ასეთი შეხედულება აქვს სოფელზე. იცით, რომ ახალი ხელისუფლებისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტი სწორედ სოფლის მეურნეობაა. ნახეთ, რას წერს კახა ბენდუქიძე: საქართველოში სოფლის მეურნეობა არაა კონკურენტუნარიანი, ამიტომ ფეხებზე დავიკიდოთ. თუ გადარჩენა უწერია, თავისით გადარჩეს, თუ არადა, დაიღუპოს. არაა პრობლემა. სოფელში მცხოვრები მამაკაცები შავ მუშებად სხვაგან წავიდნენ, ქალები კი მეძავებად. არაა ეს ჩემი პრობლემაო. ეს განცხადება ფეისბუქით გავრცელდა. ეს თუ მართალია, ჟურნალისტებმა ერთი ამბავი უნდა ატეხოთ. ამისთანა კაცი როგორ შეიძლება სოფლის მეურნეობისთვის კადრების აღზრდის ძირითად კერას ედგას სათავეში. ეს ხომ დაუშვებელია. იმიტომ ჩაუდგა სათავეში აგრარულ უნივერსიტეტს, რომ სოფლები საბოლოოდ დაანგრიოს და მეძავებად გაუშვას ქართველი ქალები?!

– დაბოლოს, ხომ არ ფიქრობთ, რომ არა მხოლოდ განათლების სამინისტრო, იგივე პროკურატურაც უნდა დაინტერესდეს აგრარული უნივერსიტეტის გასხვისების საკითხით და ამ კუთხით გამოძიება ჩატარდეს?

– ეს იურისპრუდენციის საკითხებია. რა თქმა უნდა, ყველა საფუძველი არსებობს, რომ საკითხი ბოლომდე იქნას გამოძიებული. მე, როგორც მოქალაქეს, მაინტერესებს, როგორ მოხდა, რომ ამხელა ქონება ჩაუვარდა ხელში სოფლის მეურნეობის მტერს კახა ბენდუქიძეს. რა მექანიზმით ჩაუვარდა სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი ოლიგარქს ხელში და კონკრეტულად ვინ დაუშვა ეს შეცდომა. თუ პრეზიდენტმა დაუშვა შეცდომა და ერთ ღარად მიჰყიდა ამხელა ქონება, ეს კიდევ ერთი დანაშაულია. აქ დანაშაული ნამდვილად იკვეთება. ხომ გითხარით, არც ერთ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანას ასეთი რამ არ გაუკეთებია. რაც შეეხება იმას, რომ კახა ბენდუქიძე, ანუ ასეთი პიროვნება იყოს აგრარული უნივერსიტეტის ხელმძღვანელი, ეს უკვე მორალურ კრიტერიუმებს განეკუთვნება. რაც შეეხება სტუდენტებს, რომლებიც აქტიურობენ და მათი აქტიურობა პოლიტიკურ ელფერს იღებს, ესენი ნაციონალების მიერ ზომბირებული სტუდენტები არიან, რომლებიც ძირითადად თუთბერიძის გვერდით იდგნენ იგივე ,,კმარაში“ და ა.შ.

ირინა სარიშვილი: „შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე კბილებს ბევრი ილესავს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ამისთვისაც უნდა იყოს მზად. მზადყოფნა უნდა გამოიხატოს იმაში, რომ მერე არ უნდა დაიწყო მინისტრების ძებნა, არ უნდა ამოგზაურო მინისტრები ერთი სამინისტროდან მეორეში და არ უნდა აკეთო განცხადება, რომ ეს მინისტრი ისწავლის ყველაფერს, სამინისტრო სკოლა არ არის და იქ, მგონი, უკვე ნასწავლი და მცოდნე უნდა მივიდეს. რაც შეეხება ოპონენტთან პოლიტიკურ მზადყოფნას, ეს ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. მე არ ვიცი, ვინ როგორ არის სამინისტროების შემადგენლობაში ჩახედული, მთელ ქვეყანაში დაიწყო მოხსნები, ეს ხდება არა იმ ნიშნით, რომ ეს ყოფილიყო ხელისუფლების პრინციპულ შეცვლაზე, მოხსნები მიმდინარეობს სკოლებში, საბავშვო ბაღებში და ასე შემდეგ, სადაც პოლიტიკა არაფერ შუაშია, აქ საუბარია მხოლოდ და მხოლოდ პირად ინტერესებზე ანუ მოიხსნა ერთის ნათესავი და დაინიშნა მეორის, რაც მთავარია, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელთა რიცხვი სამინისტროებში არ შემცირებულა, მიდის ერთი ნაციონალი და მოდის მეორე ნაციონალი, – აცხადებს სარიშვილი. მისივე თქმით, აპრილის აქციისთვის როგორც ნაციონალური მოძრაობა, ასევე ხელისუფლებაც ემზადება.

– მრჩება შთაბეჭდილება, რომ 19 აპრილის აქციისთვის ემზადება არა მხოლოდ ნაციონალური მოძრაობა, არამედ ამ მზადებაში აქტიურად ეხმარება ხელისუფლებაც თავისი უგუნურებით თუ შეგნებულად. რაც შეეხება აგრარული უნივერსიტეტის წინააღმდეგ გადადგმულ უგუნურ ნაბიჯს, რომელიც უკან გადმოსადგმელი გახდა, თუნდაც ღარიბაშვილის პასუხებს ძალიან ბევრ შეკითხვაზე, სადაც ადამიანს, რომელსაც დანახვაც არ უნდა ნაციონალების და მის აქციაზე არ წავა, როგორც მინიმუმ, იმის ხალისი და სურვილი გაუქრება, რომ მხარი დაუჭიროს დღევანდელ ხელისუფლებას.

ირინა სარიშვილი არ გამორიცხავს იმასაც, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ამ ხელისუფლების მხრიდან გასაწურთა სიაში აღმოჩნდეს. სარიშვილის თქმით, რესპუბლიკელები საშუალებას ხელიდან არ გაუშვებენ და შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე ბევრი ილესავს კბილებს, მათ შორის პარლამენტს გარეთ დარჩენილი ძალები. ბევრი ელოდება ადგილს ივანიშვილის მზის ქვეშ, მაგრამ ეს მზე შეიძლება დაბნელდეს მათთვის და არა ივანიშვილისთვის. ჩვენ საკმაოდ არასახარბიელო ვითარებაში შეიძლება მოგვიწიოს დარჩენა და ივანიშვილს კი შეუძლია, წავიდეს. თუ ასეთი გიგანტური ნაბიჯებით გაგრძელდა ე.წ. კოჰაბიტაცია, ეს მოსალოდნელია.

– ღარიბაშვილი, არა მგონია, პრემიერის რისხვის ობიექტი იყოს, პირიქით, ის ერთ-ერთ ერთგულ მინისტრად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ პრემიერი დღიდან შემოსვლისა პოლიტიკაში პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე ემორჩილება „რესპუბლიკელებს“. თუ ღარიბაშვილი მისცემს საშუალებას ვინმეს, რომ მას მოქმედები დაუწუნონ, ივანიშვილი დიდ წინააღმდეგობას არ გაუწევს. რაც შეეხება სხვა მინისტრებს, დეპუტატების გარდა, ყველას ისე გააჩუმებენ, როგორც გააჩუმეს ირაკლი ალასანია, იმიტომ რომ ცოტა ხანში ის შეიძლება თავდაცვის მინისტრიც არ იყოს, – აცხადებს სარიშვილი.

19 აპრილთან დაკავშირებით სარიშვილი აცხადებს:

– ნაციონალების ინტერესია, რაც შეიძლება მეტი ადამიანი იყოს ამ აქციაზე. ეს აქცია მათ დასავლეთისთვის რაღაც-რაღაცების „გასაპრავებლად“ სჭირდებათ, რომ ვითომ ძალიან ბევრი მომხრე ჰყავთ, ამის შემდგომ მათგან მოსალოდნელია უფრო აქტიური წინააღმდეგობები იმ საკითხებში, სადაც დღევანდელი ხელისუფლება პოზიციებს არ თმობს. მე არ ვიცი, რით დასრულდება საკონსტიტუციო ცვლილებებზე დავა, რა შეთანხმებამდე მივლენ ნაციონალები ხელისუფლებასთან ანუ ფაქტია, რომ თუ ეს კომპრომისის შედეგი უნდა იყოს, ამ კომპრომისზე ძირითადად წავა ხელისუფლება და ეს არ იქნება კომპრომისი ნაციონალების წინაშე, ეს იქნება კომპრომისი პრინციპების წინაშე, თუნდაც ის, ვის ენიჭება პოლიტპატიმრის სტატუსი და ვის არა, რატომ ცხადდება, მაგალითად, როდესაც ჩვენ სახეზე გვყავს მაია თოფურია და ნორა კვიციანი, რომლებიც წლების განმავლობაში არაფრის გამო ხეხავდნენ ციხეს და ისინი თურმე მეორე და მესამე ეტაპს უნდა დაელოდონ, რომ პოლიტპატიმრებად გამოაცხადონ, თუნდაც ირაკლი ღარიბაშვილმა რომელ „დამნაშავეზე“ იხადა ბოდიშები და იქნია თითი და ვიღაცებზე უკან დაიხია, ერთი მხრივ, მელორ ვაჩნაძე, რომელიც, მე არ ვიცი, რის გამო გახდა ასეთი სერიოზული კრიტიკის ობიექტი და მეორე მხრივ ხალხი, რომელსაც იჭერენ და შემდეგ ათავისუფლებს სასამართლო, უგულავას მაგალითზე ვნახეთ, რომ იქ გირაოც კი არ იყო შეფარდებული. ამ ყველაფრის ფონზე სულ ცოტა ხნის წინ ბატონი ბიძინა ივანიშვილი ვნახეთ კოჰაბიტაციურ ურთიერთობაში კუბლაშვილთან, ადამიანი, რომელიც აქამდე დაკავშირებული იყო ყველაფერ ცუდთან და ვნახეთ, რომ ეს ადამიანი უცებ აღმოჩნდა ძალიან კარგი. მე ისევ მივდივარ იმ აზრამდე, რა აზრი აქვს ასეთი ტიპის კომპრომისებს, თუ საბოლოოდ ჩვენ დავალთ იქამდე, რომ ერთის გვარი მეორის გვარით შეიცვალოს და დანარჩენი ყველაფერი იგივე დარჩეს. ასე სადამდე აპირებენ გაგრძელებას, ჩემთვის გაუგებარია.

მე ვფიქრობ, რომ ის, რაც დღეს პარლამენტში ხდება, არის თამაში, იმიტომ რომ ძირითადი თემები მათ ალბათ უკვე შეთანხმებული აქვთ და კამათი სხვების დასანახად გაიმართება წვრილმან საკითხებზე. რაც შეეხება პრეზიდენტისთვის ძირითადი უფლებების დატოვებას, ამაზე ორივე მხარე უკვე მოლაპარაკებულია და ამან ჩააცხრო, ერთი მხრივ, წულუკიანის წინააღმდეგ ენებათაღელვები და კუბლაშვილის მიმართ გამოთქმული პრეტენზიები, რა აზრი აქვს ასეთ ჩაცხრომას, თუ ვერ მივიღებთ იმას, რასაც ველოდებით, აბსოლუტურად გაუგებარია, – აცხადებს სარიშვილი.

ნინო ბურჯანაძე გია ბარამიძესა და გოკა გაბაშვილს სასამართლოში უჩივლებს

შორენა მარსაგიშვილი

ენას ძვალი ჰომ აჰ აქვს, ეს ჩვენი პოლიტიკოსების წყალობით ყველამ ჯაჰგად ვიცით. ეს უძვლობა შვჰება, ჰომ ეჰთმანეთს ყველაფეჩს აბჰაღებენ. აქამდე ამის გამო აჰავის აჰავისთვის სასამაჰთლოში აჰ უჩივლია. ახლა ვითაჰება იცვლება. ნინო ბუჩჯანაძის პჰაჩია და სახალხო ჯჩება დეპუტატების გია ბაჰამიძისა და გოჯა გაბაშვილის ნინააღმდეგ სასამაჰთლოში საჰჩელის შეტანას აპჰიჰებენ.

ისევე როგორც სხვა ნაციონალები ბარამიძე და გაბაშვილიც ბურჯანაძის ხალხს კრემლთან შეკრულს უწოდებს. თავისი პოლიტიკური ორიენტაცია ბურჯანაძეს არასდროს დაუმალავს. სხვებისგან განსხვავებით მას ეყო იმის გამბედაობა, რომ ღიად შეხვედროდა ვლადიმერ პუტინს. ეს მოსაწონი ნამდვილად არ არის, მაგრამ ადამიანი როცა ამას ღიად აკეთებს ეს დასაფასებელია.

ბურჯანაძის ღია პრორუსულობას მაშინ ნაცმოძმა ათასგვარი კუდები მიაბა. სისხლიანი 26 მაისის შემდეგ კი კიდევ უფრო მეტად ალაპარაკდნენ. იმ საშინელების გადასაფარად ათასგვარ რაღაცას იგონებდნენ. ახლა პროკურატურა ამ დარბევას სწავლობს. ამბობენ, რომ ამის გამო ბევრი დაისჯება. 26 მაისი ნაციონალების ჰუმანურობის გამოვლინება გახლდათ. მის გაპრავებას ნაციონალები ისევ ცდილობენ. ამ ცდაში მათ ბურჯანაძის ხალხი კიდევ შემოეკრიტიკათ. რაც ნინო ბურჯანაძემ უკვე აღარ აპატია.

– „დემოკრატიული მოძრაობა“ უახლოეს დღეებში, კიდევ ერთ სარჩელს შეიტანს გიორგი გაბაშვილის და გია ბარამიძის წინააღმდეგ, მათ მიერ 2013 წლის 18 მარტს გაკეთებულ ცილისწამებურ განცხადებებთან დაკავშირებით. „დემოკრატიული მოძრაობა“ რიტორიკული შეკითხვით მიმართავს გია ბარამიძეს, რომელიც დიდი ალბათობით თავად უნდა იჯდეს ციხეში:

რატომ არ დააპატიმრა მისმა ხელისუფლებამ 26 მაისის ორგანიზატორები, თუ ისინი კრემლთან შეკრულები იყვნენ და ნამდვილად შემოყავდათ რუსული ტანკები?

ფაქტია შემდეგი, რომ აღნიშნული ბრალდებები იმდენად უსუსური და ცილისწამებლური იყო, რომ თავად ნაციონალურმა ხელისუფლებამ ვეღარ გაბედა ამ ვერსიის განვითარება და სწორედ ამიტომ, 2011 წლის მაისის მოვლენებთან დაკავშირებით დაკავებული ყველა პირი, ვითომდა სხვადასხვა დროს პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით იქნა გასამართლებული.

სამწუხაროა, რომ წინა ხელისუფლების დანაშაულებებთან დაკავშირებული სარჩელების განხილვას იმდენი დრო მიაქვს, რომ საზოგადოების მხრიდან უმძიმეს დანაშაულებებში ეჭვმიტანილი „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები კიდევ ბედავენ ასეთი განცხადებების კეთებას, – ნათქვამია პარტიის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ საგანგებო განცხადებაში.

მათივე ინფორმაციით, „დემოკრატიული მოძრაობა“ უახლოეს დღეებში, შესაბამის ორგანოებს საჩივრით მიმართავს.

– ჩვენს მიერ წლების მანძილზე შეტანილ თხუთმეტზე მეტ სარჩელს, ამ დღეებში კიდევ ერთი მიემატება. იმედს გამოვთქვამთ, რომ ქვეყანაში აუცილებლად დადგება დრო, როდესაც აღნიშნულ საქმეებს მსვლელობა მიეცემა და ყველა პირი რომელიც „დემოკრატიული მოძრაობისა“ და „სახალხო კრების“ ლიდერების დისკრედიტაციას, ცილისწამებასა და პოლიტიკურ მკვლელობას გეგმავდა და ახორციელებდა, აუცილებლად წარსდგებიან მართლმსაჯულების წინაშე და ჩადენილი დანაშაულებებისათვის პასუხს აგებენ, – აცხადებენ პარტიაში.

ნაციონალები ბოლო დროს საკმაოდ მწვავედ რეაგირებენ. რა გასაკვირია იმ საშინელებაზე ბევრს მოუწევს პასუხის გება და ნერვიულობენ. 2 დღის წინ ღარიბაშვილმა პარლამენტში თქვა, რომ 26 მაისის დარბევის მონაწილეები დაისჯებიანო.

ისე რა უცნაურია ეს ცხივრება. გაბაშვილი და ბარამიძე 10 წლის წინ თამარ მეფეს უწოდებდნენ ნინო ბურჯანაძეს. ისინი 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ბურჯანაძე დემოკრატების“ სახელით იყრიდნენ კენჭს.

ელიზბარ ჯაველიძე: „ევროპარლამენტარებს სააკაშვილი ჩვენი ფულით აფინანსებდა“

შორენა მარსაგიშვილი

აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე აღშფოთებულია იმის გამო, რომ ამერიკა და ევროპა ასე უხეშად ერევა საქართველოს შიდა საქმეებში. მისი განცხადებით, ამ ევროპელ და ამერიკელ პოლიტიკოსებს ჩვენი ქვეყანა საერთოდ არ აინტერესებთ და მათი მთავარი საზრუნავი მორჩილი სააკაშვილის შენარჩუნებაა, რომელიც, ჯაველიძის თქმით, უცხოელ მფარველებს უხვად ასაჩუქრებდა. ახალმა ხელისუფლებამ რატომ უნდა დაივიწყოს სიტყვა კოჰაბიტაცია, რატომ არის დემოკრატია ყველაზე უშინაარსო სიტყვა, რა უნდა გაითვალისწინოს ივანიშვილმა — ამ თემებზე ელიზბარ ჯაველიძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.

– დღეს ხშირად გვესმის საუბრები კოჰაბიტაციაზე. ამაზე ხშირად ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებიც საუბრობენ. რომლებიც ხალხმა 1 ოქტომბერს სამართლიანობის აღსადგენად აირჩია. თქვენი აზრით, დღეს ქვეყნისთვის მთავარი რა არის, სამართლიანობის აღდგენა თუ კოჰაბიტაცია?

– დაივიწყეთ სიტყვა კოჰაბიტაცია, ეგ საქმე არ გამოვა! ქართული ოცნება ხალხმა იმიტომ არ აირჩია, რომ ისინი ნაციონალებს გაურიგდნენ? ხალხს სამართლიანობის აღდგენა სურს. ნაციონალებმა ქართველ ხალხს ღირსება შეულახეს და თავისუფლებისკენ სწრაფვა ჩაუხშეს. არადა, ქართველ კაცში გენეტიკურად ზის თავისუფლებისაკენ სწრაფვა. ძველმა ხელისუფლებამ უამრავი უსამართლობა ჩაიდინა. ქვეყანაში უსამართლობა ბატონობდა. ხალხი წლების განმავლობაში ელოდა სამართლიანობის აღდგენას. ქართველმა ხალხმა გააცნობიერა ისიც, რომ ნებსით თუ უნებლიეთ ვერ მოვიპოვეთ თავისუფლება. ჩვენ სხვა ქვეყნებზე ვართ დამოკიდებული. მის პოლიტიკას და ეკონომიკას განაგებს უცხო ქვეყნები. უკიდურესად მძიმეა ეკონომიკური და სოციალური ფონი. უმუშევრობის პრობლემაც არ მოგვარდა. საქართველო ფაქტიურად დაღუპვის პირას იდგა. ქართველ ხალხმა ამ პრობლემების გადამწყვეტ ადამიანად მიიჩნია ბიძინა ივანიშვილი, რომელიც არჩევნებამდე ერთი წლით ადრე გამოჩნდა პოლიტიკაში. სჯეროდათ, რომ ის შეძლებდა სამართლიანობის აღდგენას და სწორედ ამიტომ მისცეს მას ხმა. სხვების მსგავსად, თავიდან მეც კრიტიკულად შევხვდი მის გამოჩენას. მერე მივხვდი, რომ მას მართლაც უყვარს თავისი სამშობლო. ამ კაცმა მოახერხა და ყველაზე დიდი ჭირი, რაც კი სჭირდა საქართველოს, მოაშორა. ეს ჭირი გახლავთ სააკაშიზმი.

– მოიშორა კი?

– საქმეც მაგაშია, რომ ბოლომდე ამ ავადმყოფობისგან განკურნებული არა ვართ. მისი მთლიანად მოშორება საკმაოდ რთული იქნება.

– რატომ იქნება რთული?

– ეს ისეთი ავადმყოფობაა, რომელსაც ძალიან ღრმად აქვს ფესვები გადგმული. ძალიან ცუდია, რომ ეს ეპიდემია ახალი ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენლებსაც შეეყარა. რამდენიმე მიზეზის გამო არ არის ეს პრობლემა მოგვარებული.

– რა მიზეზებია? სად უშვებს შეცდომას ივანიშვილი?

– მოდით ივანიშვილს ნურაფერს ნუ დავაბრალებთ. მან უკვე გააკეთა ის, რაც უნდა გაეკეთებინა. ახლა ჯერი საზოგადოებაზეა. როცა ხელისუფლებაში ხარ ადამიანი, თავისუფლების ამპლიტუდა ნაკლები გაქვს. ივანიშვილი რაკი ხელისუფლებაშია, მას ვიღაცებისთვის ანგარიშის გაწევა უწევს. სამწუხაროდ, ის იმაზე ვეღარ ფიქრობს, თუ რას იტყვის მის გადაწყვეტილებაზე ქართველი ხალხი. მას უფრო მეტად აინტერესებს, რას იტყვის ამაზე დასავლეთი. ამ პრინციპით ცხოვრობდა ყოფილი ხელისუფლებაც, რომელსაც დემოკრატიის შუქურად მოიხსენიებდნენ. დღეს დემოკრატია არის ფუჭი სიტყვა. ასეთი შინაარსისგან დაცლილი სიტყვა მე არ მეგულება დედამიწის ზურგზე.

– რატომ შემოსწყრით ასე დემოკრატიას?

– დემოკრატიის სიმბოლოდ აღიარებული აშშ, დღესაც კი, სააკაშვილის მოღვაწეობას პოსტსაბჭოთა სივრცეში დემოკრატიის გაფურჩქვნად მიიჩნევს. მაშინ, როცა სააკაშვილის მმართველობა დესპოტიზმის უმაღლესი საფეხური იყო. ეს მათაც მშვენივრად იციან, მაგრამ მაინც მას უჭერენ მხარს. მხარს იმიტომ უჭერენ, რომ იციან, ასეთ მორჩილს და მათი ნების შემსრულებელს სხვას ვერ იპოვიან. ამიტომაც ატეხეს განგაში მის დასაცავად. ვერ ხედავთ, რა დღეში არიან ევროპარლამენტარები. მათ ეტყობა ფინანსები მოაკლდათ და ამიტომაც შფოთავენ.

– რა ფინანსების მოკლებაზე საუბრობთ?

– ყველამ იცის, რომ სააკაშვილი მათ ფულს უხდიდა. საქართველო ამ უცხოელი პოლიტიკოსების ქისა იყო და ჩვენთვის განკუთვნილი ფულით ისინი ტკბებოდნენ. პოლიტიკოსების ნაწილი წუხდება ხოლმე ევროპარლამენტარების განცხადებებზე. ნერვიულობენ, ევროპა ასე რომ ამბობს, რა იქნებაო. თქვენ ეს ევროპარლამენტი დიდი რამე ხომ არ გგონიათ. ეს არის წმინდა წყლის მასონური ორგანიზაცია, რომლის მთავარი მიზანია ეროვნულობის მოსპობა. ამერიკის მიზანი კი ის გახლავთ, რომ შეიქმნას იმპერიული სახელმწიფო, რომლის სათავეში თავად იქნება. სამწუხაროა, როგორც ზევით უკვე ვთქვი, რომ ახალ ხელისუფლებასაც ადარდებს, რას იტყვის დასავლეთი.

– არ უნდა ადარდებდეს?

– პირველ რიგში, იმით უნდა ინტერესდებოდეს, რას იტყვის საკუთარი მოსახლეობა. ამ ევროპის სახალხო პარტიას კიდევ რა ესაქმება ჩვენს საშინაო საქმეებში. მაგათ ვინ რას ეკითხება?! მაგათ საქართველო კი არ ადარდებთ, როგორც გითხარით, ის ფულები მოაკლდათ, რასაც სააკაშვილი მათ უხდიდა. ამის გარდა, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანაც სურთ.

– რა საქმეს გულისხმობთ?

– ქართველი ერის მოსპობა სურთ! აი, ეს არის მაგათი საქმე. თავად ეს კუდები გადმოსულია ახალ ხელისუფლებაში. ივანიშვილი ასე არ ფიქრობს. ის მიმაჩნია სუფთა წყაროდ. მაგრამ მილები, რომლითაც ეს წყარო ხალხამდე უნდა მივიდეს, გაფუჭებულია და წყალი ბინძურდება. ივანიშვილის გარშემო, სამწუხაროდ, ისეთმა ხალხმა მოიყარა თავი, რომლებსაც არ უყვართ სამშობლო. მათ პირველ ადგილზე საკუთარი თავი უყვნიათ. ასეთები, სხვათა შორის, ახალ ხელისუფლებაში მრავლად არიან. კონკრეტული პიროვნებების დასახელებისაგან თავს შევიკავებ, მაგრამ რესპუბლიკელებზე და ალასანიას პარტიაზე ღიად დავაფიქსირებ ჩემს პოზიციას. ისინი ქვეყნისთვის კი არა, საკუთარი თავისთვის იღწვიან. ივანიშვილი მათ შვებასავით მოევლინა. მიეკედლნენ მას და რაღაცებს ბეუტურებენ. ივანიშვილი პოლიტიკაში მოვიდა სუფთა კაცი.

– სამაგიეროდ, პოლიტიკაა ბინძური და შეინარჩუნებს ამ სისუფთავეს?

– სამწუხაროდ, პოლიტიკა ისეთი რამეა, სადაც ადამიანი ყველაფერს კადრულობს. თუ ამ ყველაფერს ქვეყნისა და სახელმწიფოსთვის კადრულობ, გეპატიება, მაგრამ თუ ამას საკუთარი თავისთვის კადრულობ, მაშინ ეს უზნეობაა. უბედურებაა, რომ ასეთი ხალხი კიდევ მრავლად არის პოლიტიკაში და რაც მთავარია, ახალ ხელისუფლებაში. არადა, ახლა ქვეყანას მძიმე ბრძოლები აქვს გადასატანი. ქვეყანაში სამართლიანობაა აღსადგენი. ნაციონალური მოძრაობა მთლიანად უნდა გასამართლდეს. ამას დიდი ძალისხმევა დასჭირდება. პირველ რიგში, ყველაფერს თავისი სათქმელი უნდა დავარქვათ. ეგენი საპარლამენტო უმცირესობა კი არა, ბოროტმოქმედთა ჯგუფია. ახლა ისინი დიდიან-პატარიანად ებრძვიან საქართველოს! სურთ საქართველოს უბედურება დაატეხონ თავს.

– ამბობთ, უნდათ თავს უბედურება დაგვატეხონო. ხალხს ძალიან ეშინია 19 აპრილის. ზოგიერთი ამბობს, რომ შესაძლოა იგივე მოხდეს, რაც 1991 წლის 2 სექტემბერს მოხდა. თქვენ იმ მოვლენების მომსწრე ხართ და შესაძლებელია ასეთი რამის განმეორება?

– 1991 წლის 2 სექტემბერს მოხდა წმინდა წყლის პროვოკაცია. მაშინ ვიღაცამ ჰაერში ისროლა. მერე დადგეს სპექტაკლი, თითქოს ვიღაც დაიჭრა. ამაზე აგორდა ანტიეროვნული ტალღა, რომლითაც დაამხეს ეროვნული ხელისუფლება. სხვათა შორის, მაშინ აქციაზე სულ რაღაც 400 კაცი იყო. ნაციონალები კი უფრო ბევრი ადამიანის გამოყვანას აპირებენ. მათ უკვე დაიწყეს სამზადისი იმ აქციისთვის, მიდის რაღაც შეკრებები და ცდილობენ ახალგაზრდობა წაგვართვან. გადამრევს ეს ხალხი, ვის გამო გამოდიან ქუჩაში, ბენდუქიძის?! მაგ კაცს რად უნდა დაცვა? მაგას ავტორიზაცია კი არ უნდა შეუჩერო, არამედ პირდაპირ ციხეში უნდა გაუშვა. მთელი სტრატეგიული ობიექტები მაგან და მაგის დამ შეისყიდეს. ეგ მეცენატი კი არა, სპეკულიანტია. იაფად ყიდულობდა და ძვირად ყიდიდა. ასე გაყიდა საქართველოს ქონება. მაგის მოგონილი არ არის ის ფრაზა, ყველაფერი იყიდება სინდისის გარდაო. სინდისი არასოდეს არ ჰქონდა, თორემ იმასაც გაყიდის. ასევე სულსაც გაყიდდა, მაგრამ სადა აქვს სული. ეგ მარტო ცარიელი ხორცია. ბენდუქიძე არის მოღალატე და შემოგზავნილი! როგორ შეიძლება მაგის გაკარება განათლებასთან. მაგან თქვა, რა უნდა საქართველოში სოფლის მეურნეობასო. საქართველოში გარედან შემოჰქონდათ უვარგისი პროდუქცია და ხალხს ფიზიკურად ანადგურებენ.

– მოდით, ისევ 19 აპრილს დავუბრუნდეთ, მოხდება რამე?

– ყველაფერს გააკეთებენ, რომ მოხდეს. ისინი ამისთვის საგულდაგულოდ ემზადებიან. მათ აქვთ დიდი ფული. მთაწმინდაზე რაღაც შტაბი აქვთ და იქ იკრიბებიან. ნელ-ნელა გამოდიან ასპარეზზე, ცდილობენ ახალგაზრდები გადაიბირონ. უნდათ შექმნან შთაბეჭდილება, რომ აქ ხალხი არის აღელვებული. სამწუხაროდ, ამაში მათ ხელს ივანიშვილის გარემოცვაც უწყობს. ამაზე ბოლო ინიციატივაც მეტყველებს, რომელიც ახალქალაქიდან წამოვიდა.

– სომხური ენისთვის რეგიონული ენის მინიჭებას რომ ითხოვენ, ეს გაქვთ მხედველობაში?

– მაგაზე მოგახსენებთ. ეს საკითხი ყოველთვის იდგა დღის წესრიგში. ამის ვალდებულება სააკაშვილმა 1999 წელს აიღო, როცა საქართველოს ევროსაბჭოში იღებდნენ. ამ წლების განმავლობაში ამ თემაზე ბევრი საუბრები მიდიოდა, მაგრამ ინიციატივა არასდროს არავის დაუყენებია. ახლა კი ამ ინიციატივით რესპუბლიკური პარტიის დეპუტატი გამოვიდა. ამით ივანიშვილს დამატებით ახალი პრობლემა შეუქმნეს.

– რესპუბლიკელები ამბობენ, რომ ამაში საგანგაშო არაფერია.

– ეგ თქვა თინა ხიდაშელმა. გაიძახის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებს უნდა მივხედოთო. ცუდი არაფერი არ არის იმაში თუ რეგიონებს მიხედავ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სომხურს და აზერბაიჯანულს რეგიონული ენის სტატუსი მიანიჭო. მესმის, რომ ამ ადამიანებს ქართული ენის უცოდინარობის გამო კომუნიკაციის პრობლემა ექმნებათ. ამიტომ მათ ქართული ენა უნდა ვასწავლოთ. საქართველოს უბედურება ისაა, რომ ამდენი წლის განმავლობაში არაფერი არ გავაკეთეთ, ამ ხალხს სახელმწიფო ენა რომ ესწავლათ. ამ შემთხვევაში არ მაინტერესებს, რას იტყვის ევროპა. ევროპარლამენტი და სხვა მასონური ორგანიზაციები ეროვნებების გაქრობას ცდილობენ. ჩვენ კი ვერ დავუშვებთ, რომ ქართველი ერი განადგურდეს. ამ მხრივ ისედაც სავალალოდ გვაქვს საქმე. ექსპერტები გამოდიან და ამბობენ, რომ რამდენიმე წელიწადში ქართველები საქართველოში უმცირესობა ვიქნებით. კარგი იქნება, ეს ევროპარლამენტარები ჭკუის დარიგებას თუ შეეშვებიან. მით უმეტეს, დემოკრატიაზე ნუ მიგვითითებენ. აქამდე რატომ სდუმდნენ, სააკაშვილი ხალხს ციხეებში რომ ყრიდა და ხოცავდა. აი, იმ ციხეებში უნდა შეეყარო ეგ ევროპარლამენტარები და იმ ცოცხებზე უნდა გადასვა ყველანი.

რა საფრთხეებს შეიცავს საქართველოსთვის რეგიონული ენები

გულიკო ბალაძე

უფლებადამცველი გიორგი თევზაძე აცხადებს, რომ „რეგიონული და უმცირესობათა ენების შესახებ ევროპული ქარტიის" საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიკაცია ქვეყნის სეპარატიზმის ნახალისების წინაპირობებს შექმნის.

გიორგი თევზაძე ფიქრობს, რომ ახალქალაქის საკრებულოს მიმართვა საქართველოს პარლამენტისადმი აღნიშნული ქარტიის რატიფიკაციის თაობაზე და ამ თემის აჟიტირება, გარკვეული ვიწრო პოლიტიკური ჯგუფების ინტერესებში შედის, რომელიც ანტისახელმწიფოებრივ მიზნებს ემსახურება.

– კატეგორიულად მიუღებელია ამ ქარტიის რატიფიცირება იმ სახით, როგორც ამას ცდილობენ გარკვეული პოლიტიკური ჯგუფები. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციებით, ეს არ არის ჩვენი საზოგადოების დაკვეთა და არ ასახავს საზოგადოების სურვილს, პირიქით, საზოგადოება კატეგორიულად მოითხოვს ჩართულობას ამ გადაწყვეტილების მიღებამდე. ჩემი განწყობა ემთხვევა საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის პოზიციას მასზედ, რომ არ მოხდეს ამ ქარტიის მიმართ საქართველოს შეერთება, რაც შეიძლება გამოყენებული იქნას ქვეყნის სეპარატიზმის ხელშესაწყობად და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დასაღვევად. აქვე აღვნიშნავთ, რომ საუბარი, რა თქმა უნდა, არ არის მხოლოდ რომელიმე ეთნიკური ჯგუფის ენის, თუნდაც სომხური ენისადმი სიმპათია–ანტიპათიაზე, საკითხი ეხება სახელმწიფო უსაფრთხოების თემას და საქართველოს რეალობაში ქმნის სერიოზულ საფრთხეებს, რომელიც შეიძლება თავისუფლად იქნას გამოყენებული შიდა და გარე მტრებისთვის, – აცხადებს გიორგი თევზაძე.

გიორგი თევზაძის აზრით, ეს საკითხი კონკრეტულ საფრთხეებს შეიცავს. კერძოდ, მას მიაჩნია:

– საქართველოს ტერიტორიების 20% ოკუპირებულია, საქართველოში მოქმედებენ გარკვეული ჯგუფები, რომელთაც ქართული საზოგადოებისთვის მიუღებელი ინტერესები ამოძრავებთ, ამას ემატება გარეშე ფაქტორები და ძალები, რომლებიც ცდილობენ საქართველოში არსებული რესურსი გამოიყენონ ქვეყნის ინტერესების საზიანოდ და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფისათვის. მუდმივად გვესმის სამცხე-ჯავახეთში მოქმედი ორგანიზაციების „ჯავახქის" და „ვირთის" განცხადებები, რომელიც შესაბამისობაში არ არის ქართული საზოგადოების უმეტესობის პოზიციებთან. საზოგადოებას აქვს ინფორმაცია ზუგდიდში მოქმედი განათლების ცენტრ „კოლხიდას" ხელმძღვანელის იური ღვინჯილიას პოზიცია მეგრული ენის რეგიონულ ენად შემოღების შესახებ, მაშინ როდესაც, საყოველთაოდ ცნობილია, რომ მეგრული, სვანური და სხვა კუთხური ენები არის დიალექტი და არა თვითმყოფადი ენები, რომ არაფერი ითქვას ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ამ ე.წ. „რეგიონულ ენებს" არ ცნობის ამავე კუთხის მოსახლეობა. თუმცა, ეს ანტისახელმწიფოებრივი და გაუმართლებელი მცდელობები სახეზეა და გამოსარკვევია ის ძალები, რომლებიც ამ თემის წამოწევას ინსპირირებენ. საბედნიეროდ ქართული საზოგადოების უმეტესობაში ადეკვატური განწყობა და დამოკიდებულებაა ე.წ. რეგიონული ენებისადმი, რითაც კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ეს პროცესები ეწინააღმდეგება ქართველი საზოგადოების სურვილს და სახელმწიფო ინტერესებს.

ამიტომ, როგორც უფლებადამცველმა და არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის „თქვენი უფლებებისათვის" სპიკერმა გავავრცელე განცხადება და დავაფიქსირეთ ჩემი და კოალიციის ნეგატიური პოზიცია ამ პროცესების მიმართ. ჩვენს განცხადებაში აღვნიშნეთ, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღება ანტისახელმწიფოებრივია და ეწინააღმდეგება ქვეყნის სუვერენიტეტის ინტერესებს. ეს იქნება გამოუსწორებელი შეცდომა დღევანდელი და მომავალი თაობების მიმართ. საუბარი არ არის სომხური ენისადმი და სომხური ეთნიკური ჯგუფისადმი რაიმე სიმპათია-ანტიპათიის თაობაზე. აქ საუბარია არასასურველ ტენდენციებზე, რომელიც შექმნის ქვეყნის ინტერესების ხელყოფის რეალურ საფუძველს და ასეთი გადაწყვეტილებისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომებია აუცილებელი. ჩვენ შევეხეთ იმ საერთაშორისო აქტებს, რომლებზეც აპელირებენ ეს სოციალური და პოლიტიკური ჯგუფები.

გიორგი თევზაძე აცხადებს:

– პირველ რიგში, საუბარია საქართველოს იმ ვალდებულებაზე, რომელიც იკისრა 1999 წელს, როდესაც საქართველო გახდა ევროსაბჭოს წევრი. დამოუკიდებელი შესწავლისა და რეაგირების საგანია იმ პოლიტიკოსების მოქმედება, რომელთა მოქმედებებიც გახდა ამჟამად მსჯელობის მიზეზი. ასევე საუბარია 1975 წლის ჰელსინკის საბოლოო აქტზე და 1990 წლის კოპენჰაგენის საბჭოს დოკუმენტზე, რომელიც ეხება ზოგადად ეთნიკური უმცირესობების თემას. უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკოსები და დაინტერესებული პირები ახდენენ ამ საერთაშორისო აქტების არასწორ ინტერპრეტაციას, რითაც ცდილობენ საზოგადოების შეცდომაში შეყვანას. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ეთნიკური უმცირესობები, განსაკუთრებით კომპაქტურად დასახლებული სომხურენოვანი მოსახლეობა იმაზე მეტი უფლებებით არის კონსტიტუციითა და საკანონმდებლო აქტებით უზრუნველყოფილი, ვიდრე საერთაშორისო დოკუმენტებითაა განსაზღვრული. გარდა ამისა, ამ დოკუმენტებში არის დათქმები, რომელიც მიზნად ისახავს იმ ეთნიკური ჯგუფის ენების სამართლებრივ დაცვას, რომელთაც ემუქრებათ გაქრობა. ეს საერთაშორისო აქტები ემსახურება სწორედ ამ კატეგორიის ენების დაცვას და არა სომხურის, აზერბაიჯანულის, ბერძნულის და სხვა მომძე ხალხების ენების დაცვას, რომელთაც ნამდვილად არ ემუქრებათ გაქრობა. ასევე გვსურს საზოგადოების ყურადღება შევაჩეროთ ერთ-ერთ საერთაშორისო აქტზე, რომელიც ეხება ეთნიკურ უმცირესობებს. ეს არის „ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ", რომელიც მიღებულია სტრასბურგში 1995 წელს. საერთაშორისო აქტის 21-ე მუხლის თანახმად: „არაფერია გათვალისწინებული წინამდებარე ჩარჩო კონვენციით, შეიძლება ახსნა-განმარტებული იქნას იმდაგვარად, რომ გულისხმობდეს რაიმე საქმიანობის წარმოებას ან რაიმე ქმედების შესრულების უფლებას, რაც წინააღმდეგობაში იქნება საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებთან და კერძოდ, სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის, ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის პრინციპებთან". ეს საერთაშორისო აქტები, რამდენიმე ფაქტორის გამო, ვერ განიხილება სათანადო საფუძვლად სომხური ენის რეგიონული ენად გამოცხადებისათვის. პირიქით, ასეთი გადაწყვეტილების მიღება ეწინააღმდეგება ამ საერთაშორისო აქტებს და ქართული სახელმწიფოს ინტერესებს. მიგვაჩნია, რომ ამ საკითხის წამოწევაც კი მიუღებელია საზოგადოებისა და ქვეყნის ინტერესებისათვის.

– როგორ ხედავთ მოვლენების განვითარების პერსპექტივას?

– პირველ რიგში, გაუგებარია, რატომ მოხდა ამ თემის წამოწევა ახალი ხელისუფლების პირობებში, მაშინ, როდესაც საკითხი დაკონსერვებული იყო მრავალი წლის განმავლობაში და არც კონკრეტული ვადებით არის საკითხი შეზღუდული. კითხვები უფრო მეტად ისმება იმ ფონზე, რომ საკითხის ფორსირება ხდება სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან, განსაკუთრებით, ახალქალაქიდან. რჩება საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ცალკეული ძალებისთვის ეს რეგიონი წარმოადგენს მანიპულაციების საშუალებას. ეს თემა დამაფიქრებელია იმ ფონზე, როდესაც მუდმივად არსებობს ადგილობრივი სომხურენოვანი მოსახლეობის მცირე ნაწილის გამოკვეთილი აგრესიული და არცთუ იშვიათად მაპროვოცირებელი დამოკიდებულება ქართული ენისა და ქართულენოვანი მოსახლეობის მიმართ, რაც არაერთხელ გამოვლინდა და საზოგადოებისათვის ზოგადად ცნობილი გახდა გარკვეული ფაქტებით. ამდენად, დაუსაბუთებელი და გაუმართლებელი იქნება ამ საკითხის პარლამენტში წამოწევა. საზოგადოების აბსოლუტურ უმეტესობაში არსებული პოზიციების გათვალისწინებით, ამ საკითხის არსებითი განხილვა, სამწუხაროდ, გამოიწვევს საქართველოს პარლამენტის მიმართ საზოგადოების ნდობის ხარისხის შემცირებას და, შესაბამისად, ეს საკითხი წარმოადგენს ტესტს მოქმედი ხელისუფლებისთვის. პირველ რიგში, პარლამენტის მიმართ. ასევე ეს იქნება მოქმედი ხელისუფლების პასუხისმგებლობა. დღევანდელი და მომავალი თაობების წინაშე. იმედია, საქართველოს პარლამენტი იხელმძღვანელებს სახელმწიფოებრივი ინტერესებით და საზოგადოების რეალურ პოზიციებს გაითვალისწინებს.

გიგი უგულავა ოფიციალური ვიზიტით სტრასბურგში გაემგზავრა

საქართველოს ოფიციალური დელეგაცია თბილისის მერის გიგი უგულავას ხელმძღვანელობით, სტრასბურგში ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესის 24-ე სესიაზე დასასწრებად გაემგზავრა.

მერიის პრესსამსახურის ინფორმაციით, სესიაზე გუშინ, ერთ-ერთ მთავარ საკითხად ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესის მიერ მომზადებული ანგარიში განიხილება. მოხსენების შემდეგ კი, დებატები და წარმოდგენილი რეკომენდაციების კენჭისყრა გაიმართება.

გუშინვე გიგი უგულავა ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს ტურბიორნ იაგლანდს, ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარს ნილ მუიჟნიეკს, ევროსაბჭოს ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესის გენერალურ მდივანს ანდრეას კიფერს და კონგრესის პრეზიდენტს ჰერვიგ ვან სტაას შეხვდა.

ნიუსპრესი

მაია ფანჯიკიძე: „სამცხე-ჯავახეთის ავტონომიაზე ლაპარაკი ვერ იქნება"

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძის განცხადებით, სამცხე-ჯავახეთის ავტონომიაზე ლაპარაკი ვერ იქნება, რადგან ეს რეგიონი საქართველოს ნაწილია, ხოლო იქ მცხოვრები სომხები – საქართველოს მოქალაქეები. აზერბაიჯანული მედიის ცნობით, ფანჯიკიძემ ეს განცხადება ბაქოში თავის აზერბაიჯანელ კოლეგა ელმარ მამედიაროვთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

მისი თქმით, სამცხე-ჯავახეთის ავტონომიის საკითხი საქართველოში საერთოდ არ დგას და ეს თემა აქტუალური არ არის.

მედიანიუსი

დღეს ტემპერატურა აიწევს

დღეს საქართველოს მასშტაბით ტემპერატურის მომატებაა ნავარაუდევი. როგორც გარემოს ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, დასავლეთ საქართველოში დღე უნალექოდ ჩაივლის. იქროლებს ცვალებადი მიმართულების ქარი 8-13 მეტრი წამში. ჰაერის ტემპერატურა დაბლობში 13-18 გრადუსამდე მოიმატებს, მთაში 9-14 გრადუსამდე, მაღალ მთაში კი 5-10 გრადუსამდე.

უნალექო ამინდი იქნება აღმოსავლეთ საქართველოშიც. დაუბერავს სუსტი ქარი. ბარში ჰაერი 15-20 გრადუსამდე გათბება, მთაში 9-14 გრადუსს მიაღწევს, მაღალ მთაში კი, 1-6 გრადუსს. ტემპერატურის მკვეთრი მომატებაა ნავარაუდევი თბილისშიც. აქ დღე უნალექდო ჩაივლის, იქროლებს სუსტი ქარი. ჰაერი კი 18 გრადუსამდე გათბება.

მედიანიუსი

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების სამუშაოები აქტიურ ფაზაში შედის

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 2012 წლის ნოემბრიდან დღემდე სულ 115 ტენდერია გამოცხადებული. მათ შორის: დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულ პროექტებზე – 17 საერთაშორისო ტენდერი. ხოლო საქართველოს ბიუჯეტით დაფინანსებულ საგზაო პროექტებზე– 98 ადგილობრივი ტენდერი. მათივე ინფორმაციით, აღნიშნულ პერიოდში დასრულებული ტენდერების შედეგად და წინა წლიდან გარდამავალი პროექტების ფარგლებში, საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების სხვადასხვა სამუშაოები (მშენებლობა-რეაბილიტაცია)79ობიექტზე მიმდინარეობს. თუმცა, ასეთი მასშტაბები ჯერჯერობით შესამჩნევი არ არის.

სად რა საგზაო სამუშაოები მიმდინარეობს და რა იგეგმება წლის განმავლობაში ამ საკითთან დაკავშირებით, გთავაზობთ საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარესთან ზაქარია ხუნძაყიშვილთან ინტერვიუს:

– ჯერჯერობით საგზაო სამუშაოების მასშტაბურობა არ ჩანს. უფრო კონკრეტულად, რამდენ გზაზე დაიწყო სამუშაოები?

– ამ პერიოდისათვის, სეზონს ვგულისხმობ, ძირითადად, ხელოვნური ნაგებობების მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს, რაცისეთი თვალსაჩინო არ არის საზოგადოებისათვის, როგორც გზის დაგების პროცესია. ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა და გზის საფარის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს ქობულეთის შემოვლით გზაზე, ქუთაისის შემოვლით და სამტრედია-ქუთაისის შემოვლით გზაზე; რუისი-აგარას 19 კმ-იან მონაკვეთზე; თბილისის შემოვლით გზაზე. სამშენებლო სამუშაოები გრძელდება სვენეთი-რუისის მონაკვეთზე, სადაც გორის გვირაბების პორტალებზე თანამედროვე ტექნოლოგიით ხორციელდება ფერდობების მოწყობა და ლიახვის ხიდების გასწვრივ სარეგულაციო კედლები შენდება. ქობულეთის შემოვლითი გზის მეორე ლოტზე,ანუ ახალ 18 კმ-იან მონაკვეთზეამდროისთვის დასასრულს უახლოვდება განსახლების გეგმით გათვალისწინებული პროცედურები და პირველი 6 კილომეტრის სამშენებლო სამუშაოები მარტის ბოლომდე დაიწყება; როგორც კი თოვლის საფარი აღარ იქნება და კლიმატური პირობები საშუალებას მისცემს მშენებელს, დაიწყება გველეთის ხიდის მშენებლობა. ერთი კვირის წინ, საერთაშორისო სატენდერო პროცედურები დასრულდა და ამ დღეებში მშენებლობის პროცესი დაიწყება ზესტაფონი-ქუთაისის შემოვლით გზაზე, რომელიც მოცულობითა და ბიუჯეტით წლის ერთ-ერთი ყველაზე დიდი პროექტია. ამ პროექტის ღირებულება 118.462.944,42 ლარია.

– ეს რაც შეეხება დიდ პროექტებს, მაგრამ რეგიონებში გზების რეაბილიტაცია ყველაზე აქტუალური თემაა. ამ მხრივ რა სურათი გვაქვს?

– ვიცით რომ ეს ერთ-ერთი აქტუალური და პრობლემური თემაა რეგიონებში. სარეაბილიტაციო სამუშაოები დაწყებულია იმ რეგიონებში, სადაც ამინდი იძლევა სამუშაოების წარმოების საშუალებას. ჩვენ, საზოგადოების ინტერესის გათვალისწინებით, ჩვენი ვებგვერდის ფოტოგალერეის განყოფილებაში – „მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების' ალბომში ვათავსებთ საზედამხედველო ორგანიზაციების მიერ მოწოდებულ ფოტომასალას, სადაც ჩანს სად რა სამუშაოები მიმდინარეობს. ამდროისთვის მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ამიტომ შედარებით დიდ პროექტებზე მოგაწვდით ინფორმაციას: დაიწყო გომი-საჩხერისგზის 7 კილომეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაცია, რომელიც სამ სოფელს: გორისას, მეჯევსა და წითელ სოფელს გაივლის. თუმცა, ამ გზის სხვა მონაკვეთების რეაბილიტაციის საკითხსაც განვიხილავთ. მიმდინარეობს მდინარე ჭოროხზე 473 მეტრიანი, 8 მალიანი ხიდის კაპიტალური რეაბილიტაცია; უახლოეს პერიოდში იწყება წნორი-დედოფლისწყარო-ქვემოქედის გზის8 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია, რომელიც ორ სოფელს – არხელოსკარსა და ქვემოქედს აკავშირებს;იწყება იგოეთი-ახმაჯის 9,5 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია, რომელიც ახალგორის რაიონს ესაზღვრება. ამ გზის ბოლო 3 კილომეტის რეაბილიტაციას ვერ ვახორციელებთ, რადგან კონფლიქტის ზოლშია მოქცეული. როგორც კი კლიმატური პირობები გაუმჯობესდება, ვიწყებთ გუდაურიკობის 11,3 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაციას, სადაც ბეტონის გზა დაიგება. ამ საკმაოდ დიდი პროექტის ფარგლებში, რეაბილიტაცია ჩაუტარდება 2 ისტორიულ ქვის თაღოვან ხიდს, რომლებიც 1864 წელსაა აშენებული და 3 არსებულ გვირაბს. ასევე, გუდაური-კობის მონაკვეთზე აშენდება 1 ახალი ხიდი. გარდა ამისა, გრძელდება ტენდერების გამოცხადება სხვა გზებზე განსახორციელებელ სამუშაოებზე. მინდა გითხრათ,რომწლის განმავლობაში 250 კმ. გზის რეაბილიტაცია გვაქვს დაგეგმილი და ყველა პროექტის მიმდინარეობის გრაფიკი მკაცრად გაკონტროლდება.გამოდარებასთან ერთად, საგზაო სამუშაოების მიმდინარეობა უფრო შესამჩნევი იქნება და გარკვეული დროის მანძილზე დისკომფორტსაც შეუქმნის ჩვენს მოქალაქეებს, რისთვისაც წინასწარ ვუხდით ბოდიშს.

კახი კახიშვილი: „სააკაშვილი ამ მთავრობის დათხოვნას ვერ გაბედავს“

შორენა გონგლაძე

საარჩევნო და პოლიტტექნოლოგიების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელ კახი კახიშვილის აზრით, სტრატეგიულად დღეს ბიძინა ივანიშვილს აწყობს მთავრობის დათხოვნა – ამის შესახებ განცხადება კახი კახიშვილმა „პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში სტუმრობისას გააკეთა. კახიშვილის თქმით, თუ სააკაშვილი დაითხოვს მთავრობას, ამას სერიოზული პროტესტი მოჰყვება საზოგადოების მხრიდან, რაც მთლიანად წალეკავს ნაციონალურ მოძრაობას. კახიშვილი მიიჩნევს, რომ სტრატეგიულად თავიდანვე არასწორი იყო, როდესაც „ქართულმა ოცნებამ“ აღნიშნულ საკონსტიტუციო ცვლილებებზე დიდი პიარი ააგო, მას პოლიტიკური ფასი აუწია და პოლიტიკური ვაჭრობის საგნად აქცია.

– სააკაშვილისთვის სახიფათოა სარისკო გადაწყვეტილებების მიღება, მაგალითად, ისეთი, როგორიც არის მთავრობის დათხოვნა. ეს მთავრობა არ არის გილაურის ტიპის მთავრობა. ამ მთავრობას ხელმძღვანელობს ბიძინა ივანიშვილი. მე ვიცი, რომ მიშა ვერ გაბედავს ამ მთავრობის დათხოვნას, თუ მთავრობა არ მისცეს ამის შესაძლებლობას. სტრატეგიულად ვისაც აწყობს დღეს მთავრობის დათხოვნა, ეს არის ბიძინა ივანიშვილი. ამ შემთხვევაში გარანტირებულად ხალხი ქუჩაში გამოვა და წალეკავს ნაციონალურ მოძრაობას, – აცხადებს კახიშვილი და ამბობს, რომ არასწორია ის, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები პოლიტიკური ვაჭრობის საგნად იქცა.

– მე ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ეს კონსტიტუციური ცვლილებები დიდი ფარია და ის სჭირდება ორივე მხარეს, რომ უფრო მნიშვნელოვანი საკითხები დარჩეს ყურადღების მიღმა. ჩემი აზრით, ვიღაცები ცდილობენ პრემიერის დარწმუნებას, რომ ამას სერიოზული საფრთხეები შეიძლება მოჰყვეს, რომ მერე რაღაც ყურადღება მოიპოვოს. ეს კი თავისთავად აწყობს „ნაციონალურ მოძრაობასაც“ და მიდის ამაზე ვაჭრობა. ნაციონალური მოძრაობა ცდილობს, რომ მეტი დაათმინოს ხელისუფლებას. ნაციონალური მოძრაობა ცდილობს და გამოსდის კიდევაც, რომ ხელისუფლება ჰყავდეს ყოველდღიურად თავის მართლების რეჟიმში, ხან პარლამენტის უმრავლესობა და ხან მთავრობა. ამიტომაც თანმიმდევრული პოლიტიკის გატარება მართებს ხელისუფლებას. მე ვიცი, რომ სააკაშვილი ვერ გაბედავს ამ მთავრობის დათხოვნას, თუ ეს მთავრობა არ მისცემს ამის შესაძლებლობას. როდესაც შენ ხარ მთავრობაში და ხელთ გაქვს ყველა სახელისუფლებო ბერკეტი, გიწყობენ გადატრიალებას და, თუ ამ გადატრიალებას მოგიწყობენ, ეს მხოლოდ და მხოლოდ შენს სისუსტეზე მიანიშნებს. ხელისუფლებაში ყოფნა იძლევა იმის საშუალებას, რომ ძალიან ბევრ საფრთხეს აარიდო თავი, თუ ხელისუფლება იქნება თანმიმდევრული, ამ შემთხვევაში ის არ მისცემს ამის საფუძვლებს, – აცხადებს კახიშვილი. მისივე თქმით, სააკაშვილისთვის მთავრობის დათხოვნა დიდ რისკებთანაა დაკავშირებული.

– სააკაშვილმა თვითონაც კარგად იცის, რომ მთავრობას ვერ დაითხოვს, თუნდაც შემდგომში განვითარებული პროცესების შიშით ვერ გააკეთებს ამას. საქმე ისაა, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ „ქართული ოცნების“ ხელშეწყობით მოახერხა და სიდიდით მეორე ოპოზიციურ პარტიად დაიმკვიდრა თავი, მან შეძლო ინიციატივების ხელში აღება, მედიასივრცის ოკუპირება და თემებს მუდმივად კარნახობს ხელისუფლებას. ასეთ ვითარებაში სააკაშვილისთვის ძალიან სახიფათოა ისეთი სარისკო ნაბიჯების გადადგმა, როგორიცაა მთავრობის დათხოვნა. ეს არ არის გილაურის ტიპის მთავრობა, ამას შეურაცხყოფის მიზნით არ ვამბობ, არამედ – მთავრობის მეთაურის კონტექსტიდან გამომდინარე. ამ მთავრობის ხელმძღვანელზე დიდი იმედებია საქართველოს მოსახლეობაში, ხალხმა ის პირდაპირი წესით პრეზიდენტად არ აირჩია, მაგრამ ირიბად აირჩია მთავრობის თავმჯდომარედ. აქედან გამომდინარე, საუბარი იმაზე, რომ ბიძინა ივანიშვილს მიშა სააკაშვილი დაითხოვს, არასერიოზულია, – აცხადებს კახიშვილი.

თედიაშვილს ოლიმპიურ კომიტეტში პატივი მიაგეს

ბუმბერაზ მოჭიდავეს, ქართული სპორტის ლეგენდას, ლევან თედიაშვილს, 65 წელი შეუსრულდა. თავისუფალ ჭიდაობაში ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს (მიუნხენი 1972, მონრეალი 1976), მსოფლიოს ხუთგზისა და ევროპის სამგზის ჩემპიონს, მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულს ეს საიუბილეო თარიღი საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში მიულოცეს.

ლევან თედიაშვილის დასაფასებლად სეოკ-ის ოფისში ოლიმპიური ჩემპიონები და ქართული სპორტის ხელმძღვანელები შეიკრიბნენ. იუბილეს ოფიციალური ნაწილი სეოკ-ის თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ მუზეუმში ქართველ ოლიმპიურ ჩემპიონებზე ჟურნალისტ თამარ ბალავაძის მიერ მომზადებული პროექტის – „ერთი ჩემპიონის ისტორიიდან“ ლევან თედიაშვილზე შექმნილი ფილმით დაიწყო, შემდეგ კი სეოკ-ის საპრესკონფერენციო დარბაზში ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა იუბილარი ქართულ სპორტში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის სეოკ-ის უმაღლესი ჯილდო – ოლიმპიური ორდენი და ფულადი პრემია გადასცა. ლევან თედიაშვილს საიუბილეო თარიღი მიულოცეს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძე, ოლიმპიურმა ჩემპიონმა რობერტ შავლაყაძემ, რომელსაც 1 აპრილს 80 წელი უსრულდება, სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ნინო სალუქვაძემ, ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა ლუკა კურტანიძემ, ჟურნალისტებმა პაატა ნაცვლიშვილმა, გია გორგოძემ და სხვა ვეტერანმა სპორტსმენებმა.

ლერი ხაბელოვი:

– ლევან თედიაშვილმა დიდებული ეპოქა შექმნა. მქონდა ბედნიერება, ჯერ კიდევ პატარა სპორტსმენს მისი მეთვალყურეობის ქვეშ მევარჯიშა. ლევანის აქტიური სპორტიდან წასვლის შემდეგ ქართულ ჭიდაობას ერთი პერიოდი ჩავარდნა ჰქონდა, შემდეგ კი მე და დავით გობეჯიშვილმა მივაღწიეთ წარმატებას. ლევან თედიაშვილი არა მხოლოდ ჭიდაობის, არამედ ქართული სპორტის ლეგენდაა და მის ნაკვალევზე მომავალი თაობები უნდა აღიზარდონ.

თამაზ თევზაძემ თედიაშვილს მადლობა იმ ბრწყინვალე გამარჯვებებით გამოწვეული დიდი სიხარულისთვის გადაუხადა, რასაც ქართველი ფალავანი ქომაგებს წლების მანძილზე ანიჭებდა.

ლუკა კურტანიძის თქმით იგი ბედნიერია, რომ ლევან თედიაშვილის გაკვალულ გზაზე მოუხდა სიარული და ჭიდაობის ფედერაციის ვალია, ასეთი სპორტსმენები მაქსიმალურად დაიფასონ. იუბილარს დაბადების დღე მიულოცა კომპანია „სოკარის“ წარმომადგენელმაც.

ლევან თედიაშვილი ბოლო დროს ჩრდილში იყო და სასიხარულოა, რომ რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ იგი ქართული სპორტისკენ კვლავ შემობრუნდა.

მ. ჟ.

როგორ უნდა ხდებოდეს დევნილების განსახლება

მერი ნამორაძე

დევნილი საზოგადოების ნაწილი დევნილთა და განსახლების სამინისტროს მიერ შემუშავებული კრიტერიუმებით, რომლითაც მათი განსახლება უნდა მოხდეს, უკმაყოფილოა. როგორც დევნილი სამოქალაქო საზოგადოების კოალიციის ხელმძღვანელი ლელა გულედანი ამბობს, ახალი ამ კრიტერიუმებში არაფერია და არც პრიორიტეტებია შეცვლილი.

ლელა გულედანი:

– ეს არის ფაქტიურად ტყუილი, კრიტერიუმებში ახალი არაფერია.

– როგორ ფიქრობთ, ასე რატომ მოხდა?

– არ ვიცი, მეც ძალიან გაკვირვებული ვარ. კრიტერიუმები არსებობდა, ოფიციალურ საიტზეც იდო ბოლო სამი წლის განმავლობაში. ამათ ქულები შეცვალეს, სხვა ცვლილებები არ შეუტანიათ. რაზეც გავლიზიანდი და რამაც ჩემი აღშფოთება გამოიწვია, იყო ის, რომ თქვეს, კრიტერიუმები ახალიაო. ქულები არსებობდა, შერჩევის კრიტერიუმები არსებობდა, თუ იყო 382 ქულა უმაღლესი, ახლა შეცვალეს 5 ქულით. მეტი სხვა ცვლილება მათ არ განუხორციელებიათ. პრიორიტეტებიც იგივე დარჩა.

– განსახლების შემთხვევაში პრიორიტეტები როგორ გადანაწილდება?

– იგივე სიტუაცია გვაქვს, ისევ ნგრევადი ობიექტი იქნება პრიორიტეტი. ყველაზე მეტი ქულა მათ მიენიჭებათ. შემდეგ მოდის სოციალურად დაუცველი, ომის ვეტერანი, მარტოხელა დედა, ეს ისედაც იყო ძველ კრიტერიუმებში. ამათ, უბრალოდ, ტერმინებში რაღაც შეცვალეს.

– რა უნდა იყოს პრიორიტეტული ნგრევადი ობიექტების ნაცვლად?

– პრიორიტეტი უნდა იყოს კერძო სექტორი. კიდევ რაშია იცით საქმე, ნგრევადი ობიექტების სიას ისევ არ ასაჯაროებს სამინისტრო. პირდაპირ დავუსვი ეს შეკითხვა დავით დარახველიძეს, როდესაც დევნილ საზოგადოებას შეხვდა, თუ რატომ არ გვაქვს იმ ნგრევადი ობიექტების სია, რომელსაც წინა ხელისუფლება მალავდა. მხოლოდ ორი ობიექტი დაასახელა, სხვა დანარჩენი არ დაუსახელებია. არ ასაჯაროებენ, რადგან ძალიან ბევრიაო, თქვა. საკმაოდ დიდი სიაა, რომლის თქმა დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევს დევნილებში.

– რომელი ობიექტები დააკონკრეტა მინისტრმა?

– ერთი ბაგებშია, მეორე არ მახსოვს.

– რატომ უნდა დარჩნენ დევნილები უკმაყოფილონი, როცა ხელისუფლება მათ დაკანონებულ ალტერნატიულ ფართებს შესთავაზებს?

– ხალხი რეალურად სადაც ცხოვრობს, იმ ობიექტების დაკანონებას ელოდება, მაგრამ, როგორც ჩანს, სინამდვილეში არ დაკანონდება. საჯაროო რომ გახდეს ეს ინფორმაცია ნგრევადი ობიექტის შესახებ, შეიძლება ეს სტატუსიც არ გამართლდეს, როცა შენობის საფუძვლიანი შესწავლა მოხდება. შეიძლება ეს იყოს ერთ-ერთი ტყუილი მიზეზი ობიექტის დასაცლელად. არის ობიექტები, რომლებიც ექვემდებარება გამაგრებას და სულაც არ არის ნგრევადი. უბრალოდ აწყობთ, რომ ნგრევადის სტატუსი ჰქონდეს. წინა ხელისუფლებას ასე აწყობდა. სტრატეგიაში, რომლის შეცვლას ბატონი დავითი შეგვპირდა, ის დაამატეს, რომ დევნილებს ბინებს აუშენებენ თბილისში, მაგრამ ისევ ისე დარჩა, რომ სახელმწიფო კერძო მესაკუთრის ინტერესს დაიცავს და დევნილებს გამოიყვანს შენობებიდან. სტრატეგიული ობიექტებიდანაც, ბაღის შენობა იქნება თუ საავადმყოფოსი, დევნილებს გამოიყვანს და მოიხმარს სახელმწიფო დანიშნულებისამებრ. მთელი რიგი პუნქტებია, რომლებიც არ შეცვლილა და დევნილთა ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებს. ტყუილი ძალიან გამიკვირდა სამინისტროს მხრიდან. რომ ეთქვათ, ასე იყო და რაღაც შევცვალეთო, ეს სხვა ამბავი იქნებოდა. არადა თქვეს, რომ ჩვენ მივიღეთ და აქამდე არ ყოფილაო.

– დევნილთა ნაწილი ქალაქის ცენტრალურ უბნებში ძვირადღირებულ ფართებზეა შესახლებული. იქნებ ხელისუფლებას ურჩევნია ამ ფართების სოლიდურ ფასში გაყიდვა და შემდეგ დევნილთა ბინების აშენება იქ, სადაც თავად მიიჩნევს საჭიროდ, ანუ სადაც შეეძლება, იქ დაასახლებს ამ ხალხს.

– მაშინ პირდაპირ თქვას, რომ არ ითვალისწინებს დევნილთა აზრს. თუ წერია, ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება, ინფორმირებული არჩევანი უნდა გააკეთოს დევნილმა, თავისით უნდა აირჩიოს, მაშინ პირდაპირ თქვან სტრატეგიაში, რომ მე სადაც გეტყვი, იქ უნდა წახვიდე. რად უნდათ ამხელა ტყუილი? ვინც ადაპტაციას განიცდის ქალაქში, ვინც აქ მუშაობს და ცხოვრობს, თბილისს შევთავაზებთო, – ამბობდნენ. მესმის, რომ პრესტიჟული ადგილები არ არის მიზანშეწონილი გადაეცეთ დევნილებს, სტრატეგიული ობიექტებიც სჭირდება სახელმწიფოს, მაგრამ თუ აშენება უფრო ძვირი დაჯდება, ვიდრე ამ ობიექტების გაყიდვა ან პირვანდელი ფუნქციის მინიჭება, გადათვალონ ეს კარგად, რომელი ჯობია ფინანსურად სახელმწიფოსთვის. უფრო ძვირი დაჯდება ამ ხალხისთვის ბინების მშენებლობა. მთელი საქართველოს ნახევარი ბიუჯეტი არ ეყოფა. კარგად უნდა დათვალონ, რა ჯობია, ახალი ბინათმშენებლობა თუ რაც გამაგრებას ექვემდებარება, გამაგრდეს და დატოვონ იქ დევნილები. აზერბაიჯანის წარმომადგენლებს შეხვდა მინისტრი, აზერბაიჯანმა მოახერხა თავისი დევნილი მილიონი ოჯახისთვის ბინების აშენება და ჩვენთან რა გახდა? 25 ათასი ოჯახია მხოლოდ დაკმაყოფილებული. მაგრამ პრიორიტეტები არასწორად არის ბიუჯეტში განსაზღვრული. დევნილები არასოდეს იყვნენ სახელმწიფოსთვის პრიორიტეტები და ვწუხვარ, რომ მგონი, არც ახლა იქნებიან.

– რამდენი ოჯახი ელოდება განსახლებას?

– დარჩენილია 65 ათასი ოჯახი. ძალიან წუხს თავად მინისტრი, როგორ დაკმაყოფილოს ეს ხალხი, არ იცის.

– მან 4 წელი დაასახელა დევნილთა სრულიად დასაკმაყოფილებლად!

– 4 წელზე აკეთებს გათვლას, მაგრამ მეეჭვება, რომ 4 წელიწადში მოახერხოს. წელს 2500-მდე ოჯახს დავაკმაყოფილებთ, მეტს ვერაო. ეს არის ძალიან მცირე რაოდენობა. ასეთი ტემპებით მეეჭვება 4 წელიწადში დასრულდეს ეს პროცესი. ამიტომ სწორად უნდა მოიფიქრონ, კარგად დათვალონ, რა როგორ ჯობია.

სამინისტროსთან თანამშრომლობის რეჟიმშიც ვერ გადავედით. კრიტერიუმების განხილვა რომ იწყებოდა, ჩვენი აზრები არ გაითვალისწინეს და პროტესტის ნიშნად აღარ მივიღეთ განხილვაში მონაწილეობა. სამწუხაროდ, ერთი და იგივე არასამთავრობო ორგანიზაციები იღებენ ამაში მონაწილეობას – წინა ხელისუფლების პირობებში ვინც მონაწილეობდა და კვერს უკრავდა მათ, იგივე სიტუაცია დარჩა. ჩვენ გარიყულები ვართ რატომღაც. არადა, ხალხთან კონტაქტი ჩვენ გვაქვს. პირველ რიგში სტრატეგიის შეცვლას ვითხოვდით, მინისტრი გვპირდებოდა, რომ კომისიების მუშაობაში ჩაგვრთავდა, მაგრამ ამას ქმედითი ნაბიჯები არ მოჰყოლია. კრიტერიუმების მომზადებაში უცხოელი ექსპერტებიც იღებდნენ მონაწილეობას, რომლებსაც არანაირი კონტაქტი არ აქვთ დევნილებთან და პრაქტიკასთან ახლოს არ არის ეს კრიტერიუმები. მათ ხალხთან რომ ჰქონოდათ ურთიერთობა, ამ კრიტერიუმებს ნამდვილად არ დაუჭერდნენ მხარს. ხალხისგან სულ სხვა მოთხოვნაა, ამ ქულებზე საერთოდ გაგიჟდებიან დევნილები, ისედაც გაგიჟებულები არიან.

– მაინც რა არის ასეთი არარეალური ამ კრიტერიუმებში?

– ჯერ ერთი, ტექნიკურად ძალიან რთული დასათვლელია. წინა ხელისუფლების პირობებშიც ძალიან უჭირდათ ქულების მინიჭება. დევნილთა დეპარტამენტს დებულებაც არ აქვს, რომ ქულების დათვლა დაიწყოს. კომისია რომ დგება, აღარ იციან, ვის მიანიჭონ პრიორიტეტი, ძალიან რთულ სიტუაციაში ვარდებიან. თუ ნგრევადი ობიექტი ამათთვის პრიორიტეტია და იგი მთლიანად დასაცლელია, ყველა დევნილი უნდა გამოიყვანოს, ერთ ოჯახს ხომ არ დატოვებს? ამ დროს იქ სოციალურად დაუცველიც არის, არის ისეთიც, რომელსაც არ უჭირს, ბინაც შეიძლება ნაყიდი ჰქონდეს და ისიც შედის განსახლების პროგრამაში. აქ უკვე კერძო სექტორის მცხოვრებლები ისევ განზე რჩებიან, რომლებიც ათეული წლებია ქირას იხდიან და არასოდეს კომპაქტურში არ უცხოვრია.

– ვინც ბინის შეძენა მოახერხა, იმას რა ბედი ელის?

– კერძო სექტორში ითვლებიან ისინი. მათთვის კიდევ ცალკე პროგრამაა. სამინისტროსთვის ისედაც არ იყვნენ ისინი პრიორიტეტულნი და არც ახლა იქნებიან.

– ხშირია შემთხვევები, როცა შეძენილ ბინებს დევნილები მალავენ?

– კი, ასეთი ფაქტები არის, მაგრამ სამინისტრო მუშაობს იმაზე, რომ ეს ინფორმაციები მოიპოვოს. ყველაფერი კარგად იციან, რეესტრთან თუ შემოსავლების სამსახურთან თანამშრომლობენ და ინფორმაციას ადვილად ფლობენ დევნილების შესახებ. გვპირდებიან, რომ ქულების დათვლა იქნება გამჭვირვალე და ვნახოთ, არ გაამართლებს ეს მეთოდი, რადგან ფაქტიურად არაფერი შეუცვლიათ. ბატონი დავითი ძალიან კომპეტენტური გახდა დევნილთა პრობლემებთან დაკავშირებით, მაგრამ ისეთი ადამიანები უნდა შემოეკრიბა გარშემო, რომელიც წინა ხელისუფლების ხალხს ჭკუაზე მოიყვანდა. ფაქტიურად ახალი კადრები მოექცნენ ძველი კადრების გავლენის ქვეშ.

– მაქსიმალურად შენარჩუნებულია ძველი კადრები სამინისტროში?

– კი, კი! ამაზე პრეტენზია ბევრჯერ გამოხატეს დევნილებმა და დღესაც აქვთ ეს პრეტენზია. იმავე კადრებს რომ ხედავენ, ხალხს ნდობა ეკარგება. აღარ სჯერათ, რომ რამე შეიცვლება.

ნანა ფაჩუაშვილს ვარსკვლავს გაუხსნიან

ეკა ირემაშვილი

რუსთაველის თეატრის მსახიობს ნანა ფაჩუაშვილს 31 მარტს მშობლიური თეატრის წინ ვარსკვლავს გაუხსნიან. ამავე დღეს გაიმართება მსახიობის ბენეფისიც.

– 31 მარტს რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე გაიმართება საქართველოს სახალხო არტისტის ნანა ფაჩუაშვილის ბენეფისი და ვარსკვლავის გახსნა, რომელიც რამდენიმე ღონისძიებას მოიცავს. ვარსკვლავის გახსნამდე შედგება წიგნის პრეზენტაცია ,,მე და ჩემი რეჟისორები", რომლის ავტორია მანანა თევზაძე. წიგნი გამოიცა თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის დაფინანსებით, მეორე ნაწილი კი უკვე ბენეფისია, სადაც წარმოდგენილი იქნება ნაწყვეტები ნანა ფაჩუაშვილის სპექტაკლებიდან ,,დარისპანის გასაჭირი" რუსთაველის თეატრი (რეჟისორი რობერტ სტურუა), ,,აღდგომა გაუქმებულ სასაფლაოზე" რუსთაველის თეატრი (რეჟისორი გოგა თავაძე), „მილიონერის ვიზიტი" ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი (რეჟისორი დათო ანდღულაძე) და „გამარჯობა, ასდოლარიანო" თეატრი ათონელზე (რეჟისორი ქეთი დოლიძე), – აღნიშნულია თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ოფიციალურ ვებგვერდზე.

ნანა ფაჩუაშვილს ბენეფისზე პარტნიორობას გაუწევენ ნინელი ჭანკვეტაძე და ნუგზარ რუხაძე, ასევე რუსთაველის თეატრის მსახიობები ნინო კასრაძე, ზაზა პაპუაშვილი, დათო პაპუაშვილი და მარი ჯანაშია. ნაჩვენები იქნება ნანა ფაჩუაშვილის როლების ვიდეოკოლაჟიც. ბენეფისის თანადამფინანსებელია თბილისის მერია, რომელიც ასევე ნანა ფაჩუაშვილს დაუჯილდოებს საპატიო წოდებით „ქართული კულტურის ამაგდარი". ღონისძიების მესამე ნაწილია ნანა ფაჩუაშვილის სახელობის ვარსკვლავის გახსნა რუსთაველის თეატრის წინ, ხოლო დასკვნით აკორდად წარმოდგენილი იქნება რუსთაველის თეატრის ძველი ტრადიცია – ქიმერიონში გაიმართება საზეიმო მიღება.

მიუხედავად იმისა, რომ ქალებს ასაკს არ ეკითხებიან, ნანა ფაჩუაშვილის შემთხვევაში მისი ასაკი ცნობილია. მსახიობი 70 წლისაა. უნდა ვაღიაროთ, რომ მსახიობს ასაკი ნამდვილად არ ეტყობა და მშვენივრად გამოიყურება. შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის დასრულების შემდეგ მან მუშაობა რუსთაველის თეატრში დაიწყო, სადაც განახორციელა როლები ევა (შტოკის ,,ღვთაებრივი კომედია", რეჟისორი ბადრი კობახიძე), მზია (გაგა ნახუცრიშვილის ,,ჭინჭრაქა", რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი), პოლი პიჩემი (ბერტოლტ ბრეხტის ,,სამგროშიანი ოპერა", რეჟისორი დოდო ალექსიძე), სუსანა (არტურ მილერის ,,სეილემის პროცესი", რეჟისორი რობერტ სტურუა), თმაგაჩეჩილი, მოღიმარი, მოტრარალი, მწვანეკაბიანი სოფლელი გოგონა, დედოფალი (სულხან-საბა ორბელიანის ,,სიბრძნე სიცრუისა", რეჟისორი ნანა ხატისკაცი), ლია და გულიკო (ნოდარ დუმბაძის ,,მზიანი ღამე", რეჟისორი რობერტ სტურუა), სონა (ავქსენტი ცაგარელის ,,ხანუმა", რეჟისორი რობერტ სტურუა), ფაცია (შალვა დადიანის ,,გუშინდელნი", რეჟისორი თემურ ჩხეიძე), ელისო (თამაზ ჭილაძის ,,აკვარიუმი", რეჟისორი გიზო ჟორდანია),

მარიკა (თამაზ ჭილაძის ,,მოუღოდნელი სტუმარი", რეჟისორი თემურ ჩხეიძე), ადელა (გარსია ლორკას ,,ბერნარდა ალბას სახლი", რეჟისორი თემურ ჩხეიძე), მეორე ბანოვანი (ბერტოლტ ბრეხტის ,,კავკასიური ცარცის წრე", რეჟისორი რობერტ სტურუა), ლედი ანა (უილიამ შექსპირის ,,რიჩარდ III", რეჟისორი რობერტ სტურუა), იამზე (მეტრეველის ,,შეშლილი, შეშლილი ახალი წელი", რეჟისორი რეზო ჩხაიძე), ქვრივი (იბრაგიმბეგოვის ,,დაკრძალვა კალიფორნიაში", რეჟისორი რობერტ სტურუა), ქალი (გელმანის ,,გასაღები", რეჟისორი ანთაძე), ეკა (დავით კლდიაშვილის ,,ირინეს ბედნიერება", რეჟისორი ანდრო ენუქიძე), თინა (გერში ,,ეს თავისუფალი პეპლები", რეჟისორი დავით მღებრიშვილი), ცაცა (ირაკლი სამსონაძის ,,იქ სადაც ღვარად მოედინება", რეჟისორი გოგა თავაძე), ლიზიკო (თამაზ ჭილაძის ,,ნახვის დღე", რეჟისორები რობერტ სტურუა, გოგა თავაძე), პელაგია (დავით კლდიაშვილის ,,დარისპანის გასაჭირი", რეჟისორები რობერტ სტურუა, ზაზა პაპუაშვილი).

რუსთაველის თეატრის გარდა, მსახიობმა იმუშავა თეატრალურ სარდაფში, სადაც სპექტაკლში „სიკვდილის როკვა" შეასრულა ალისას როლი, ხოლო სპექტაკლში „მედეა" – კირკეს როლი. სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრში კი დავით ანდღულაძის სპექტაკლში ,,მეორედ მოსვლა ანუ ვიზიტი" კლარას პერსონაჟი განასახიერა. მისი ერთ-ერთი უკანასკნელი როლი რუსთაველის თეატრში არის ტომ სტოპარდის პიესის მიხედვით გოგა თავაძის მიერ ერთმოქმედებიან კომიკურ დეტექტივში შესრულებული როლი, რომელიც რეჟისორმა ლაშა ბუღაძის თარგმანის მიხედვით დადგა. სპექტაკლის მხატვარია მირიან შველიძე, რეჟისორის თანაშემწე – ციცინო გვაზავა, ქორეოგრაფი – მარიამ ალექსიძე, მუსიკალური გაფორმება კი ია საკანდელიძესა და გიორგი თავაძეს ეკუთვნით. ნანა ფაჩუაშვილს სპექტაკლში პარტნიორობას უწევენ გოგა ბარბაქაძე, ნინო კასრაძე, გელა თავბერიძე, ირაკლი სანაია, ბექა სონღულაშვილი და ლევან ხურცია.

– ,,მაგრიტის შემდეგ" ტომ სტოპარდის ერთ-ერთი ძალზე საინტერესო პიესაა. მოქმედება ვითარდება ჩვეულებრივ ინგლისურ ოჯახში. პერსონაჟები ახალი დაბრუნებული არიან ცნობილი ბელგიელი სიურეალისტი მხატვრის რენე მაგრიტის გამოფენიდან. მათ მოულოდნელად სამძებრო პოლიციის ინსპექტორები ფუტი და კონსტებლი ჰოლმსი ეწვევიან. მაყურებელი, მართლაც რომ, სიურეალისტური გამოძიების მოწმე ხდება, – აღნიშნულია რუსთაველის თეატრის განცხადებაში.

ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის ნანა ფაჩუაშვილი სხვადასხვა წლებში არაერთი ჯილდოსა და პრემიის მფლობელია. იგი არის საქართველოს დამსახურებული არტისტი, საქართველოს სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის მფლობელი, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის მფლობელი, ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის პრემიის მფლობელი, მიენიჭა თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის ჯილდო ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის სპექტაკლში ,,დილა მშვიდობისა, ასდოლარიანო".

ამჟამად ნანა ფაჩუაშვილი თეატრის ათონელზე ხელმძღვანელია, პარალელურად კი საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში ნინო კურატაშვილთან, ნინო ზაუტაშვილთან და სალომე დადუნაშვილთან ერთად გადაცემა „სამოთხის ვაშლების" წამყვანია.

ფოლკლორის ცენტრში მუსიკალური მიმართულებების ანგარიში წარადგინეს

ეკა ირემაშვილი

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საკონფერენციო დარბაზში ეთნომუსიკოლოგებისათვის, მომღერლებისათვის, ლოტბარებისათვის, უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი სპეციალისტებისათვის, სხვადასხვა სახის არქივისა და მუზეუმის თანამშრომელთათვის ფოლკლორის ცენტრის საარქივო და მუსიკალური მიმართულებების მუშაობის წარდგინება დაიგეგმა. წარდგინების ხელმძღვანელებად ეთნომუსიკოლოგები ნანა კალანდაძე და ნანა ვალიშვილი შეირჩნენ.

საარქივო მიმართულების რვაწლიანი მუშაობის ანგარიშის პრეზენტაციის შემდეგ ფოლკლორის ცენტრში მისულ დამსწრე საზოგადოებას საშუალება მიეცა, ამჯერად გასცნობოდა მუსიკალური მიმართულებისანგარიშს. ასევე გასცნობოდა ცენტრის ძველსა და ახალ არქივს, არქივის ელექტრონულ პროგრამას, რომელიც ერთ-ერთი გამორჩეული, თანამედროვე სტანდარტებზე მორგებული და ხელმისაწვდომია საარქივო საქმიანობის სფეროში. ასევე საინფორმაციო ცენტრის გამოყენებისა და სარგებლობის წესებს.

მუსიკალურმა მიმართულებამ წარმოადგინა რვაწლიანი მუშაობის შედეგები.

როგორც შეხვედრის დასასრულს ითქვა, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში მსგავსი შეხვედრები ყოველ პარასკევს გაიმართება. 22 მარტს ზეპირსიტყვიერების მიმართულების ხელმძღვანელი ეთერ თათარაიძე წარადგენს მიმართულების რვაწლიან ანგარიშს.

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში ისევ გრძელდება სტუმარმასპინძლობა და მათთვის მნიშვნელოვანი საკითხების გაცნობა. ამჯერად ცენტრს ესტუმრნენ შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული განყოფილების სტუდენტები, მაგისტრანტები, დოქტორანტები და პროფესორ-მასწავლებლები: თამარ მუნჯიშვილი, ია ლორთქიფანიძე, ეკა გელიაშვილი, ბელა ნოზაძე, ლევან ალიაშვილი. ფოლკლორის ცენტრის დირექტორმა გიორგი უშიკიშვილმა სტუმრებს გააცნო ცენტრის მუშაობის რვაწლიანი ანგარიში, ცენტრის ძველი და ახალი არქივის ელექტრონული პროგრამა, განახლებული ვებგვერდი, საინფორმაციო ცენტრი და ელექტრონული ბიბლიოთეკა. პრაქტიკულად, აჩვენა, რამდენად ხელმისაწვდომია მისი მოძიება და სარგებლობა, რაოდენ საინტერესო და მნიშვნელოვანი მასალაა დაგროვებული ექსპედიციების, მასტერკლასების, ვიდეო-აუდიო ჩანაწერებისა და ფოტოსურათების სახით.

ფოლკლორის ცენტრის ქორეოგრაფიული მიმართულების ხელმძღვანელი უჩა დვალიშვილი სტუმრებს ესაუბრა, რაოდენ აუცილებელი და სასარგებლოა თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული განყოფილების მჭიდრო ურთიერთობა ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრთან, ექ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ვლადიმერ მირიანაშვილის მემკვიდრეთა საყურადღებოდ

19.08.2012 წ.-ს გარდაცვლილი ვლადიმერ მირიანაშვილის (დაბადებული 18.11.1944 წ.) სამემკვიდრეო საქმე იწარმოება ნოტარიუს ოთარ ზოიძესთან (თბილისი, მარჯანიშვილის ქ.№21, მე-4 სართული). დაინტერესებულმა პირებმა ნოტარიუს ოთარ ზოიძეს მიმართეთ 20.04.2013 წ.-მდე.

SMS-განცხადებები – 3090

● ვყიდი თელეთში 275 კვ. მეტრის 2-სართულიან საცხოვრებელ სახლს. 1 კვ. მ-ის ფასი 100 დოლარი. იწის ნაკვეთით. ტელ.: 577478555, 597711969.

განცხადებები

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599978546.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● მოვამზადებ ინგლისურში სკოლის მოსწავლეებს ვარკეთილის მიმდებარე ტერიტორიაზე. ტელ: 595-471-479.

● კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამა-პაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უამრავ დაავადებას არჩენს. სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაბრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს. მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ დ№1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას.მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.



საბანკო რეკვიზიტები:

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

გია კაზანჯიანი: „ევროპის ჩემპიონატისთვის მზადება სექტემბერში დავიწყეთ“

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები მომავალ ივლისში ევროპის ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას. 18-28 ივლისს ბოსნიის დედაქალაქი სარაევო დივიზიონის მატჩებს უმასპინძლებს. გია კაზანჯიანის გაწვრთნილი საქართველო ჯგუფში ბელარუსთან, ჩეხეთთან, უნგრეთთან, ავსტრიასთან და ლუქსემბურგთან მოხვდა.

სხვა ასაკობრივი ნაკრებებისგან განსხვავებით, 16-წლამდელთა ნაკრები ის გუნდია, რომელიც მთელი სეზონი შეკრებილია და მუდმივ სათამაშო პრაქტიკას გადის. შეიძლება ითქვას, რომ ზაფხულში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის სამზადისს 16-წლამდელები სეზონის დასაწყისში, სექტემბერში იწყებენ. კალათბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, კადეტთა ნაკრები საქართველოს 18-წლამდელთა ჩემპიონატში მონაწილეობს და ასაკით დიდ ოპონენტებთან თამაშით მისი წევრები საჭირო გამოცდილებას იღებენ. გვესაუბრება 16-წლამდელთა მთავარი მწვრთნელი გია კაზანჯიანი, რომელმაც თავდაპირველად ევროპის ჩემპიონატის მეტოქეები შეაფასა.

გია კაზანჯიანი:

– ამ ასაკში რთულია, ზუსტად განსაზღვრო ოპონენტების რეალური ძალა. როგორც ჩვენს, ისე სხვა ნაკრებებში თაობათა ცვლა მიმდინარეობს. მაგალითად, ჩვენს გუნდში შარშანდელი შემადგენლობიდან მხოლოდ 4 კალათბურთელი დარჩა, დანარჩენებმა 18-წლამდელებში აინაცვლეს. დაახლოებით ასეა ჩვენი მეტოქეების შემადგენლობებშიც, თუმცა, ზოგადი დასკვნის გაკეთება შეიძლება. ჩვენს ჯგუფში მოხვდა დივიზიონიდან გამოვარდნილი ჩეხეთი, რომელიც საკმაოდ ძლიერია. ავსტრია ამოუცნობი გუნდია, მასზე ინფორმაცია არ გვაქვს, ლუქსემბურგი ზოგადად აუტსაიდერად ითვლება, მაგრამ ეს ქვეყანა ყოველწლიურად პროგრესირებს.

– თუკი სხვა ნაკრებებს არ იცნობთ, ბელარუსს გასულ დეკემბერში საერთაშორისო ტურნირზე შეხვდით.

– ბელარუსმა მინსკში 12 ქულით მოგვიგო, რაც ნიშნავს, რომ საკმაოდ ძლიერი გუნდია. საერთოდ, ბელარუსის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობა ძალიან წაგვადგა. მასპინძლებთან ერთად მინსკში თავი ა დივიზიონის ნაკრებებმა – ლიტვამ და უკრაინამ მოიყარეს. მათთან სპარინგით ჩვენი ნაკრების წევრებმა დიდი გამოცდილება მიიღეს.

– კიდევ ხომ არ გეგმავთ საერთაშორისო ტურნირებზე გამგზავრებას?

– უცხოურ ტურნირებზე ყოველწლიურად ვთამაშობთ და ახლაც ასე იქნება, მაგრამ ჯერ კონკრეტული მეტოქეების ვინაობა ჯერ არაა გარკვეული. საამისოდ ჯერ ადრეა. მალე დაიწყება აქტივობა და დაიგეგმება ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი ტურნირები, რომელთაგანაც რომელიმეს შევარჩევთ.

– ამჟამად როგორ შეაფასებთ 16-წლამდელთა ნაკრების მომზადების დონეს?

– გამომდინარე იქიდან, რომ სეზონის დასაწყისიდან შევიკრიბეთ, ნაკრები მომზადების გარკვეულ დონეზე იმყოფება. კვირაში ერთი-ორჯერ ვვარჯიშობთ და 18-წლამდელთა ჩემპიონატში ვთამაშობთ, სადაც საუკეთესო 8 გუნდს შორის მოვხვდით და პლეიოფში ვიასპარეზებთ. ყველაფერი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს და, ზაფხულის მოახლოებასთან ერთად, ნაკრებიც მოუმატებს.

– როგორი მოთამაშეებით შეივსო 16-წლამდელთა ნაკრები, რამდენად დაბალანსებულია შემადგენლობა?

– გასულ წელთან შედარებით, უფრო დაბალანსებული გუნდი გვყავს. სელექციის პროცესი მთელი სეზონი მიმდინარეობს, გვყავს დაახლოებით 20 კალათბურთელი, რომლებიც ვარჯიშობენ და მონაცვლეობით ჩემპიონატშიც თამაშობენ. საბოლოოდ ევროპის ჩემპიონატზე წამსვლელი 12-კაციანი შემადგენლობაც აქედან შეირჩევა. მეფარეები სიმაღლით არ გამოირჩევიან, გვყავს რამდენიმე 2 მეტრი სიმაღლის კალათბურთელი, მაგრამ, მთლიანობაში, ცუდი თაობა არ გვყავს. სწორი მუშაობითა და კალათბურთელების მონდომების შემთხვევაში გარკვეულ შედეგზე საუბარი შეიძლება, თუმცა ჩვენი მთავარი ამოცანა ახალგაზრდების სწორი მიმართულებით აღზრდა, ეროვნული ნაკრებისთვის კადრების მომზადებაა.

– რას იტყვით ასაკობრივი ნაკრებებისთვის ცალ-ცალკე მენეჯერების დანიშვნასთან დაკავშირებით?

– ამ სეზონიდან ყველა ასაკობრივ ნაკრებს ცალკე მენეჯერი ჰყავს, რაც, ცხადია, წინგადადგმული ნაბიჯია. მენეჯერი მთავარ მწვრთნელსა და მთლიანად გუნდს ძალიან ბევრ რამეში ეხმარება, განსაკუთრებით – უცხოეთში ყოფნის დროს. მენეჯერზე ბევრი რამეა დამოკიდებული და მისი დახმარება გუნდს წაადგება.

საფრანგეთის ნაკრების ყველა დროის რეკორდები და რეკორდსმენები

საფრანგეთის ნაკრები 22 მარტს „სტად დე ფრანსზე“, პარიზში, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩში საქართველოს ნაკრებს უმასპინძლებს, შემდეგ კი უკვე ესპანელებს დაუპირისპირდებიან.

„მამლების“ 44 წლის მწვრთნელი დიდიე დეშამი ქართველებთან მატჩისთვის საგულდაგულოდ ემზადება და ეს მისმა სიტყვებმაც დაადასტურა, რომელიც ფიფას ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

დიდიე დეშამი:

– ესპანეთის ნაკრებთან დაპირისპირებაზე საუბარი ნაადრევია, რადგან ჩვენ ჯერ საქართველოს უნდა მოვუგოთ. რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვი, რომ საქართველოს ეროვნული გუნდი ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ნაკრებია, თუმცა ქართველებს კარგი და აგრესიული სტილით მოთამაშე ფეხბურთელები ჰყავთ. ვფიქრობ, მომავალ შეხვედრაში ყველაფერი ჩვენზე იქნება დამოკიდებული.

ფეხბურთის ისტორიაში საფრანგეთის ეროვნული ნაკრები ყოველთვის თამაშობდა და დღესაც თამაშობს ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო და სანახაობრივ ფეხბურთს. მიუხედავად იმისა, რომ ზინედინ ზიდანისა და მისი თაობის ფეხბურთელების წასვლის შემდეგ ფრანგებს გარკვეული პრობლემები შეექმნათ, ამ ქვეყნის ნაკრები მაინც ანგარიშგასაწევი ძალაა და ყოველთვის იქნება ამა თუ იმ ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი. საფრანგეთის ეროვნული გუნდი იმ უიშვიათეს ნაკრებებს შორისაა, რომლებმაც მოახერხეს და ევროპის ჩემპიონატიც მოიგეს და მსოფლიოს ჩემპიონატიც.

გთავაზობთ 10 რეკორდს, რომლებიც ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრების ყოფილ და ამჟამინდელ ფეხბურთელებთანაა დაკავშირებული.

ყველაზე მეტი მატჩი

საფრანგეთის ეროვნული ნაკრების ისტორიაში ყველაზე მეტი შეხვედრა ლილიან ტურამს აქვს ჩატარებული. ტურამი ნაკრებში 14 წლის განმავლობაში (1994-2008) თამაშობდა და ამ დროის მანძილზე მან 142 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. ნაკრების ყოფილ მცველს 2 გოლიც აქვს გატანილი „მამლების“ მაისურით. მისი უახლოესი მდევარი ასევე ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი და ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი ტიერი ანრია. ანრიმ საფრანგეთის ეროვნულ გუნდში 123 შეხვედრა ჩაატარა. ლილიან ტურამის რეკორდს კიდევ დიდი ხნის მანძილზე არ ემუქრება დამხობა, რადგან დღევანდელი ფორმაციის საფრანგეთის ნაკრების არცერთი მოთამაშე ათეულშიც კი არ შედის ჩატარებული მატჩების რაოდენობით.

ყველაზე მეტი გოლი

საფრანგეთის ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირების სიას სათავეში ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ტიერი ანრი უდგას. მის ანგარიშზე 51 გოლია და იგი მეტის გატანას ნაკრების მაისურით ვეღარც მოახერხებს, რადგან მან სანაკრებო კარიერა 2010 წელს დაასრულა. მეორე ადგილზე საფრანგეთის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი მიშელ პლატინია. მან ნაკრების მაისურით 41 გოლის გატანა მოახერხა. ისევე, როგორც ლილიან ტურამის რეკორდი, ანრის რეკორდიც დიდი ხნის მანძილზე იქნება მიუწვდომელი. „მამლების“ ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირებს შორის არც ერთი ფეხბურთელი არ არის დღევანდელი საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობიდან.

ნაჯახების ყველაზე გრძელვადიანი მწვრთნელი

მიშელ იდალგო არის მწვრთნელი, რომელიც 8 წლის განმავლობაში (1976-1984) წვრთნიდა საფრანგეთის ეროვნულ გუნდს. ეს ყველაზე კარგი შედეგია და იგი ამ მაჩვენებლით პირველ ადგილზეა. მეორე ადგილზე ალბერტ ბატექსია, რომელიც „მამლების“ დამრიგებელი 7 წლის მანძილზე (1955-1962) იყო. მესამე პოზიციაზე კი რაიმონ დომენეკია, რომელიც ფრანგებს 6 წლის განმავლობაში (2004 2010) ავარჯიშებდა.

ნაჯახების ყველაზე მოკლევადიანი მწვრთნელი

ჟიუსტ ფონტენი არის პირველ ადგილზე იმ მწვრთნელებს შორის, რომლებმაც ძალიან მოკლე ვადაში დატოვეს დაკავებული თანამდებობა.

ფონტენი ნაკრებს 1967 წლის 22 მარტს ჩაუდგა სათავეში და მთავარი მწვრთნელის პოსტი იმავე წლის 3 ივნისს დატოვა. ფონტენის შემდეგ მოდიან ხოსე არიბასი და იან სნელა, რომლებიც ნაკრებს ერთი წლის განმავლობაში ავარჯიშებდნენ.

ყველაზე წარმატებული მწვრთნელი

„მამლების“ ისტორიაში, სტატისტიკის მიხედვით, უდავოდ ყველაზე გამორჩეული და წარმატებული მწვრთნელი ჟაკ სანტინია. მიუხედავად იმისა, რომ 2004 წელს ევროპის ჩემპიონატზეც წარუმატებლად გამოვიდა, მისი ხელმძღვანელობით გუნდმა ჩატარებული 28 თამაშიდან 22 მოიგო. ასეთი სტატისტიკა არც ერთ დანარჩენ მწვრთნელს არ აქვს. მან მატჩების 79 პროცენტი მოიგო, რაც ძალიან კარგი შედეგია.

ყველაზე წარმატებული კაპიტანი

დიდიე დეშამი უდავოდ არის საფრანგეთის ნაკრების ყველაზე წარმატებული კაპიტანი. მან 1998 წელს მსოფლიოს, ხოლო 2000 წელს ევროპის ჩემპიონატი მოიგო და ორივე თასი პირველი სწორედ მან ჩაიბარა და აღმართა. დეშამი ფრანგთა კაპიტანი 1996 წლიდან 2000 წლამდე იყო და ამ დროის მანძილზე მან „მამლები“ მოედანზე 55-ჯერ გაიყვანა. დიდიე დეშამი ასევე 103 ჩატარებული მატჩით საფრანგეთის ეროვნული ნაკრების 10 საუკეთესო ფეხბურთელს შორის მეექვსე ადგილს იკავებს.

ყველაზე ტიტულოვანი ფეხბურთელები

საფრანგეთის ისტორიაში მხოლოდ და მხოლოდ 7 ფეხბურთელია ისეთი, ვინც მოახერხა მსოფლიოს, ევროპის ჩემპიონატის და ასევე ჩემპიონთა ლიგის მოგება. დიდიე დეშამი, მარსელ დესაი, ბიქსენტ ლიზარაზუ, ემანუელ პეტი, ტიერი ანრი, კრისტიან კარემბუ და ზინედინ ზიდანი.

პროგრამა „ტალანტი“

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ ეს პროექტი 1990-იანი წლების დასაწყისში განახორციელა და ძალიან კარგი შედეგიც მიიღო. ამ პროგრამის საშუალებით გულშემატკივარმა გაიცნო ზინედინ ზიდანი, ემანუელ პეტი, ტიეტი ანრი, დიდიე დეშამი და ბევრი სხვა ვარსკვლავი, რომლებიც ევროპაში წლების მანძილზე უმაღლეს დონეზე თამაშობდნენ. ეს პროგრამა ითვალისწინებდა ტალანტების მოძიებას საფრანგეთის სხვადასხვა მხარესა და ქალაქში.

ყველაზე მცირე ღირ ნაჯახების შემადგენლობაში

საფრანგეთის ნაკრების მცველმა ფრანკ ჯურიემ დაამყარა უცნაური და კურიოზული რეკორდი. იგი 2005 წელს კვიპროსის ნაკრების წინააღმდეგ გამართულ შეხვედრაში შეცვლაზე შემოვიდა. მისი მოედანზე გამოსვლიდან ზუსტად 5 წამში (!) მატჩის არბიტრმა საფინალო სასტვენი მისცა და შეხვედრა დასრულდა. ალბათ, ჯურიეს ნამდვილად ერჩივნა, მოედანზე იმ საღამოს არ გამოსულიყო.

უცნაური შემთხვევა

საფრანგეთის ეროვნული ნაკრები არის ერთადერთი გუნდი, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატზე არატრადიციული ფერის მაისურით იასპარეზა. ეს შემთხვევა 1978 წლის ჩემპიონატზე მოხდა, რომელიც არგენტინაში ჩატარდა. უნგრეთის ნაკრების წინააღმდეგ გასამართ შეხვედრაში ფრანგები ტრადიციული, ლურჯი ფორმების ნაცვლად მოედანზე საფეხბურთო კლუბ „ატლეტიკო კიმბერლეის“ მსგავსი თეთრ-მწვანე მაისურებითა და ტრუსებით გამოვიდნენ მინდორზე.

ევროპირველობამდე პრეზიდენტი გაარკვიეს

თბილისში, სასტუმრო „რედისონში“, ევროპის ჭიდაობის ფედერაციის (სელა) გენერალური ასამბლეა გაიმართა. შეხვედრას ფილას აღმასრულებელი ბიუროს წევრებიც დაესწრნენ.

ევროპის 2013 წლის ჩემპიონატის ოფიციალური პროგრამით გათვალისწინებული პირველი ღონისძიება 9 საათზე დაიწყო. დელეგატებმა ასამბლეის წევრები ფარული კენჭისყრით აირჩიეს, სელას პრეზიდენტად კი კიდევ ერთი ვადით აირჩიეს ბულგარელი ცენო ცენოვი.

დღის წესრიგის ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი კი სელას აღმასრულებელი ბიუროს არჩევნები იყო. დელეგატებს თორმეტი კანდიდატიდან ექვსი სასურველი უნდა შემოეხაზათ. წინასწარი გეგმით, კანდიდატთა შორის საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი კახა გეწაძეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ, მას შემდეგ, რაც მან თანამდებობა დატოვა, სელას სიიდანაც ამოწერეს და სხვა ქართველით ჩანაცვლება ვეღარ მოხერხდა.

არჩევნებში მონაწილეობა 35-მა დელეგატმა მიიღო, მათგან ყველაზე მეტმა – 29-მ მხარი ცენოვს და ფინელ იუკა რაუჰალას დაუჭირა მხარი. რუს გიორგი ბრიუსოვსა და ბერძენ თეოდოროს ხამაკოსს 27-27 ხმა ერგოთ, გერმანელ კარლ-მარტინ დიტმანს – 25. აღმასრულებელ ბიუროში ადგილი ამ ხუთეულმა გაინაღდა. მეექვსე წევრის გამოსავლენად კი დანარჩენ 7 კანდიდატს შორის დამატებითი წილისყრა გაიმართა. არჩევნების მეორე ტურში კი, ყველას რუმინელმა კონსტანტინ პოტერაშ კრისტიანმა აჯობა და ახალი ბიუროც სრულად დაკომპლექტდა.

წესდების თანახმად, სელას გენერალური ასამბლეის ახალი პრეზიდენტი ბიუროს წევრებს უნდა დაესახელებინა. პროცედურას სულ რამდენიმე წამი დასჭირდა. ცენო ცენოვს უფლებამოსილების ვადა 2016 წლამდე გაუგრძელდა.

ცენო ცენოვი:

– ემოციების სიტყვებით გამოხატვა მიჭირს. უბედნიერესი ადამიანი ვარ, რადგან ჭიდაობისთვის ასეთ მძიმე დროს საჭიდაო სამყარომ კიდევ ერთხელ გამომიცხადა მხარდაჭერა. ყველაფერს ვიღონებ ჩვენი სახეობის წინსვლისთვის. რაც შეეხება მომავალ ევროპირველობას, დარწმუნებული ვარ, ქართველები უმაღლესი დონის ჩემპიონატით დაგვამახსოვრებენ თავს.

ევროპის ჭიდაობის ფედერაციის გენერალურ ასამბლეას საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი და საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი ლუკა კურტანიძეც დაესწრნენ.

აღსანიშნავია, რომ სელას პრეზიდენტი და ფილას პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელი ნენედ ლალოვიჩი საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს შეხვდნენ. საუბრის თემა კი ჭიდაობის ოლიმპიური სახეობებიდან შესაძლო ამოღებას უკავშირდება, რასთან დაკავშირებითაც ჩვენი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი სრულიად ჭიდაობის სამყაროსთვის გვერდში დგომასა და მხარდაჭერას აპირებს.

ფეხბურთი

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

დინამო-კიოლნი	0:2

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

დიჟონი-ნანტი	3:1

ჰოლანდია. 1 დივიზიონი

ფორტუნა-კამბური	1:0
იგლზი-ექსელსიორი	4:1

საბერძნეთი. სუპერლიგა

პანთრათიკოსი-ქსანთი	0:2

პოლონეთი. ექსტრაკლასი

პიასტი-ლეჩნა	2:0

უკრაინა-. პრემიერლიგა

მეტალისტი-გოვერლა	1:0

არგენტინა. პრიმერა დივიზიონი

სარანდი-სან მარტინი	3:2
ოლ ბოიზი-რაფაელა	2:1

კალათბურთი

ნბა. რეგულარული სეზონი

კლივლენდი-ინდიანა	90:111
ფილადელფია-პორტლენდი	101:100
შარლოტი-ვაშინგტონი	119:114

შედეგები

ატლანტა-დალასი	113:127
დეტროიტი-ბრუკლინი	82:119
ბოსტონი-მაიამი	103:105
მემფისი-მინესოტა	92:77
ნიუ ორლეანი-გოლდენ სტეიტი	72:93
ჩიკაგო-დენვერი	118:119(ოტ)
ფინიქსი-ლეიკერსი	99:76
იუტა-ნიუ იორკი	83:90

ჰოკეი

ნჰლ. რეგულარული სეზონი

რეინჯერსი-კაროლინა	1:1(1:0ბ)
ტამპა ბეი-ფილადელფია	4:2
დალასი-კალგარი	4:3
კოლორადო-ჩიკაგო	2:5
ანაჰაიმი-სან ხოსე	5:3
ვანკუვერი-მინესოტა	1:3
ლოს ანჯელესი-ფინიქსი	4:0

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

ბაგრატის ტაძარს ოქროს მედლით დააჯილდოებენ

ეკა ირემაშვილი

ბაგრატის ტაძარს, რომლის რესტავრაციასაც ბევრი ხმაური და ურთიერთგამომრიცხავი ბრალდებები მოჰყვა, 20 მარტს ოქროს მედლით დააჯილდოებენ.

ბაგრატის ტაძრის პროექტმა საერთაშორისო არქიტექტურული პრემიის „დომუსის“ ოქროს მედალი მოიპოვა. სიძველეებისა და თანამედროვე ხედვის ჰარმონიული შერწყმის ნომინაციაში პროექტის იტალიელ ავტორს ანდრია ბრუნოს ჯილდო რამდენიმე დღეში იტალიის ქალაქ ფერაროში გადაეცემა. წელს ეს პრემია ორ ქალაქს – ქუთაისსა და ვენეციას ერგო.

– ჟიურის შეფასებით, XI საუკუნის ქართული არქიტექტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძეგლზე ბაგრატის ტაძარზე ჩატარებული აღდგენითი სამუშაოები არის ახლისა და ძველის შეთანხმების რთული ამოცანის მაგალითი, რომელიც არქიტექტორმა ანდრია ბრუნომ ორიგინალური გადაწყვეტილებით გადაჭრა. მისმა ნამუშევარმა გააგრძელა ძველი რეკონსტრუქციის პროექტი, რომელიც მანამდე განხორციელდა, თუმცა მეთოდოლოგიური მიდგომა ამჯერად სრულიად სხვანაირი იყო, – აღნიშნულია დასკვნაში.



კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ყოფილი უფროსი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი აღნიშნავს, ყოველთვის დარწმუნებული იყო, რომ „ეს ის პროექტია, რომელიც ქართულ სარესტავრაციო სკოლას მოწინავეთა რიგებში დააყენებს“. მისი თქმით, ეს მხოლოდ პირველი გამარჯვებაა და ბაგრატის რეკონსტრუქციის პროექტის საერთაშორისო აღიარება მომავალშიც გაგრძელდება.

დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი ქალაქ ფერარაში გაიმართება. როგორც ერთ-ერთი იტალიური ვებგვერდი აღნიშნავს, ქალაქ ფერარაში მესამე საერთაშორისო კონკურსი უკვე დასრულდა, რომელიც სააქციო საზოგადოება ფასსა ბორტის მხარდაჭერით ფერარას უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის მიერ იყო ორგანიზებული. კონკურსის ფარგლებში იმ პროექტებს აჯილდოებენ, რომლებიც სარესტავრაციო სამუშაოებს უკავშირდება.

– ამ პროექტში არქიტექტორმა გადაწყვიტა „ახლისა“ და „ძველის“ შერწყმა ისე, რომ შესაძლებელი გახდა ტაძრის ორიგინალური სახის შენარჩუნება. აღნიშნული პროექტი უკვე დაწყებული სარესტავრაციო სამუშაოების გაგრძელებაა, რომელმაც რადიკალურად შეცვალა აღდგენითი სამუშაოების მეთოდოლოგია. ტაძრის ორიგინალურ სახეს ფონად გასდევს თანამედროვე და ხაზგასმულად განსხვავებული მასალა, რაც ტაძრის პირველწყაროს ინარჩუნებს და სრულად აღადგენს მის მოცულობას, – ნათქვამია დასკვნაში.

საქართველოში ამ ტაძარზე მიმდინარე სამუშაოებს დიდი ხმაური მოჰყვა, საზოგადოების ნაწილი კატეგორიულად მოითხოვდა ყველანაირი სამუშაოს შეჩერებას, მეორე ნაწილს კი მიაჩნდა, რომ ყველაფერი ნორმის ფარგლებში მიმდინარეობდა. კულტურის ყოფილმა მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ ბაგრატის ტაძარს სპეციალური ღია დისკუსიაც მიუძღვნა, სადაც ყველა მხარე ერთად შეიკრიბა, არქიტექტორმა ანდრეა ბრუნომ კი დაასაბუთა ყველა ის საკითხი, რომლებიც ეჭვს იწვევდა. თუმცა, დღესაც არიან ადამიანები, რომლებსაც ბაგრატის ტაძარი აღდგენამდე უფრო მოსწონდათ.

აღდგენილი ბაგრატის ტაძრის არქიტექტორ ანდრეა ბრუნოს 20 მარტს ქალაქ ფერარაში პალაცო ტასონიში დააჯილდოებენ.

ფოლკლორის ცენტრში მუსიკალური მიმართულებების ანგარიში წარადგინეს

დასაწყისი მე-7 გვერდზე

სპედიციებსა და მასტერკლასებში მაქსიმალურად ჩართვა, მომავალ ქორეოგრაფთა თეორიულ თუ პრაქტიკულ საქმიანობაში ცენტრის არქივის უნიკალური მასალების გამოყენება.

– ჩვენმა სტუმრებმა გამოთქვეს სურვილი ცენტრის ღონისძიებებში მონაწილეობასთან დაკავშირებით და მადლობა გადაუხადეს ფოლკლორის ცენტრის შიდა საქმიანობის გაცნობისათვის, რომელიც გარედან ასე კარგად არც ჩანს. მათ პირადად გავაცანი ცენტრის ინფრასტრუქტურა, მუშაობის პრინციპები, პრიორიტეტები, საინფორმაციო ბაზა და არქივი, ცენტრის ქორეოგრაფიული მიმართულების ხელმძღვანელმა უჩა დვალიშვილმა კი – ქორეოგრაფიული მიმართულების საქმიანობა. სტუმრებს საშუალება მიეცათ, პრაქტიკულად ენახათ ცენტრის ახალი საარქივო პროგრამა და სასურველი ინფორმაციის მოძიების სწრაფი ხელმისაწვდომობა, გასცნობოდნენ ფოლკლორის ცენტრის რვაწლიანი მუშაობის მოკლე ანგარიშს და სამომავლო გეგმებს. ფოლკლორის ცენტრსა და თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობა რეგულარული იქნება და მომავალში უფრო ფართო სახეს მიიღებს, – განაცხადა ფოლკლორული ცენტრის ხელმძღვანელმა.

ცენტრის საგამოფენო სივრცემ უმასპინძლა გამოფენას ,,ტრადიციების გაცოცხლება“, რომელზეც წარმოდგენილი იყო ქართული საჭურველი და აღკაზმულობა. ექსპოზიციაზე გამოიფინა თეიმურაზ ჯალაღანიას, არნოლდ და ლევან თეთრუაშვილების, გურამ გაბაშვილის, დავით ჩალაბაშვილისა და ბექა ჭახელიძის მიერ დამზადებული ქართული ტრადიციული საჭურველი, უნაგირ-ლაგამ-მოსართავები და მხატვრულად დამუშავებული ტყავის ნიმუშები.

გამოფენა გახსნა ფოლკლორის ცენტრის დირექტორმა გიორგი უშიკიშვილმა. მსგავსი გამოფენის მნიშვნელობასა და ოსტატთა მაღალმხატვრულ ნახელავზე ისაუბრეს ფოლკლორის ცენტრის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელმა მხატვარმა ცისანა მარინდაშვილმა, ხელოვნებათმცოდნე თამაზ სანიკიძემ, ისტორიკოსმა ნიკო ჯავახიშვილმა, მოცეკვავე ომარ მხეიძემ, ეკიმმა ნანა ჯალაღანიამ, საქართველოს ჩოხოსანთა კავშირის მდივანმა გურამ შენგელიამ. იქვე გამართულ კონცერტში კი მონაწილეობდნენ ჩოხოსანთა ანსამბლი ,,შავლეგო“ ჯემალ ადამაშვილის ხელმძღვანელობით, ბავშვთა ანსამბლი ,,მომავალი ჩოხოსნები“ და მედუდუკეთა ანსამბლი.

გამოფენის დასასრულს ავტორებმა თეიმურაზ ჯალაღანიამ, ლევან თეთრუაშვილმა, დავით ჩალაბაშვილმა და ბექა ჭახელიძემ მადლობა გადაუხადეს გამოფენის ორგანიზატორებს, დამსწრე საზოგადოებას და სამომავლო გეგმებზეც ისაუბრეს.

– აქ გამოიფინა სხვადასხვა პროფესიის ავტორის გურამ გაბაშვილის (ისტორიკოსი), თამაზ ჯალაღონიას (მუსიკოსი), არნოლდ და ლევან თეთრუაშვილების (ხალხური ოსტატები) ნამუშევრები – ხანჯლები, ხმლები, დამბაჩები, ფარები, ჯაჭვის პერანგები, ჩაჩქნები. ასევე უნაგირების ოსტატის დავით ჩალათაშვილის (მსახიობი) და ბექა ჭახელიძის (მთარგმნელი) ტყავის მხატვრული დამუშავების ნიმუშები. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართველ ერს უძველესი მატერიალური კულტურა აქვს. მისი ბრწყინვალე ნიმუშები შექმნილია ქვასა თუ ხეში, ძვალსა თუ რქაში, რკინასა თუ ვერცხლში. ლითონს უძველესი დროიდან იყენებდნენ იარაღისა და ჭურჭლის დასამზადებლად. საჭურველს სხვადასხვა ხერხით ამზადებდნენ: ჭედვა, ტვიფვრა, რჩილვა, ფაქიზად კვერვა. ზედაპირსაც, შესაბამისად, ოსტატურად კაზმავდნენ ცვარათი ანუ გავარსით, სხვადასხვაგვარი წნულით, გრეხილის სახეებით. ყველა ეს ხერხი და სახეობანი გამოყენებულია თანამედროვე ოსტატების მიერ. იარაღი ოდითგანვე ქართველი კაცისთვის არა მარტო თავდაცვის საშუალება, არამედ მისი სამოსლის მშვენება, მისთვის ღირსების, შნოსა და ლაზათის შემმატებელიც იყო. სამწუხაროდ, დღეს საქართველოში საკუთრივ ქართული უნაგირი და ლაგამი არ შემორჩენილა. არსებობს მხოლოდ ზოგადკავკასიური თავისი სახეობებით – საბრძოლო, სამგზავრო და ა.შ. ტყავის ბალიშით, რაც, უდავოდ, მთაგორიანი რელიეფითაა განპირობებული.

გამოფენაზე, გარდა ზოგადკავკასიურისა, წარმოდგენილია სხვა ქვეყნისათვის დამახასიათებელი უნაგირები და ლაგმები. უნაგირის ოსტატები უნაგირებისა და ლაგმების მოსართავად საჭირო ყველა აქსესუარს თავად ამზადებენ, – განაცხადა გიორგი უშიკიშვილმა.

ფოლკლორის ცენტრმა ხალხური სიმღერის ზეიმი ამბროლაურში გამართა და ამბროლაურის ფოლკლორულ ანსამბლ ,,საგალობელს“ დაარსებიდან ორმოცი წელი მიულოცა. ამ მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა გამოსცა ანსამბლის პირველი აუდიოალბომი, რომლის პრეზენტაცია ამბროლაურის კულტურის სახლში გაიმართა. ანსამბლის იუბილე და პირველი აუდიოალბომის წარდგინება ამბროლაურში ნამდვილ ფოლკლორულ ზეიმად იქცა. სავსე დარბაზი ოვაციით ხვდებოდა თითოეულ ნომერსა თუ გამომსვლელს. ,,საგალობელს“ იუბილე მიულოცეს: საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორმა გიორგი უშიკიშვილმა, ონის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა ბატონმა გია ჯაფარიძემ, ფაზისის აკადემიის რექტორმა ნუგზარ ნადარაიამ, პოეტმა ანა ერისთავმა, ამბროლაურის კულტურის სამსახურის ყოფილმა უფროსმა გურამ ვაჩაძემ, მომღერალმა ბატონმა ტარიელ ონაშვილმა, მოცეკვავე დათო სხირტლაძემ. საიუბილეო კონცერტში მონაწილეობდნენ ცაგერის, ლენტეხისა და ონის ფოლკლორული ანსამბლები, ამბროლაურის ქალთა ფოლკლორული ანსამბლი ,,იავნანა“, ტყიბულის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ქორეოგრაფიული ანსამბლი, კოლხური ტრიო. ღონისძიების დასასრულს, ,,საგალობელმა“ შეასრულა ,,ექვთიმური მრავალჟამიერი“, რომელიც როსტომ გოგოლაძის მამამ გადაარჩინა და მის პატივსაცემად ეწოდა ეს სახელი.

– ამბროლაურის კულტურის ცენტრში ჩვენ ვიზეიმეთ სახალხო ფოლკლორული ანსამბლის „საგალობლის“ 40 წლის იუბილე, სადაც გაიმართა შემოქმედებითი საღამო და პირველი აუდიოალბომის პრეზენტაცია. რაჭული ფოლკლორული ტრადიციების შესანარჩუნებლად და ასაღორძინებლად 1972 წელს შეიქმნა ფოლკლორული ანსამბლი „საგალობელი“. ანსამბლის დამაარსებელმა და უცვლელმა ხელმძღვანელმა, მომღერალმა და ლოტბარმა როსტომ გოგოლაძემ მოიძია, აღადგინა და ანსამბლის რეპერტუარში გააცოცხლა რაჭული სამუსიკო ფოლკლორის უძველესი ნიმუშები, მივიწყებული სიმღერები და ანსამბლში დაამკვიდრა მათი „საგალობლისეული“ ვარიანტები. ლოტბარის მიზანია თავისი კუთხის ფოლკლორული ტრადიციების მოფრთხილება, ხალხური შემსრულებლობის პრინციპების ერთგულება და ავთენტურობის დაცვა. ამიტომაც „საგალობელი“ ერთ-ერთი გამორჩეული ანსამბლია დღევანდელ ფოლკლორულ-საშემსრულებლო სივრცეში. 2011 წელს „საგალობელს“ ფოლკლორის ეროვნული პრემია მიენიჭა. ორმოცწლიანი შემოქმედებითი მოღვაწეობის მიუხედავად, ანსამბლს არ გამოუცია არც ერთი გრამფირფიტა თუ აუდიოდისკი. „საგალობლის“ პირველი აუდიოალბომი საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა გამოსცა. პროექტის ხელმძღვანელები კი ეთნომუსიკოლოგები ნანა ვალიშვილი და თეონა რუხაძე იყვნენ, – აღნიშნა გიორგი უშიკიშვილმა.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის გალერეაში გაიმართა დმანისის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან არსებული ფოლკლორული ანსამბლის „შგარიდას“ პირველი აუდიოალბომის პრეზენტაციაც. საღამო გახსნა ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორმა გიორგი უშიკიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში სვანური სიმღერის მნიშვნელობაზე, „შგარიდას“ პირველი ალბომის ღირებულებასა და ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის უახლოეს გამოცემებზე. შემოქმედებითი ჯგუფის სახელით ისაუბრა ცენტრის მუსიკალური ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელმა ნანა ვალიშვილმა. მან ყურადღება გაამახვილა ანსამბლის ხელმძღვანელის გურგენ გურჩიანის პროფესიონალიზმზე, სვანური სიმღერებისა და საგალობლების სიღრმისეულ ცოდნაზე, იმაზე, თუ როგორი მნიშვნელოვანია ეს გამოცემა სვანური სიმღერა-საგალობლების მომავალ მკვლევართათვის. ამ მოვლენის მიმართ დიდი საზოგადოებრივი ინტერესი შესანიშნავად გამოჩნდა ერეკლე საღლიანის, სოზარ სუბარის, ჯუმბერ კოპალიანის გამოსვლაში. ღონისძიების ბოლოს გურგენ გურჩიანმა მადლობა გადაიხადა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა, „შგარიდამ“ კი რამდენიმე სიმღერა-საგალობელი და ფერხული შეასრულა.

– ეს ალბომი გამოიცა ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის პროექტ „შიდამიგრაცია და ეთნოკულტურული ტრადიციების“ ეგიდით, რომლის ხელმძღვანელია ნანა ვალიშვილი. ამჯერად წარმოვადგინეთ დმანისის ფოლკლორულ ანსამბლ „შგარიდას“ პირველი აუდიოალბომი. ანსამბლი 2002 წელს შეიქმნა გასული საუკუნის 80-იან წლებში სტიქიური უბედურების შედეგად მესტიის რაიონიდან დმანისში გადმოსახლებული სვანებისაგან. მისი შექმნის ინიციატორმა და ხელმძღვანელმა გურგენ გურჩიანმა თავიდანვე მიზნად დაისახა უძველესი სვანური ხალხური სიმღერებისა და ღვთის სადიდებელი ჰიმნ-საგალობლების მოძიება და აღდგენა-გაცოცხლება. ლოტბარმა მრავალი წლის განმავლობაში სოფელ-სოფელ მოაგროვა და ჩაიწერა უძველესი სვანური სიმღერები და საერო საგალობლები, გამოიძია სიმღერების სოციალურ-ისტორიული თუ საკულტო-რელიგიური წარმომავლობა, თავისი დაკვირვებანი შეაჯერა ქართველ მეცნიერთა და სპეციალისტთა მოსაზრებებთან და სრულიად ახლებურად წარმოაჩინა ჰიმნ-საგალობლების შინაარსობრივი და საკულტო-რელიგიური კუთვნილება. გურჩიანისეული ანოტაცია თან ერთვის აუდიოალბომში შესულ 22 სიმღერა-საგალობელს. აუდიოდისკში შესულია 2010 წლის 9 ივნისს თბილისის კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართული „შგარიდას“ სოლოკონცერტის სრული ჩანაწერიც, – აღნიშნა ფოლკლორის ცენტრის ხელმძღვანელმა.

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ამერიკული ქიმიურ-სამრეწველო კონცერნი; 2. ზღვის პატარა კიბორჩხალა; 3. რაიმე საქმეში უაღრესად დახელოვნებული ადამიანი; 4. „სამანიშვილის დედინაცვლის“ პერსონაჟი; 5. ტროას აღმომჩენი ამერიკელი მილიონერი, არქეოლოგი; 8. არსებობის ყოველგვარ საშუალებას მოკლებული, ღატაკი ადამიანი; 9. გაკოტრებული საქმოსანი, ფინანსისტი; 12. ალპინისტთა ექსპედიცია რამდენიმე მწვერვალის დალაშქვრით; 13. ინდივიდუალური კომპიუტერი; 16. აკაკი წერეთლის მშობლიური სოფელი; 17. ადამიანის ფსიქიკური და ფიზიკური მოქმედების სრული დაქვეითება, უუნარობა; 19. კომბინაცია პოკერში; 20. ბერძნული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი.

თარაზულად: 6. გადაჭარბებული შექება, ხოტბა, განდიდება; 7. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 8. უნგრელი პოეტი, ეროვნული გმირი; 10. ფირუზისფერი ზღვის ბალახი; 11. უალკოჰოლო მატონიზირებელი სასმელი; 14. პოლიციის განყოფილება იტალიაში; 15. წყლის ტრამვაი ვენეციაში; 18. რაიონული ცენტრი კახეთში; 21. მუნჯი კინოს აკომპანიატორი პიანისტი; 22. აეროპორტი პარიზში; 23. დოსტოევსკის რომანი; 24. უძველესი ქართული ხალხური დასარტყამი მუსიკალური ინსტრუმენტი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოიდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ბარამბო; 2. დეფიციტი; 3. ყაყაჩო; 4. გინზა; 5. სერფინგი; 8. მონიუშკო; 12. მუხა; 13. დიაგრამა; 14. ოკენცე; 16. მელიავა; 18. მალტა; 20. ტახო.

თარაზულად; 6. შანსონიე; 7. ახალციხე; 8. მარინა; 9. ომალო; 10. დიაგნოზი; 11. პლომბირი; 15. პინაკოთეკა; 17. საირმე; 19. ცურტაველი; 21. მარჩილი; 22. ჩატურანგა; 23. ჰოოპუნა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. დიუნანი; 2. უნგრეთი; 3. დოლომანი; 4. სლაიდი; 5. სამსუნი; 8. ჩარხილი; 9. ჰანიბალი; 12. კოსტიოლი; 13. არქტიკა; 16. მოგადიშო; 17. ფოსტერი; 19. დნეპრი; 20. ძეწკვი.

თარაზულად: 6. პირანდელო; 7. კლიმატი; 8. ჩხოუში; 10. ხატწერა; 11. ხულა; 14. მარტვილი; 15. ასკურავა; 18. კოპიჭი; 21. ნეკრესი; 22. შერპი; 23. ისრიმი; 24. ნოვარტისი.

ბარაკ ობამა ირანს ბირთვულ პროგრამაზე შეთანხმებისკენ მოუწოდებს

აშშ-ის პორეზიდენტმა ბარაკ ობამამ მოუწოდა ირანს დაუყონებლივ გადადგას დამარწმუნებელი ნაბიჯები ქვეყნის ბირთვულ პროგრამაზე შეთანხმების მისაღწევად. ვიდეომიმართვაში ნოვრუზის დღესასწაულთან დაკავშირებით, ობამამ განაცხადა, რომ თუ ირანი გადადგამს დამარწმუნებელ ნაბიჯებს, ირანელი ხალხი ნახავს აშშ-სთან და სხვა ერებთან სავაჭრო ურთიერთობების უპირატესობას. 20 მარტს აშშ-ის პრეზიდენტი ოფიციალური ვიზიტით ისრაელში ჩავა, სადაც ანალიტიკოსების განმარტებით მოლაპარაკებების მთავარი თემა ირანის ირგვლივ შექმნილი ვითარება იქნება.

გასულ კვირას ობამამ კვლავ განაცხადა, რომ ირანს ბირთვული იარაღის შექმნის უფლებას არ მისცემს და დასძინა, რომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად უმთავრესია თეირანზე დიპლომატიური ზეწოლის გაძლიერება.

აშშ-ის პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ არ უნდა გამოირიცხოს თეირანზე ზემოქმედების სხვა ვარიანტებიც.

შეგახსენებთ, რომ ისრაელის პრემიერ მინისტრის ბენიამინ ნეთანიაჰუს განცხადებით, შესაძლოა, უახლოესი რამდენიმე თვის განმავლობაში ირანმა ბირთვული იარაღი შექმნას, რაც ისრაელის მხრიდან ირანზე ბრევენტიული დარტყმის საბაბი გახდება.

ასადი შეიარაღების 71%-ზე მეტს რუსეთისაგან იღებს

სტოკჰოლმის მშვიდობის კვლევის საერთაშორისო ინსტიტუსის განცხადებით, სირია რუსეთისაგან შეიარაღების 71%-ზე მეტს ყიდულობს.

ინსტიტუტის მონაცემებით, ეს წილი რუსეთზე 2008 წლიდან 2012 წლამდე პერიოდში მოდიოდა. როგორც მოხსენებაშია აღნიშნული, 2012 წლიდან რუსეთი სირიისათვის იარაღის მიწოდებას აგრძელებს. როგორც ინსტიტუტი აღნიშნავს, ძირითადად სირია რუსეთისაგან საბრძოლო დაჯავშნულ მანქანებს, საარტილერიო სისტემებს, ვერტმფრენებს, რაკეტებსა და რაკეტების მოწყობილობებს ყიდულობს.

რუსეთი არ უარყოფს რომ სირიას იარაღს აწვდის, თუმცა მიუთითებს, რომ ამ შეიარაღებას ქვეყნის მთავრობა ამბოხებულების წინააღმდეგ არ იყენებს. თუმცა, სხვა მოსაზრება აქვთ დასავლეთში, სადაც თვლიან, რომ სწორედ რუსეთის მიერ მიწოდებული შეიარაღებით სჯობნის ასადი ამბოხებულებს.

როგორც ცნობილია, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი უკვე დაჟინებით ითხოვენ, რომ ევროკავშირმა სირიის ოპოზიციისათვის იარაღის მიწოდებაზე ემბარგო მოხსნას. სტოკჰოლმის ინსტიტუტის ინფორმაციით, შეიარაღებას სირიას ერაყი(14%) და ბელორუსიც(11%) აწვდიან.

ამ ფონზე, დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი მიიჩნევს, რომ სირიის კონფლიქტი დასავლეთს, შესაძლოა, ძვირი დაუჯდეს, – იუწყება „ბიბისი“. მისი მოსაზრებით, თუკი დასავლეთის ქვეყნები ამ კონფლიქტის მოგვარებაში არ ჩაერევიან, ამისათვის ძვირს გადაიხდიან.

ტონი ბლერმა „ბიბისის“ ინტერვიუ ერაყში შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების 10 წლისთავის აღსანიშნავად მისცა. მისი განცხადებით, მართალია, ბრიტანელი ჯარისკაცების ერაყში გაგზავნის გადაწყვეტილება მის კარიერაში ყველაზე რთული იყო, მაგრამ ის სწორი აღმოჩნდა.

როგორც ცნობილია, ტონი ბლერის მაშინდელი გადაწყვეტილება ბრიტანელი პოლიტიკოსებისა და მოქალაქეების მწვავე კრიტიკას დღემდე იწვევს. 2011 წლის იანვარში ყოფილმა პრემიერმა განაცხადა, რომ იგი ერაყში ამერიკულ-ბრიტანეული შეიარაღებული ძალების შეჭრისას სამხედრო მოსამსახურეებსა და მშვიდობიან მოსახლეობას შორის მსხვერპლის მოყოლას სერიოზულად განიცდის.

სამგლოვიარო განცხადებები

143-ე სკოლის დირექცია და პედკოლექტივი, XI[1] კლასის მოსწავლეები და მათი დამრიგებელი დიდ მწუხარებას გამოთქვამენ

ნინო იანტბელიძის

გარდაცვალების გამო.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული, ნინო. მუდამ ჩვენს გულებში იქნები!

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ჰილარი კლინტონმა ერთსქესიანთა ქორწინებას მხარი დაუჭირა

აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა ერთსქესიანთა ქორწინებას მხარი დაუჭირა და განაცხადა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მისმა შეხედულებებმა ევოლუცია განიცადა.

„მე მხარს ვუჭერს ამას პირადად და პოლიტიკისა და კანონმდებლობის კუთხითაც. ქორწინება ჩვენი საზოგადოების ფუნდამენტური საფუძველია, ეს დიდი სიხარულია და, რა თქმა უნდა, დიდი პასუხისმგებლობაც. უარი ვუთხრათ ჩვენს ვაჟიშვილებსა და ქალიშვილებს ამ შესაძლებლობაზე მხოლოდ იმის გამო, თუ ვინ არიან ისინი და ვინ შეუყვარდათ, ნიშნავს, მათ ღმერთის მიერ მინიჭებული შესაძლებლობების რეალიზების საშუალება წავართვათ“, – აღნიშნა კლინტონმა.

კლინტონი, რომელიც მუდმივად ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცველი იყო მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ერთსქესიანთა ქორწინებაზე საუბრისას, ყოველთვის განსაკუთრებული სიფრთხილით გამოირჩეოდა.

წინათ, თეთრი სახლის პრეს-მდივანმა ჯეი კარნიმ განაცხადა, რომ პრეზიდენტი ობამა, ფედერალური კანონმდებლობის დონეზე ერთსქესიანთა ქორწინების აღიარებას შეეცდება.

„ყოველთვის მტკიცედ მჯეროდა, რომ გეი და ლესბოსელი ამერიკელები სამართლიან და თანასწორუფლებიან მოპყრობას იმსახურებენ“, – განაცხადა ცოტა ხნის წინათ ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ტელეკომპანია „ეი-ბი-სის“ ეთერში:

„უნდა ვთქვა, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში, ვესაუბრებოდი ჩემს მეგობრებს, ოჯახის წევრებსა და მეზობლებს, ვფიქრობდი ჩემი გარემოცვის წევრებზე, რომლებსაც აქვთ ერთსქესიანი ურთიერთობები, ზრდიან ბავშვებს ერთად, ვფიქრობდი იმ ჯარისკაცებზე, მფრინავებზე, მეზღვაურებსა და ფლოტის ჯარისკაცებზე, რომლებიც იბრძვიან ჩემი სახელით და ჯერ კიდევ გრძნობენ დაძაბულობას, რადგანაც მათ არ შეუძლიათ დაქორწინება. ჩემთვის, პირადად, მნიშვნელოვანია წინ წავიდეთ და ვფიქრობ, რომ ერთსქესიან წყვილებს დაქორწინების საშუალება უნდა ჰქონდეთ“.

ობამა პირველი მოქმედი პრეზიდენტია, რომელმაც მსგავსი განცხადება გააკეთა და ამით რესპუბლიკური პარტიის პრეზიდენტობის კანდიდატ მით რომნის დაუპირისპირდა. „მჯერა, რომ ქორწინება კაცსა და ქალს შორის ურთიერთობაა“, – თქვა რესპუბლიკელების კანდიდატმა ოკლაჰომას შტატში გამოსვლისას.

ობამა თავდაპირველად ასეთ ქორწინებას ეწინააღმდეგებოდა, თუმცა, აზრი შეიცვალა.

„ვყოყმანებდი გეი ქორწინებასთან დაკავშირებით. ვითვალიწინებდი იმ ფაქტს, რომ უამრავი ადამიანი სიტყვა „ქორწინებას“ ძალიან ტრადიციულ და რელიგიური რწმენებთან აკავშირებდა“, – ამბობს ობამა.

ობამას გამოსვლამდე ვიცე პრეზიდენტმა ჯოზეფ ბაიდენმაც გამოხატა მხარდაჭერა ერთსქესიანი ქორწინების მიმართ.

ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესია მშვიდობის დარგში ნობელის პრემიაზეა ნომინირებული

ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესია მშვიდობის დარგში ნობელის პრემიაზეა ნომინირებული. ინიციატივა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საპატიო წევრს, ლიჩეზარუ ტოშევს ეკუთვნის. წელს ბულგარეთმა მეორე მსოფლიო ომში ბულგარელი ებრაელების გადარჩენის 70 წლისთავი აღნიშნა.

ბულგარეთის მართლმადიდებლური ეკლესიის უმაღლესმა სასულიერო მოღვაწეებმა ებრაული ნაციონალური უმცირესობის გადასარჩენად გადამწყვეტი როლი შეასრულეს, რადგან ბულგარეთის მართლმადიდებლური ეკლესია ერთადერთი იყო, რომელიც ჰიტლერის ტერიტორიალური კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა.

„ბულგარეთის მართლმადიდებლური ეკლესია თავისი საქმიანობით ბულგარელი ებრაელების დეპორტაციას წინ აღუდგა“,– აღნიშნავენ საპატრიარქოში.

ბულგარეთის მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა სინოდის განცხადებაში ნათქვამია, რომ ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკებიდან ხალხის გამოხსნის ინიციატორი ბულგარეთის მართლმადიდებლური ეკლესია იყო.

პრესტიჟული პრემიის ლაურეატს ოქტომბერში დაასახელებენ.

ადრე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ 2013 წლის მშვიდობის დარგში ნობელის პრემიაზე რეკორდული რაოდენობის პრეტენდენტია წარდგენილი – 259 – რომელთაგან 50 საზოგადოებრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებია.

ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესია – ავტოკეფალური, მართლმადიდებლური, სამოციქულო ეკლესია, უკავია მე-9 ადგილი მართლმადიდებელი ეკლესიის დიფტიქში. დაარსებულია მოციქულის მიერ. ხელმძღვანელობს პატრიარქი და წმინდა სინოდი. პატრიარქის სრული სახელწოდებაა უწმინდესი პატრიარქი ბულგარეთისა და მიტროპოლიტი სოფიისა.

ვატიკანში ფრანცისკ პირველის ინტრონიზაციის საზეიმო ცერემონია გაიმართება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ფოს ლიდერი. ვატიკანში, წმინდა პეტრეს მოედანსა და მის მახლობლად მილიონამდე მორწმუნეა შეკრებილი.

მესის დასრულების შემდეგ პაპი ტრადიციულად დღის ლოცვას წაიკითხავს.

იტალიური წარმოშობის არგენტინელი კარდინალი, ბუენოს-აირესის არქიეპისკოპოსი ხორხე მარიო ბერგოლიო გასულ კვირას აირჩიეს რომის პაპად.

ფრანცისკ პირველი (ერისკაცობაში ხორხე მარიო ბერგოლიო, დ. 17 დეკემბერი, 1936, ბუენოს-აირესი) – რომის 266-ე პაპი 2013 წლის 13 მარტიდან. წარმოადგენს კათოლიკური ეკლესიისა და ვატიკანის სუვერენული სახელმწიფოს მეთაურს. სახელი ფრანცისკე აიღო ესპანელი მისიონერის, „იესოს საზოგადოების“ თანადამფუძნებელ ფრანსისკო ხავიერისგან. იგი პირველი იეზუიტი პაპია, პირველი ამერიკის სუბკონტინენტიდან და პირველი სამხრეთ ნახევარსფეროდან. იგი არის ასევე პირველი არაევროპელი პაპი სირიელი გრიგოლ მესამის შემდეგ (პაპი 731-741 წწ.)

პაპად არჩევამდე, იყო კათოლიკური ეკლესიის არგენტინელი კარდინალი; 1998 წლიდან მსახურობდა ბუენოს-აირესის არქიეპისკოპოსად, 2001 წლიდან კი კარდინალად.

ხორხე ბერგოლიო ბუენოს-აირესში დაიბადა, იტალიელი ემიგრანტების, რკინიგზის მუშაკისა და მისი ცოლის ხუთშვილიან ოჯახში. ბუენოს-აირესის უნივერსიტეტში მიიღო მაგისტრის ხარისხი, შემდეგ კი სწავლა განაგრძო ვილია-დევოტოს სემინარიაში. 1958 წლის 11 მარტს „იესოს საზოგადოებაში“ შევიდა. სან-მიგელის მასიმო სან-ხოსეს კოლეჯში ბერგოლიომ მიიღო ლიცენციატის ხარისხი ფილოსოფიაში; ამის შემდეგ, სანტა-ფეს ლამაკულადის კოლეჯსა და ბუენოს-აირესის სალვადორის უნივერსიტეტში შეისწავლა ლიტერატურა და ფსიქოლოგია.

1969 წლის 13 დეკემბერს არქიეპისკოპოსმა რამონ ხოსე კასტელიანომ აღკვეცა ბერ-მონაზვნად. პარალელურად იგი სწავლას განაგრძობდა სან-მიგელის სემინარიაში, ფილოსოფიისა და თეოლოგიის ფაკულტეტებზე. აქვე მან თეოლოგიის პროფესორის ხარისხი მიიღო. 1980 წელს ისამ სემინარიის რექტორი გახდა. პოსტზე 1986 წლამდე მუშაობდა. სადოქტორო დისერტაცია ბერგოლიომ გერმანიაში დაიცვა და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კორდობაში მოძღვრად დაიწყო მსახური.

1998 წლის 28 თებერვალს კარდინალ ანტონიო კარასინოს მემკვიდრედ დასახელდა. სტატუსი ოფიციალურად 2001 წლის 21 თებერვალს, ვატიკანში, პაპმა იოანე პავლე მეორემ უბოძა.

მოამზადა ვერა მამულაშვილმა

TV პროგრამა

ოთხშაბათი 20 მარტი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 20.00, 01.00 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 დ/ფ „სახელგანთქმული თვითმფრინავები„ 17.00 „გურმანია„ 18.00 ევროპის ჩემპიონატი თავისუფალი ჭიდაობაში. ფინალები (პ/რ) 21.00 ტ/სერ „ᲘᲛᲘᲜᲝ„ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 23.00 მხ/ფ „ᲠᲘᲖᲚᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ„ (ჯ.მალკოვიჩი) 01.20 დ/ფ „ მშვიდობით ამხანაგებო„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 18.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 19.00 ტ/სერ „ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲒᲐᲛᲝᲥᲘᲔᲑᲐᲜᲘ„ 4 სერ. 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „ᲘᲝᲐᲜᲘᲜᲘ ᲛᲝᲜᲐᲚᲔ„ 11.20 სერ. „ᲛᲐᲤᲘᲘᲡ ᲫᲕᲠᲘᲕᲘ„ 13.00 სერ. „24 – 6„ 14.40 დოკ/ფ „მაფიის დაუწერელი კანონი„ 2 ნაწ. 16.00 სერ.„ᲓᲐᲛᲐᲚᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ„ 17.50 სერ. „ᲗᲘᲚᲘᲡᲛᲐ„ 18.50 სერ. „ᲡᲐᲮᲘᲤᲐᲗᲝ ᲗᲔᲝᲑᲐ„ 21.00 სერ. „ᲛᲐᲠᲗᲝᲡᲣᲚᲘ„ 22.00 ქ/სერ „ᲪᲮᲔᲚᲘ ᲫᲐᲚᲚᲘ„ 10 სერ. 23.00 კონცერტი: „მღერის ირმა სოხაძე„ 00.35 მხ/ფ „ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲘ„ (ჯ.ბილი) (ტიტ.) 02.05 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘᲐ„ 11.00 სერ. „ᲘᲓᲣᲛᲐᲚᲘ ᲫᲐᲚᲘ„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 იღბლიანი ბორბალი (გ/ჩ) 17.00 სერ. „ᲕᲔᲑᲘᲡ ᲣᲨᲙᲠᲣᲚᲘ„ 18.45 სერ. „ᲪᲠᲔᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲘ„ 20.05 სერ„ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲫᲐᲚᲐ„ 22.00 ნანუკას შოუ. 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 07.00 დოკ/ფ „ფურცლები ფრანგული დღიურიდან„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 მარხვა და ლოცვა - მეუფე დანიელი 11.00 დოკ/ფ „საქართველოს ეკლესიის წმინდა მღვდელმთავარნი„ 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 დროის ჩანაწერები 13.25 ქრისტიანული სწავლება 13.40 დოკ/ფ „წმინდა ოთხთავი„ III ნაწ. 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55, 19.25, 01.00 ანდრია კრიტელის კანონი 16.50 კვირიაკე 18.05 დიდ ხარ შენ,უფალო 18.30 დეკორატიული ფლორა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.40 დოკ/ფ „დავით გარეჯი„ I ნაწ. 20.40 ძილნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ეპოქის სახელები 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.25 ქართული აღბომი 22.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 22.55 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 პირველშეწირული წირვის განმარტება მამა ბიძინა 23.30 დოკ/ფ „ვარძია„ 00.35 განთიადის სტუმარი 01.55 დოკ/ფ „ხვამლი„

მაესტრო 7.00, 5.35, 6.00 ახალი ამბების კოლაჟი 7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 5.55, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ+ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 0.00 ახალი ამბები 8.10, 9.10, 10.15 მაღვიძარა 11.30, 22.00, 1.20 „ყოველდღიური აბები„ 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 4.00 თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0.30 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 20.00 ამბები მოკლედ 20.05, 1.40 თოქ-შოუ - „არგუმენტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.20, 2.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

20 მარტი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 1,6616
- ევრო — 2,1528
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5152
- 100 რუსული რუბლი — 5,3789

ამინდის პროგნოზი 20 მარტისთვის

მათთვის, ვინც ვერ მოახერხა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის 4-ტომეულის შეძენა!

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია

ტომი 1

უძველესი დროიდან VI საუკუნემდე

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია

ტომი 2

VI-XI საუკუნეები

22 თებერვლიდან იყიდება პირველი და მეორე ტომები

1 მარტიდან მესამე ტომი

5 მარტიდან მეოთხე ტომი

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია

ტომი 4

XVII-XX საუკუნეები

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია

ტომი 3

XII-XVI საუკუნეები

ინფორმაციისთვის დარეკეთ 294-02-55

ყველამ გაითვალისწინეთ!

ასტროპროგნოზი 20 მარტისთვის

წარმატებული დღეა

ვერძი – ხალისიანი განწყობა არ გტოვებთ. **კურო** – მეგობრებისგან კარგ ამბებს იგებთ. **კვრო** – არ აჩქარდეთ, დღეს მშვიდად იმოქმედეთ. **ტყუპები** – ახალი პროექტი გაამართლებს, მთავარია, არ იზარმაცოთ. **კირჩხიბი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** – ფული გაქვთ, თანაც ბევრი. **ქალწული** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **სასწორი** – ყურადღების ცენტრში ყოფნა კარგია, მაგრამ იღლებით. **ღრიანქალი** – კარგი ამბები და საჩუქრები გელით. **მშვილდოსანი** – გაურკვევლობაში კი ხართ, მაგრამ მალე გათავისუფლდებით. **თხის რქა** – დაისვენეთ, გაერთეთ, ენერგია აღიდგინეთ. **მერწყული** – პატარა პრობლემას მოევლება. **თევზები** – ის საქმე აკეთეთ, რომელიც კარგად გამოგდით.

გისუხვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი

შვეულად: 1. ყაბარდო-ბალყარეთის დედაქალაქი; 2. ქუჩა ლონდონში, სადაც განთავსებულია სამთავრობო დაწესებულებები 3. ქართველ პოეტ ნიკო რაზიკაშვილის ფსევდონიმი; 4. უზენაესი ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 5. სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში; 8. ბროწეულის წვენისგან მომზადებული საწებელი; 11. სიგრძის საზომი ერთეული იაპონიაში; 13. ნავთობის საბადო კახეთში; 14. სატანავარჯიშო იარაღი; 16. სურნელოვანი პარფიუმერული სითხე; 18. ამერიკელი ზანგების სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 20. პატარა ქვევრი.

თარაზულად; 6. პოპულარული მინერალური წყალი უკრაინის კარპატებში; 7. მითოლოგიური „მარადიული ურია"; 8. გრძელი ფართო მოსასხამი; 9. ფრანგი მწერალი; 10. ჰუსართა მუნდირი; 11. კარდინალთა საბჭო, რომელიც ირჩევს რომის პაპს; 15. იტალიელი პოლიციელი; 17. ტბა სამხრეთ საქართველოში; 19. ნავსადგური, კურორტი, რაიონული ცენტრი აზერბაიჯანში; 21. ნორვეგიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 22. იაპონური რესტორანი; 23. მსხვილი საჯარისო შენაერთი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



ვატიკანში ფრანცისკ პირველის ინტრონიზაციის საზეიმო ცერემონია გაიმართება

ვატიკანში დღეს რომის ახალი პაპის, ფრანცისკ პირველის ინტრონიზაციის საზეიმო ცერემონია გაიმართება, რომელსაც სავარაუდოდ, მილიონზე მეტი ადამიანი დაესწრება. ამის შესახებ „ბიბისი" იუწყება. გამოცემის ინფორმაციით, წმინდა პეტრეს მოედანზე გამართულ ცერემონიას მსოფლიოს პოლიტიკური და რელიგიური ლიდერები დაესწრებიან.

„ბიბისის" ცნობით, ფრანცისკ პირველის მოთხოვნით, ინტრონიზაციის ცერემონია, წინამორბედებისგან განსხვავებით, მოკრძალებულად წარიმართება. მსახურების აღსრულება მთავარ კათოლიკურ ბაზილიკაში წმინდა პეტრეს საფლავთან დაიწყება. ფრანცისკ პირველს სწორედ ამ ადგილზე მოახვევენ პაპის მანტიას და თითზე „მეთევზის ბეჭედს" გაუკეთებენ, რომელსაც რომის პაპი ატარებს ტარდიციულად. ბეჭედზე გამოსახულია პეტრე მოციქულის გამოსახულება, რომელიც ნავში დგას და ზღვიდან თევზის საჭერი ბადე ამოაქვს. თუმცა, ფრანცისკ პირველის თხოვნით, ბეჭედი ოქროს ნაცვლად, ვერცხლისგან დამზადდება. ტაძარში შესვლამდე ახალარჩეული პონტიფიკი ეგრედ წოდებული „პაპომობილით" წრეს დაარტყამს წმინდა პეტრეს მოედანზე.

გავრცელებული ინფორმაციით, რომის პაპის ინტრონიზაციაზე დასასწრებად უკვე ჩავიდნენ აშშ-ის ვიცე პრეზიდენტი, ჯო ბაიდენი და ორთოდოქსული ეკლესიის წინამძღოლი, მსოფლიო პატრიარქი ბართოლომეო პირველი. ამ უკანასკნელის დასწრება რომის პაპის ინტრონიზაციაზე ისტორიული მოვლენაა, რადგან კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიის გაყოფიდან 10 საუკუნეზე მეტის გასვლის მერე, კონსტანტინეპოლის პატრიარქი პირველად ჩადის ვატიკანში. ბართოლომეო პირველმა თავისი გადაწყვეტილება ფრანცისკ პირველისადმი განსაკუთრებული სიმპათიით ახსნა, რადგან ეს უკანასკნელი ცნობილია მოკრძალებული ცხოვრების წესითა და ღარიბებისადმი გამორჩეული დამოკიდებულებით.

სადღესასწაულო ცერემონიას 132 ქვეყნის დელეგაცია ესწრება, მათ შორის 34 სახელმწი-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

მარიანის ღრმულში სიცოცხლე აღმოაჩინეს

მსოფლიო ოკეანის ყველაზე ღრმა წერტილში, მარიანის ღრმულში ცოცხალი ორგანიზმები აღმოაჩინეს. ბაქტერიების კოლონიამ, რომელიც ავტონომიურად ბინადრობს 11 კილომეტრის სიღრმეზე, საზღვაო ბიოლოგები განაცვიფრა და მეცნიერების ცოდნა გააფართოვა, როგორც ჩვენი პლანეტის, ისე სხვა პლანეტების მიმართ.

„ჩვენ ვეჭვობდით, რომ იქ მიკროორგანიზმები ბინადრობდნენ, მაგრამ ასეთ განვითარებულ ბაქტერიათა კოლონიას არ მოველოდით. გაკვირვებულები ვართ, თუ რამდენად ეფექტურად შეუძლიათ არსებობა ცოცხალ ორგანიზმებს ასეთ სიღრმეზე", – აცხადებენ მეცნიერები.

11 კილომეტრის სიღმეში ბაქტერიები განიცდიან მაღალ წნევას, ამ სიღმეზე არ არსებობს სინათლე და თითქმის არ არის ჟანგბადი, მაგრამ მიუხედავად ამისა, გიგანტურ წყალქვეშა ხეობაში ცოცხალი ორგანიზმები ცხოვრობენ და ვითარდებიან. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ამ ბაქტერიების რაოდენობა და აქტიურობა ათჯერ უფრო მაღალია, ვიდრე წყნარი ოკეანის სხვა წყალქვეშა მსგავსი ორგანიზმების, რომლებიც 5-6 კილომეტრის სიღრმეზე ცხოვრობენ.

„ავტონომიური" ბაქტერიების კოლონია მარიანის ღრმულში რობოტმა აღმოაჩინა. 600 კგ წონის აპარატმა, რომელიც ნამდვილი ლაბორატორიაა, აიღო გრუნტის და წყლის სინჯები და რიგი სამეცნიერო ამოცანებიც შეასრულა. კვლევის შედეგები უკვე გამოქვეყნდა სამეცნიერო ჟურნალებში. პუბლიკაციების ავტორები დარწმუნებულები არიან, რომ ამ ბაქტერიების მსგავსნი, შესაძლოა, ბინადრობდნენ ევროპის წყლებში და ასევე იუპიტერის თანამგზავრ ენცელადასა და სატურნზე.

მარიანის ღრმული – ვიწრო დეპრესია წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში, ფილიპინის ზღვაში. გადაჭიმულია დაახლოებით 1500 კმ-ზე მარიანის კუნძულების გასწვრივ. მაქსიმალური სიღრმეა 11022 მ (სიღრმე გაზომა 1957 წელს სსრკ-ს საკვლევ გემ „ვიტიაზის" ექსპედიციამ), რითაც ის მსოფლიო ოკეანის უღრმესი ადგილია. ბოლოდროინდელი დაზუსტებით, რომელიც იაპონურმა ზონდმა აწარმოა 1995 წელს – 10911 მ-ს არ აღემატება.

გ. მ.

ფაჩულიამ ტრავმა მოიშუშა, შენგელია ისევ არმორშია

გუშინ ნბა-ში ორივე ქართველის კლუბმა ითამაშა, თუმცა ჩვენებურები მოედანზე არ გამოჩენილან.

ზაზა ფაჩულიას ამბავი ისედაც გარკვეული იყო – მას კარგა ხანია, ტრავმა აწუხებს და უკვე მე-9 მატჩი გამოტოვა. თუმცა, როგორც ირკვევა, ზაზამ ტრავმა მოიშუშა და ვარჯიშს შეუდგა. ნელ-ნელა ის ფორმა აღიდგენს და მოედანს, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში დაუბრუნდება.

თორნიკე შენგელია, რომელსაც „ბრუკლინ ნეთსში" თამაში იშვიათად, ისიც ძალიან მცირე ხნით უწევს, ნბა-ს განვითარების ლიგაში გაანათხოვრეს. მიმდინარე სეზონში ბრუკლინელებმა უკვე მეხუთედ გაუშვეს შენგელია „სპრინგფილდ არმორში", რომელიც „დ" ლიგაში მათ სატელიტ გუნდს წარმოადგენს.

„სპრინგფილდში" შენგელიას საშუალოდ 37,8 წუთს ათამაშებენ და ქართველი ფორვარდიც მთელ ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესოა. თორნიკემ სპრინგფილდელთა შემადგენლობაში ამ სეზონში უკვე 6 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 26,8 ქულას, 9,2 მოხსნას და 5 პასს აგროვებდა.

თორნიკე „არმორის" შემადგენლობაში 20 მარტს „ბეი ჰოქსის" წინააღმდეგ ითამაშებს.

მ. ჟ.